178
1986/2

ISSN 0132-5981

საბჭოთა სამართალი

1986

2

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
ლერი თალაკვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ლევან ალექსიძე
ანგი არსენაშვილი
(მეცნიერ-რედაქტორი),
გელა გერძენიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
ანზორ გაგიანი
აკაკი კარანაძე
დურმიშხან ლორია
ვახტანგ რაზმაძე
გრიგოლ როინიშვილი
თამაზ შავგულიძე
ალექსანდრე შუშანაშვილი
ირაკლი ჩიქოვანი
სერგო ჯორგენაძე

Главный редактор
Талаквадзе Л. Г.

Редакционная коллегия

Алексидзе Л. А.,
Арсенашвили А. Г.
(научный редактор),
Бердзенишвили Г. Д.
(ответственный секретарь),
Габиани А. А.,
Джорбенадзе С. М.,
Каранадзе А. Г.,
Лория Д. А.,
Размадзе В. А.,
Роинишвили Г. В.,
Чиковани И. П.,
Шавгулидзе Т. Г.,
Шушанашвили А. А.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სამართალი

№ 2

მარტი
აპრილი
1986 წელი

ჟურნალი გამოდის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს მეცნიერულ-პრაქტიკული ჟურნალი

შინაარსი

სკკპ XXVII ყრილობა და ჩვენი ამოცანები 3

სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებები — ცხოვრებაში!

დ. სტურუა — წინსვლის ლენინური სტრატეგია 7
გ. შათირაშვილი — დისციპლინა და მომთხოვნელობა ჩვენი წარმატების საწინდარია . 14
ა. რეკუნკოვი — მართლწესრიგისა და სოციალური სამართლიანობის სადარაჯოზე . . 18

მშვიდობის დაცვის კანონის 35 წლისთავი

სოციალიზმის იდეალია უომო, უიარაღო მსოფლიო 28

კანონი შრომითი კოლექტივების შესახებ მოქმედებაში

გ. ბერძენიშვილი — ჩიათურის შრომითი კოლექტივების გამოცდილება 30

მეურნეობა და სამართალი

თ. ლილუაშვილი — პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფის სამართლებრივი საშუალებები 35

გამოცდილებას გვიზიარებენ მეგობრები

ა. ლაპშინი — მუქთახორობასთან ბრძოლის ქმედითობისათვის 40

თეორიის საკითხები

მ. ქურდაძე — მტკიცების ფარგლების საკითხისათვის 43
ტ. შჩეგლოვა — უცხოეთის წარმომადგენლობა საბჭოთა გამომგონებლობის სამართლის მიხედვით 46

სასამართლო-საგამოძიებო პრაქტიკა

ლ. გარსევანიშვილი — მასალების სასამართლომდე მომზადების საოქმო ფორმა . . 50

ქალთა საერთაშორისო დღისადმი 53

ივ. ჯავახიშვილის დაბადების 110 წლისთავი

ს. ჯორბენაძე — ივანე ჯავახიშვილი და იურიდიული ფაკულტეტის დაარსება თბილისის უნივერსიტეტში 57

ალ. ვაჩეიშვილის დაბადების 100 წლისთავი

გ. ნადარეიშვილი — ქართული სამართლის ისტორიის მკვლევარი 61

გ. ინწკირველი 60 წლისაა 67

ე. ყიფიანი, თ. შავგულიძე — „ქმნა მართლისა სამართლისა...“ 69
ინფორმაცია 75
ნეკროლოგი 79

СОДЕРЖАНИЕ

XXVII съезд КПСС и наши задачи 3

Решения XXVII съезда КПСС — в жизнь

Д. Стуруа — Ленинская стратегия поступательного движения . . . 7
Г. Шатиришвили — Дисциплина и требовательность — залог наших успехов 14
А. Рекунков — На страже правопорядка и социальной справедливости . 18

35-летие закона о защите мира

Мир без войн, без оружия — идеал социализма 28

Закон о трудовых коллективах в действии

Г. Бердзенишвили — Опыт трудовых коллективов г. Чиатура . . . 30

Хозяйство и право

Т. Лилуашвили — Правовые средства обеспечения качества продукции . 35

Друзья делятся опытом

А. Лапшин — За действенность борьбы с тунеядством 40

Вопросы теории

М. Курдадзе — К вопросу пределов доказывания 43
Т. Щеглова — Представительство иностранца по советскому изобретательскому праву 46

Судебно-следственная практика

Л. Гарсеванишвили — Протокольная форма досудебной подготовки материалов 50

Международный женский день 53

110-летие со дня рождения И. Джавахишвили

С. Джорбенадзе — И. Джавахишвили в основание юридического факультета в Тбилисском университете 57

100-летие со дня рождения А. Вачейшвили

Г. Надарейшвили — Исследователь истории грузинского права . . . 61
Г. Инцкирвели — 60 лет 67
Э. Кипиани, Т. Шавгулидзе — Право для всех 69

Информация 75
Некролог 79

© „საბჭოთა სამართალი“, 1986 წ.

რედაქციის მისამართი. 380110, თბილისი, პლეხანოვის პრ. 103, ტ. 95-58-87, 95-88-49.

გადაეცა წარმოებას 24. 03. 86 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 28. 04. 86 წ.,
ფორმატი 70×108 1/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი
ფურცელი 7. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5.
შეკვ. № 743. ტირაჟი 28.000. უე 10532.

ხარ. კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

19.973

სკკპ XXVII ყრილობა და ჩვენი ამოცანები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენად იქცა.

ყრილობამ კიდევ ერთხელ ცხადჰყო ჩვენი ქვეყნის კომუნისტთა, მთელი ჩვენი ხალხის ერთგულება დიდი ოქტომბრის საქმისადმი, დასახა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების სტრატეგიული ლენინური კურსი. ამ გრანდიოზული ამოცანის შესრულებაში გადამწყვეტია ადამიანის ფაქტორის როლის გაძლიერება. მისი გააქტიურება უნდა მოხდეს კარგად მოფიქრებული ეკონომიკური სტრატეგიის, მძლავრი სოციალური პოლიტიკისა და მიზანდასახული, ენერგიული იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის სრული ერთიანობის გზით. საქმე ის არის, რომ რაც უფრო მასშტაბურია ისტორიული მიზნები, მით უფრო მეტად საჭიროა მასების შემოქმედებითი საქმიანობის განვითარების ახალი გზების ძიება, აუცილებელია მილიონთა უაღრესად დაინტერესებული, პასუხისმგებლური, შეგნებული და აქტიური მონაწილეობა დასახული დიდი ამოცანების განხორციელებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია სოციალური პროგრესის დარგში თავისი მიზნების განხორციელებას უკავშირებს ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებას და ამ მიმართებითაც იგი უაღრესად მიზანსწრაფულ ღონისძიებებს ახორციელებს, რომლებიც უდიდეს მხარდაჭერას პოულობენ მთელს მსოფლიოში.

ყრილობამ ალალმართლად და დაუფარავად უთხრა პარტიას და ხალხს ჩვენი პოლიტიკური და პრაქტიკული საქმიანობის ხარვეზები, ეკონომიკისა და სოციალურ-სულიერ სფეროში ჯერ კიდევ არსებული უკეთური ტენდენციები, მათი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები.

ყოვლისმძლე ოპტიმიზმი, ნაკლოვანებათა დაძლევის ქმედითი პროგრამა, რწმენა სოციალიზმის უძლეველობაში შესანიშნავადაა გამოხატული პარტიის XXVII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა გააკეთა. ყრილობამ ერთსულოვნად მოიწონა პოლიტიკურ მოხსენებაში ჩამოყალიბებული დებულებები, დასკვნები და ამოცანები.

პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის განხილვის დროს 6 მილიონზე მეტი გამოხმაურება შემოვიდა. ყრილობამ ერთხმად მოიწონა პარტიის პროგრამის ახალი რედაქცია, როგორც საბჭოთა ხალხის საარსებო ინტერესების გამომხატველი დოკუმენტი. ყრილობამ დაამტკიცა კომუნისტური პარტიის წესდება შესაბამისი ცვლილებებითურთ.

მოხსენება სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა შესახებ გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ი. რიჟკოვმა. ყრილობამ ერთსულოვნად დაამტკიცა ძირითადი მიმართულებანი და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

სკკპ XXVII ყრილობის ისტორიული დოკუმენტები დიადი სამოქმედო მიზანდასახულებაა მთელი ჩვენი ხალხისა. მათ სრულიად ახალი, მძლავრი სტიმული მისცეს დაჩქარებულ აღმშენებლობით მუშაობას.

ბუნებრივია, რომ ყრილობის გადაწყვეტილებანი ახალ, უაღრესად მნიშვნელოვან ამოცანებს სახავენ სამართალდაცვითი ორგანოების წინაშეც.

ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა შესრულებისათვის მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ყველა ჩვენი რეზერვი, როგორც ორგანიზაციულ-ეკონომიკური, ისე სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები. ამისათვის უნდა განვამტკიცოთ ორგანიზებულობა და დისციპლინა, მათ შორის უაღრესად მნიშვნელოვანია კოოპერირებულ მიწოდებათა დისციპლინის მკაცრად დაცვა, უნდა დავძლიოთ წარმოების არარიტმულობა, გავაუმჯობესოთ შრომითი რესურსების გამოყენება, თვალი არ ავარიდოთ უყაირათობასა და მფლანგველობას.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რეპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკურ მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო გამოშვებული პროდუქციის ხარისხის სრულყოფას, აღინიშნა, რომ: „საჭიროა კარდინალური ღონისძიებანი, რომელიც გამორიცხავს წუნიანი ნაწარმის, *მდარე ხარისხის საქონლის გამოშვებას. ამისათვის უნდა გამოვიყენოთ მატერიალური* და ადმინისტრაციული ზემოქმედების მთელი ძალა, ჩვენი კანონები. როგორც ჩანს, საჭიროა პროდუქციის ხარისხის შესახებ სპეციალური კანონის მიღებაც“.

სოციალიზმი წარმოუდგენელია შრომისა და მოხმარების ოდენობისადმი მუდმივი კონტროლის გარეშე, იგი ამასთან გამორიცხავს გათანაბრებას, გულისხმობს ხელფასის მკაცრად დაქვემდებარებას შრომის ნაყოფიერებისა და ხარისხისადმი. სხვანაირად გათანაბრების ელემენტები მხოლოდ აფერხებენ შრომის ნაყოფიერების ზრდას. ასევე დაუშვებელია გამოუმუშავებული ფულის, დაუმსახურებელი პრემიების მიღება. უკომპრომისოდ უნდა ვიბრძოლოთ უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ, თანამიმდევრულად და შეუვალად დავამკვიდროთ სოციალური სამართლიანობის პრინციპი საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა სფეროში. სოციალური სამართლიანობის არსი კი გამოსახულია სოციალიზმის ძირითადი პრინციპით: „თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოეულს — შრომის მიხედვით“. რა ოქმა უნდა, ეს გარემოება გულისხმობს გარდუვალ განსხვავებას ცალკეულ მოქალაქეთა, ცალკეული ოჯახებისა და სოციალური ჯგუფების მატერიალურ მდგომარეობაში. სწორედ ამიტომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა ითვალისწინებს მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების დაჩქარებულ ზრდას და მათი განაწილების სრულყოფას, „რომლებმაც სულ უფრო მეტი როლი უნდა შეასრულონ უფასო სახალხო განათლების, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საერთო-სახელმწიფო სისტემათა განვითარებაში, მშრომელთა დასვენების პირობების გაუმჯობესებაში, შეარბილონ სოციალიზმის დროს ობიექტურად გარდუვალი განსხვავება ცალკეული მოქალაქეების, ოჯახების, სოციალური ჯგუფების მატერიალურ მდგომარეობაში, გაათანაბრონ სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პირობები ბავშვთა აღზრდისათვის, ხელი შეუწყონ მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების ხელმოკლეობის ლიკვიდაციას“.

დღეს მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები უაღრესად დიდ როლს ასრულებენ ჩვენში. ახლა მათ წილად მოდის მოხმარებული მატერიალური სიკეთისა და მომსახურების დაახლოებით მესამედი. მეთორმეტე ხუთწლედში მათი მოცულობა 20-23 პროცენტით გაიზრდება. ამასთან ყველა მოქალაქეს კარგად უნდა ესმოდეს, რომ ეს მხოლოდ ქველმოქმედების ფონდები არ არის. იგი კვალიფიციური, კეთილსინდისიერი შრომის წახალისების, სტიმულირების საშუალებაცაა. ამიტომ არ შეიძლება შეურიგებელი არ ვიყოთ იმათ მიმართ, ვინც მტაცებელურ, დაუდევარ დამოკიდებულებას იჩენს სოციალისტური საკუთრებისადმი. ამიტომაც მთელი ჩვენი ხალხი მოწონებით შეხვდა მ. ს. გორბაჩოვის სიტყვებს: „საჭიროდ ვცანით უკვე უახლოეს დროში განვახორციელოთ მუქთახორების, სოციალისტური საკუთრების დამტაცებლების, მექრთამეების, ყველა იმათ წინააღმდეგ მიმართული დამატებითი ღონისძიებანი, ვინც დაადგა ჩვენი წყობილების შრომითი ბუნებისათვის უცხო გზას“.

კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდა, რომელიც გულისხმობს საბჭოთა კანონებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების პატივისცემას, სოციალისტური კანონიერების ყოველგვარი დარღვევისადმი შეუწყნარებლობას, მზადყოფნას, რათა თითოეული მოქალაქე აქტიურად მონაწილეობდეს სოციალისტური კანონების დაცვაში, წარმატებით განხორციელდება მხოლოდ მაშინ, თუ ჯეროვან დონეზეა მათი შრომითი აღზრდა. კომუნისტური პარტია აღმზრდელობითი მუშაობის ცენტრში აყენებს თითოეული საბჭოთა ადამიანის კეთილსინდისიერი შრომისადმი ღრმა პატივისცემის ჩამოყალიბებას, მიუხედავად იმისა, გონებრივი იქნება ის თუ ფიზიკური. სწორედ შრომაა საზოგადოების მატერიალური და სულიერი სიმდიდრის ძირითადი წყარო, ის არის ადამიანის სოციალური პრესტიჟის მთავარი კრიტერიუმი, მისი წმიდათაწმიდა მოვალეობა, პიროვნების კომუნისტური აღზრდის საძირკველი.

მოქალაქეთა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ფორმები დიდ ზემოქმედებას ახდენენ ერთმანეთზე. ყოველთვის ნათლად უნდა გვქონდეს წარმოდგენილი ის მჭიდრო კავშირი, რაც სამართლებრივი და მორალური ნორმების ზემოქმედებაშია. ახალი ადამიანის ჩამოყალიბების პროცესში კომუნისტურმა მორალმა შეისისხლხორცა როგორც საკაცობრიო ზნეობრივი ღირებულებანი, ასევე ადამიანთა ქცევისა და ურთიერთობის ის ნორმები, რომლებიც იშვნენ ექსპლოატაციის წინააღმდეგ ხალხის მასების ბრძოლაში, თავისუფლებისა და სოციალური თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნასწორობისათვის, ბედნიერებისა და მშვიდობისათვის მრავალსაუკუნოვან ბრძოლაში. კომუნისტური მორალი შეუთავსებელია ეგოიზმთან, თავკერძობასთან და ანგარებასთან, იგი განამტკიცებს ადამიანებს შორის ამხანაგური თანამშრომლობისა და ურთიერთობის დამოკიდებულებას, კეთილმოსურნეობას, პატიოსნებას, სისადავესა და თავმდაბლობას პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამიტომაც სამართალდამცველი ორგანოების მოვალეობაა ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ კომუნისტური მორალის ნორმათა განუხრელ დაცვას და მათ თითოეული მოქალაქის ჩვეად გადაქცევას. ეს სამართალდამცველი ორგანოების ეფექტიანი პროფილაქტიკური მუშაობის განხორციელებაცაა. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ კომუნისტური მორალის მოთხოვნებს ადამიანი სამართლებრივი ნორმების გაცნობამდე გაცილებით ადრე ხედავს და სწავლობს. საერთო ცხოვრების წესების არცერთი დარღვევისადმი არ უნდა ვიყოთ გულგრილნი, ვინაიდან იქ, სადაც იურისტი ჯერ კიდევ ვერ პოულობს დარღვევას, შეიძლება ისახებოდეს საფრთხე მომავალი საშიში ანტისაზოგადოებრივი ქმედობისა. კომუნისტური მორალისა და სოციალისტური სამართლის ავტორიტეტი, საზოგადოებრივი აზრისა და კანონის ძალა ერთობლივად უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ მივაღწიოთ, როგორც ეს აღნიშნულია სკკპ პროგრამაში, „შრომის დისციპლინის დარღვევების, დატაცებისა და მექრთამეობის, სპეკულაციისა და მუქთახორობის, ლოთობისა და ხულიგნობის, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიისა და მომხვეჭელობის, მლიქვნელობისა და პირმოთნეობის თანამიმდევრულ და მტკიცე აღმოფხვრას“.

სკკპ XXVII ყრილობამ დასახა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების გზით საზოგადოების განვითარების დაჩქარების, სოციალიზმის მძლავრი პოტენციალის სრულად გამოყენების ფართო პროგრამა.

ექსპლოატატორული სახელმწიფოებისაგან განსხვავებით სოციალისტურ საზოგადოებაში მართვა არ შეიძლება პროფესიონალთა ვიწრო წრის პრივილეგია იყოს. სოციალისტური სახელმწიფო ძლიერია მასების შეგნებული და გადამწყვეტი მონაწილეობით მის მართვაში. მშრომელთა თვითმმართველობის ლენინური გაგება და მისი განუხრელი გაღრმავება, ჩვენი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი სიძლიერის უშრეტი წყაროა. დღეს, ისე როგორც არასდროს, სოციალისტური დემოკრატიის განვითარებისათვის პრინციპული პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს საჯაროობის გაფართოებას. როგორც პოლიტიკურ მოხსენებაშია ნათქვამი, ეს „ათმილიონობით მუშის, კოლმეურნის, ინტელიგენტის საქმისადმი პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალული სახელმწიფოებრივი დამოკიდებულების საწინდარი, ჩვენი კადრების ფსიქოლოგიური გარდაქმნის საწყისი პუნქტია“.

საბჭოთა მოქალაქეებს სოციალურ-პოლიტიკური და პირადი უფლებებისა და თავისუფლებების მთელი არსენალი აქვთ. სოციალიზმის შემდგომი წარმატებების კვალობაზე მათი გამდიდრება, გაღრმავება და გარანტირება კვლავაც გაძლიერდება. ამასთან ყოველ მოქალაქეს კარგად უნდა ესმოდეს, რომ უფლებები არ არსებობს და ვერც იარსებებს მოვალეობების გარეშე, ისე როგორც მოვალეობები არ არსებობს უფლებების გარეშე.

საბჭოთა კანონმდებლობა ბოლო წლებში მნიშვნელოვნად ჩამოყალიბდა და დაიხვეწა, მაგრამ, ამასთან ერთად, დასახულია ამოცანა, რათა კვლავაც გაუმჯობესდეს საბჭოთა კანონების ხარისხი. როგორც პოლიტიკურ მოხსენებაში აღინიშნა, „ჩვენმა კანონმდებლობამ — სამოქალაქო და შრომითმა, საფინანსო და ადმინისტრაციულმა, სამეურნეო და სისხლის სამართლის კანონმდებლობამ კიდევ უფრო აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი მართვის ეკონომიკური მეთოდების დანერგვას, შრომისა და მოხმარების ოდენობისადმი ქმედითს კონტროლს, სოციალური სამართლიანობის პრინციპის განხორციელებას“.

პარტიის მუდმივი ზრუნვის საგანი იყო და კვლავაც იქნება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლების განმტკიცება, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განუხრელი დაცვა. საქმე ისაა, რომ ჩვენში დემოკრატია იყო და კვლავაც იქნება სოციალისტური კანონიერების განმტკიცების უმნიშვნელოვანესი ბერკეტი, ხოლო თავის მხრივ, მტკიცე კანონიერება — ჩვენი დემოკრატიის განუყოფელი ნაწილი.

სოციალისტური კანონიერება ნიშნავს იმას, რომ საბჭოთა ადამიანები ყველგან, ყოველ დასახლებულ პუნქტში უნდა გრძნობდნენ სამართალდაცვითი ორგანოების ზრუნვას მათი სიმშვიდისა და ხელშეუხებლობისათვის, ღრმად უნდა იყვნენ დარწმუნებული, რომ ვერცერთი სამართალდამრღვევი ვერ გაექცევა საკადრის სასჯელს, ხოლო კეთილსინდისიერ მოქალაქეთა გარანტიები განუხრელად იქნება დაცული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებში კიდევ უფრო დამაჯერებლად აისახა, რომ სოციალისტური კანონიერების დაცვა ყოველი საბჭოთა მოქალაქის, ყოველი პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელის უპირველესი მოვალეობაა. კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქცია გამოკვეთილად აყალიბებს ამ მოთხოვნას: „პარტიულობა არავითარ პრივილეგიას არ იძლევა, არამედ ნიშნავს უფრო მეტ პასუხისმგებლობას ყოველივე იმისათვის, რაც ქვეყანაში კეთდება, კომუნისტური მშენებლობისა და საზოგადოებრივი პროგრესის ბედისათვის ყოველი კომუნისტი მოვალეა სანიმუშო იყოს შრომაში და ყოფაქცევაში, საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში“. ამ მოთხოვნას განუხრელად უნდა ახრულებდეს ყოველი ხელმძღვანელი თვითონ და ამასთან, არავის აქვს უფლება ხელმძღვანელთან ახლობლობა საზოგადოებრივი ინტერესების საწინააღმდეგოდ გამოიყენოს. სწორედ ამის თაობაზე განაცხადა სკკპ XXVII ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა: „ყველა დონეზე და ყველა რგოლში პარტიელის უმწიკვლო და სპეტაკი სახე ყალიბდება მხოლოდ მომთხოვნელობისა და ფართო საჯაროობის, მკაცრი კონტროლისა და თვითკონტროლის ატმოსფეროში. ხშირად, სწორედ მომთხოვნელობის შესუსტების შედეგია, რომ თავს გადიან და უღირსად იქცევიან ხელმძღვანელის მეგობრები, ახლობლები, ნათესავები, ოჯახის წევრები, რომლებმაც ირწმუნეს, რომ ყველაფერი ეპატიებათ და პასუხი არ მოეკითხებათ, ეს კი მარტოოდენ ხელმძღვანელს როდი უტეხს სახელს“.

კომუნისტური პარტიის წევრობა მრავალ დამატებით მოვალეობას წარმოშობს და ამიტომ უფრო მაღალია კომუნისტის პასუხისმგებლობა ჩადენილი გადაცდომისთვის. სკკპ XXVII ყრილობაზე მიღებული პარტიის წესდების მე-12 პუნქტით საბჭოთა კანონების დარღვევისათვის პარტიის წევრს ეკისრება ორმაგი პასუხისმგებლობა სახელმწიფოს და პარტიის წინაშე. ხოლო ისეთი გადაცდომის ჩამდენი პირნი, რომლებიც სისხლის სამართლის წესით ისჯებიან, გაირიცხებიან სკკპ რიგებიდან.

ყოველივე ეს კეთდება იმისათვის, რომ კანონი ყველასათვის ერთი იყოს, მკაცრად და განუხრელად ვიცავდეთ კანონს წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის დემოკრატიულ პრინციპს. ამ პრინციპის მტკიცედ დაცვას პარტია განსაკუთრებით მოითხოვს ხელმძღვანელი და სამართალდაცვითი ორგანოების მუშაკებისაგან, რადგან საქმის გადაწყვეტისას მათი მხოლოდ კომპეტენტურობა და ენერგიულობა არ კმარა. სწორად ითქვა სკკპ XXVII ყრილობაზე, რომ განსაკუთრებით საჭიროა ხელმძღვანელის მაღალი ზნეობრიობა. ზნეობაზე კი უზნეო პიროვნებანი არ უნდა ვალაპარაკოთ, მხოლოდ წესიერ ადამიანს აქვს უფლება დაამყაროს წესრიგი.

ეჭვი არ არის, ჩვენი რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებულნი, ყველაფერს გააკეთებენ სოციალისტური კანონიერების განუხრელად განმტკიცებისათვის, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი აღმავლობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებები — ცხოვრებაში!

ნინსკის ლენინური სწრაფვეგია

XXVII ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენების ზოგიერთი თეორიული, პოლიტიკური და იდეოლოგიური ასპექტი

დევი სტურუა,

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობამ, რომელმაც განიხილა და მიიღო სკკპ პროგრამის ახალი რედაქცია, პარტიის წესდების ცვლილებანი, სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლედისა და პერსპექტივის ძირითადი მიმართულებანი, ლენინურად, მეცნიერული სიღრმით გაიაზრა პარტიისა და ხალხის მიერ განვლილი პერიოდი, შეიმუშავა რეალისტური, ყოველმხრივ აწონ-დაწონილი სამოქმედო პროგრამა, რომელშიც მიზნების სიდიადე ორგანულად ერწყმის თითოეული ადამიანის იმედებს და მისწრაფებებს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ყრილობის მთავარი დოკუმენტის — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენების განსაკუთრებით **მაღალი თეორიული დონე,** რაც პოლიტიკური და ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტის საიმედო საწინდარია. მოხსენება, რომელიც ყრილობაზე გააკეთა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვმა, კომუნისტთა უმაღლესი ლენინური ფორუმების ისტორიული დოკუმენტების დონეს შეესატყვისება.

1. გააანალიზა რა განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობა, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, წარმატებებთან ერთად თავის მოვალეობად მიიჩნია პირდაპირ და ყოველგვარი შელამაზების გარეშე ეთქვა პარტიისა და ხალხისათვის ჩვენი პოლიტიკური და პრაქტიკული ხარვეზების არსზე და მიზეზებზე, ეკონომიკასა და სოციალურ-სულიერ სფეროში არსებულ არასასიკეთო ტენდენციებზე. აქ ყურადღებას იპყრობს **სუბიექტური ფაქტორის მნიშვნელობის** ხაზგასმა ნაკლოვანებათა განხილვის დროს.

„წლების მანძილზე, — აღნიშნა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა, — და არა მარტო ობიექტური ფაქტორების, არამედ აგრეთვე უწინარესად სუბიექტური რიგის მიზეზების გამო, პარტიული და სახელმწიფო ორგანოების პრაქტიკული მოქმედება ჩამორჩებოდა დროის, თვით ცხოვრების მოთხოვნებს. ქვეყნის განვითარებაში პრობლემები უფრო სწრაფად გროვდებოდა, ვიდრე იჭრებოდა. ინერტულობა, მართვა-გამგეობის ფორმებისა და მეთოდების გახევება, მუშაობაში დინამიზმის შენელება, ბიუროკრატიზმის ზრდა — ყოველივე ეს დიდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზიანს აყენებდა საქმეს. საზოგადოების ცხოვრებაში თანდათან იჩინა თავი უძრაობის მოვლენებმა.“[1]

ეს დებულება ამდიდრებს მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურს იმის მტკიცებითა და მეცნიერული დასაბუთებით, რომ სოციალისტური წყობილების უპირატესობანი თვით მისი განვითარების დღევანდელ დონეზეც **თავისთავად, ავტომატურად ვერ უზრუნველყოფენ წარმატებას,** რომ თანამედროვე პირობებშიც სუბიექტურ ფაქტორს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ყველას გვახსოვს, რა ზიანი მოგვაყენა თავის დროზე სუბიექტივიზმმა და ვოლუნტარიზმმა, ეკონომიკური განვითარების კანონების უგულებელყოფამ და ყოვლად დაუსაბუთებელმა გარდაქმნებმა და რეორგანიზაციებმა. ასევე სუბიექტივისტური ხასიათი ჰქონდა უმოძრაობის ტენდენციებსაც, როცა, მ. ს. გორბაჩოვის მოსწრებული თქმით, სურდათ „როგორმე ისე გაეუმჯობესებინათ საქმე, რომ არაფერი შეეცვალათ.“[2]

ამ პრობლემასთან უშუალო კავშირშია **განვითარებული სოციალიზმის** ცნების დაზუსტებაც, მისი შინაარსის გახსნა რეალისტური პოზიციებიდან, რაც აგრეთვე შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის შენაძენია. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში დადასტურებულია, რომ ჩვენი ქვეყანა განვითარებული სოციალიზმის ეტაპზეა, გათვალისწინებულია ისიც, რომ განვითარებული სოციალიზმის აშენების ამოცანა დასმულია სოციალისტური ქვეყნების მომმე პარტიების საპროგრამო დოკუმენტებში. ამავე დროს მ. ს. გორბაჩოვი აღნიშნავს, რომ განვითარებული სოციალიზმის თეზისმა ჩვენში გავრცელება ჰპოვა როგორც **რეაქციამ კომუნიზმის აშენების გზებისა და ამოცანების გადაწყვეტის ვადების გაიოლებულ წარმოდგენაზე.** მაგრამ შემდეგ განვითარებული სოციალიზმის განმარტებაში აქცენტი თანდათან გადაადგილდა. არცთუ იშვიათად ხდებოდა მხოლოდ წარმატებათა კონსტატაცია, ბევრი საჭირბოროტო პრობლემა კი, რაც დაკავშირებულია ინტენსიფიკაციის რელსებზე ეკონომიკის გადაყვანასთან, შრომის ნაყოფიერების ზრდასთან, მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესებასთან, ნეგატიური მოვლენების დაძლევასთან, მიჩუმათებული რჩებოდა და ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობოდა. ამრიგად, მიუთითებს მ. ს. გორბაჩოვი, „ნებსით თუ უნებლიეთ, ეს გვევლინებოდა მომწიფებული ამოცანების გადაწყვეტის დაყოვნების თავისებურ გამართლებად. დღეს, როდესაც პარტია აცხადებს და ახორციელებს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კურსს, ამგვარი მიდგომა მიუღებელია.“[3]

ბევრი თეორიული სიახლეა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენების იმ ნაწილში, სადაც ჭეშმარიტი მეცნიერული სიღრმითაა განხილული თანამედროვე მსოფლიოს ძირითადი ტენდენციები და წინააღმდეგობანი. ჩამოყალიბებულია **მსოფლიო სოციალიზმის** გადამწყვეტი მნიშვნელობა, **ანტიკოლონიური რევოლუციების,** ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა და **საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის** აღმავლობა, როგორც საზოგადოებრივი პროგრესის აშკარა გამოხატულება.

---

[1] მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას, თბ., 1986 წ. გვ. 4-5.

[2] იქვე, გვ. 5.

[3] იქვე, გვ. 160.

მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში მოცემულია **მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის არსი და შედეგები** სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემების განვითარებაში, დასაბუთებულია, რომ ეს მოვლენა **ვერ აუქმებს, ვერ ანელებს კაპიტალიზმის ძირითად წინააღმდეგობებს,** რომ 80-იანი წლების კაპიტალიზმი, ელექტრონიკისა და ინფორმატიკის, კომპიუტერებისა და რობოტების კაპიტალიზმი ქუჩაში ყრის მილიონობით ადამიანს, მათ შორის პირველ რიგში ახალგაზრდებს. მილიტარიზმი, რომელიც XX საუკუნის ყველაზე მახინჯი და შემზარავი ურჩხული ხდება, ყველაზე მოწინავე მეცნიერულ-ტექნიკურ აზრს მასობრივი მოსპობის იარაღად აქცევს.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში გამდიდრებულია ჩვენი შეხედულება წინააღმდეგობათა მთელ კომპლექსზე ორი სისტემის სახელმწიფოებს, ორი ფორმაციის შორის, კაპიტალისტური სამყაროს შინაგან წინააღმდეგობებზე, კაპიტალიზმის საერთო კრიზისის თაობაზე, შრომასა და კაპიტალს შორის და სხვა.

მოხსენების მეტად მნიშვნელოვანი თეორიული სიახლეა დასკვნა იმის შესახებ, რომ ბოლო წლებში სწრაფად გაძლიერდა **ტრანსეროვნული მონოპოლისტური კაპიტალი.**

„წარმოიშვა და სწრაფად იხლართება წინააღმდეგობათა ახალი კვანძი, — მიუთითებს მ. ს. გორბაჩოვი, — **ტრანსეროვნულ კორპორაციებსა და საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ფორმას შორის.** ტრანსეროვნული კორპორაციები ძირს უთხრიან როგორც განვითარებადი, ისე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების სუვერენიტეტს. ისინი აქტიურად იყენებენ სახელმწიფო-მონოპოლისტურ რეგულირებას, როდესაც ეს ხელს აძლევთ და სასტიკი კონფლიქტი მოსდით მასთან, თუ ბურჟუაზიულ მთავრობათა მოქმედებაში თავიანთი მოგებისათვის რაიმე საფრთხეს ხედავენ.“[4]

ასევე ახალია დასკვნა იმის თაობაზე, რომ აშკარა თუ ფარული წინააღმდეგობებით არის აღსავსე თანამედროვე **იმპერიალიზმის სამი ძირითადი ცენტრის** — ამერიკის შეერთებული შტატების, დასავლეთ ევროპისა და იაპონიის ურთიერთობა. უახლოეს კონკურენტებთან შედარებით ეკონომიკურ, ფინანსურ, ტექნოლოგიურ უპირატესობას, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებს გააჩნდა 60-იანი წლების მიწურულამდე, სერიოზული საფრთხე შეექმნა. დასავლეთ ევროპამ და იაპონიამ შეძლეს ზოგ რამეში შეევიწროებინათ ამერიკელი პატრონი. ისინი აღარ ეპუებიან შეერთებულ შტატებს ჰეგემონიის ისეთ ტრადიციულ სფეროშიც კი, როგორიცაა უახლესი ტექნიკა.

დაბოლოს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დებულებას **მზარდი იმპერიალისტური მილიტარიზაციის** შესახებ, რომელსაც ყველაფერი განუმსჭვალავს, როგორც ეკონომიკის გამოცოცხლების ყველაზე გასავლიან საშუალებას. ეს არის პოლიტიკური ინსტიტუტების, სულიერი სფეროს მზარდი კრიზისი, რეაქციის დამთრგუნავი ზემოქმედება ყველა ხაზით — საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, ეკონომიკასა და კულტურაში, კაცობრიობის გენიის მიღწევათა გამოყენებაში. კონსერვატიზმის ტრადიციული ფორმები ადგილს უთმობს ავტორიტარულ ტენდენციებს, რაც კვებავს, სხვათაშორის, საერთაშორისო ტერორიზმს.

---

4 იქვე, გვ. 23-24.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ეს თეორიული სიახლე, თანამედროვე მსოფლიოს ძირითადი ტენდენციებისა და წინააღმდეგობების ზუსტ განსაზღვრაში საშუალებას აძლევს ჩვენს პარტიას, საბჭოთა სახელმწიფოს, გამოიმუშავოს **ერთად-ერთი სწორი, მეცნიერულად დასაბუთებული სტრატეგია და ტაქტიკა საერთაშორისო ასპარეზზე,** განახორციელოს ის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის აქციები, რომლებიც მიმართულია თერმობირთვული კატასტროფის თავიდან აცილებისკენ, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისაკენ. ეს ანალიზი განაპირობებს საბჭოთა კავშირის მთელ საგარეო პოლიტიკას, განვითარებულ და განვითარებად კაპიტალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობის სპეციფიკას, ნეოკოლონიალიზმის მხილების დამაჯერებლობას, იმ ქვეყნებთან ურთიერთობას, რომლებმაც, მართალია მოიპოვეს ეროვნული სუვერენიტეტი და პოლიტიკური დამოუკიდებლობა, მაგრამ ჯერ კიდევ იმპერიალიზმის ეკონომიკურ ტყვეობაში იმყოფებიან.

ჩვენი პარტიის მეთაურის მ. ს. გორბაჩოვის ბოლო გამოსვლები საერთაშორისო პრობლემებზე ეფუძნებიან სწორედ იმ ბრძნულ, ლენინურ სტრატეგიასა და ტაქტიკას საერთაშორისო პოლიტიკის წარმართვაში, რაც გამოიმუშავა ჩვენი პარტიის XXVII ყრილობამ.

2. XXVII ყრილობამ მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო **საბჭოთა საზოგადოების შემდგომი დემოკრატიზაციისა და ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის გაღრმავების საკითხებს.** ეს შემთხვევითი როდია. ჩვენი ქვეყნის ისტორიაში იყო მომენტები, როცა როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ხასიათის მიზეზებით სოციალისტური დემოკრატია იზღუდებოდა. რომ არაფერი ვთქვათ ისეთ ექსტრემალურ ფაქტორებზე, როგორიც იყო სამოქალაქო ომი და ინტერვენცია, სამამულო ომი გერმანელ-ფაშისტ დამპყრობლების წინააღმდეგ, თვით სოციალიზმის გამარჯვება ერთ ქვეყანაში, კაპიტალისტური გარემოცვა, ეკონომიკური და პოლიტიკური ბლოკადა, შინა და გარე კონტრრევოლუციის გაერთიანებული ძალების ცდა — რადაც უნდა დაჯდომოდათ, მოეხდინათ კაპიტალიზმის რესტავრაცია რუსეთში, რაღა თქმა უნდა, არ უწყობდა ხელს სოციალისტური დემოკრატიის ფართოდ განვითარებას. თავის დროზე ვ. ი. ლენინი მწარედ დასცინოდა რენეგატ კაუცკის, რომელიც თეთრგვარდიელებით შემორტყმულ საბჭოთა რუსეთისაგან, ბოლშევიკური პარტიისაგან მოითხოვდა „წმინდა დემოკრატიის“ განხორციელებას და კიცხავდა პროლეტარიატის დიქტატურას, რომელიც გმირულად იგერიებდა სოციალიზმის აურაცხელ მტრებს, ყოველი ღონითა და საშუალებით იცავდა მსოფლიოში პირველი მუშებისა და გლეხების სახელმწიფოს.

დღევანდელი დღე, რაღა თქმა უნდა, პრინციპულად განსხვავდება წინაპერიოდისაგან. ახლა ყველა პირობაა შექმნილი (ობიექტურიცა და სუბიექტურიც) იმისათვის, რომ სოციალისტური დემოკრატია განვითარდეს სრულად. სწორედ ამიტომ პარიტის XXVII ყრილობაზე საგანგებოდ აღინიშნა, რომ **საზოგადოების განვითარების დაჩქარება წარმოუდგენელი და შეუძლებელია, თუ კიდევ უფრო არ განვავითარეთ სოციალისტური დემოკრატია, მისი ყველა მხარე და გამოვლინება.**

მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ სოციალისტური თვითმმართველობის განვითარების წამყვანი ძალა და მთავარი გარანტი პარტიაა. ასრულებს რა

ბელმძღვანელ როლს საზოგადოებაში, **იგი თვითონ არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური თვითმმართველი ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა.** ავითარებს რა შინაპარტიულ დემოკრატიას, ზრდის პოლიტიკური სისტემის ყველა რგოლში მომუშავე კომუნისტების აქტიურობას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია სწორ მიმართულებას აძლევს ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის გაღრმავების, ქვეყნის საქმეებში მასების, თითოეული ადამიანის მონაწილეობის გაფართოების პროცესს.

ზოგიერთი საქმეში ჩაუხედავი პირი თვლის, რომ პარტიის ხელმძღვანელი როლის შემდგომი ზრდა და სოციალისტური დემოკრატიის განვითარება, ხალხის თვითმმართველობის გაღრმავება ერთმანეთს არ შეესატყვისება. ასეთი შეხედულება დაფუძნებულია სრულ გაუგებრობაზე. პირიქით, პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი ფუნქცია, კომუნისტების ავანგარდული და აქტიური მოღვაწეობა უზრუნველყოფს საბჭოების, პროფესიული კავშირების, კომკავშირის, საზოგადოებრივი და შემოქმედებითი ორგანიზაციების სრულყოფილ მუშაობას. პარტია არ ენაცვლება არც ერთი მათგანის ფუნქციონირებას, არ ზღუდავს მათს ინიციატივას, არ უგულებელყოფს მათს სპეციფიკას, პირიქით, ხელს უწყობს, რომ მათ იმოღვაწეონ კიდევ უფრო აქტიურად და განახორციელონ ჭეშმარიტი სოციალისტური დემოკრატია, ფართო სახალხო თვითმმართველობა. ამრიგად, **პარტიის ხელმძღვანელი როლის ზრდა და სოციალისტური დემოკრატიის განვითარება — ეს არის ერთიანი, დიალექტიკური პროცესი.**

შემთხვევითი როდია, რომ მ. ს. გორბაჩოვმა თავის მოხსენებაში საგანგებოდ აღნიშნა:

„უნდა გავზარდოთ მშრომელების, ყველას და თითოეულის აქტიურობა აღმშენებლობითს მუშაობაში ნაკლოვანებების, ბოროტმოქმედების, ყოველნაირი ავადმყოფური გამოვლინების, ჩვენი უფლებისა და მორალის ნორმებიდან გადახრების დაძლევაში. დემოკრატია იყო და კვლავ იქნება **სოციალისტური კანონიერების განმტკიცების** უმნიშვნელოვანესი ბერკეტი, ხოლო მტკიცე კანონიერება — ჩვენი დემოკრატიის განუყოფელი ნაწილი.“[5]

ყრილობამ დასახა ამოცანა — გაუმჯობესდეს საბჭოთა კანონების ხარისხი. ითქვა, რომ ჩვენმა კანონმდებლობამ, — სამოქალაქო და შრომითმა, საფინანსო და ადმინისტრაციულმა, სამეურნეო და სისხლის სამართლის კანონმდებლობამ — კიდევ უფრო აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი მართვის ეკონომიკური მეთოდების დანერგვას, შრომისა და მოხმარების ოდენობისადმი ქმედითს კონტროლს, სოციალური სამართლიანობის პრინციპის განხორციელებას.

„უცვლელ ამოცანად რჩება, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში, — საბჭოთა კანონების მთელი ძალის გამოყენება დამნაშავეობისა და სხვა სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში, რომ ადამიანები ყოველ დასახლებულ პუნქტში გრძნობდნენ სახელმწიფოს ზრუნვას მათი სიმშვიდისა და ხელშეუხებლობისათვის, დარწმუნებული იყვნენ, რომ ვერც ერთი სამართალდამრღვევი ვერ წაუვა საკადრის სასჯელს.“[6]

---

[5] იქვე, გვ. 103-104.
[6] იქვე, გვ. 104.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ყრილობამ მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო იდეოლოგიური, აღმზრდელობითი მუშაობის მთელ კომპლექსში საზოგადოებრივი მეცნიერების შემდგომი განვითარების პრობლემებს, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ დაჩქარების მრავალმხრივ ამოცანებს, მის ურთიერთდაკავშირებულ ასპექტებს — პოლიტიკურს, ეკონომიკურს, მეცნიერულ-ტექნიკურს, სოციალურს, კულტურულ-სულიერსა და ფსიქოლოგიურს — შემდგომი ღრმა და ყოვლისმომცველი ანალიზი ესაჭიროება. „ჩვენ, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში, — უაღრესად გვჭირდება სერიოზული ფილოსოფიური განზოგადებანი, დასაბუთებული ეკონომიკური და სოციალური პროგნოზები, ღრმა ისტორიული გამოკვლევები.“[7]

დრო აყენებს საკითხს, აღინიშნა ყრილობაზე, რომ საზოგადოებრივმა მეცნიერებებმა ფართოდ გაითვალისწინონ პრაქტიკის კონკრეტული საჭიროებანი, მოითხოვს, რომ საზოგადოებათმცოდნე მეცნიერები ფხიზლად რეაგირებდნენ ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებებზე, თვალთახედვიდან არ უშვებდნენ ახალ მოვლენებს, გამოჰქონდეთ დასკვნები, რომლებიც სწორ გეზს მისცემენ პრაქტიკას. ცხოველუნარიანია მხოლოდ ის მეცნიერული მიმართულებანი, რომლებიც პრაქტიკისაგან გამომდინარეობს და მასვე უბრუნდება ღრმა განზოგადებებითა და გონივრული რეკომენდაციებით გამდიდრებული. სქოლასტიკა, მედავითნეობა და დოგმატიზმი ყოველთვის ბორკავდა ნამდვილი ცოდნის შეძენას, ისინი ადუნებენ აზროვნებას, შეუვალი კედლით ყოფენ მეცნიერებას ცხოვრებისაგან, ამუხრუჭებენ მის განვითარებას. ჭეშმარიტებას ვერ იპოვი დეკლარაციებსა და მითითებებში, იგი იბადება მეცნიერულ კამათსა და პაექრობაში, მოწმდება მოქმედებით.

„შემოქმედების ატმოსფერო, — თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, — რომელსაც პარტია ამკვიდრებს ცხოვრების ყველა დარგში, განსაკუთრებით სასიკეთოა საზოგადოებრივი მეცნიერებებისათვის. იმედი გვაქვს, მას აქტიურად გამოიყენებენ ჩვენი ეკონომისტები და ფილოსოფოსები, იურისტები და სოციოლოგები, ისტორიკოსები და ლიტერატურათმცოდნეები ახალი პრობლემების გაბედული, ინიციატივიანი დაყენებისათვის, მათი შემოქმედებითი თეორიული დამუშავებისათვის.“[8]

ეს მითითება სახელმძღვანელოდ უნდა გაიხადოს ყოველმა საზოგადოებათმცოდნემ, ვისაც სურს კონკრეტული დახმარება გაუწიოს პარტიას მისი ურთულესი პოლიტიკური და ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოხსენებაში, ყრილობის დელეგატების გამოსვლებში, კერძოდ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ჯ. ი. პატიაშვილის სიტყვაში დიდი ყურადღება დაეთმო პარტიელის სპეტაკი და პატიოსანი სახის მნიშვნელობას მთელი ჩვენი აღმზრდელობითი მუშაობისათვის, ჯანსაღი პოლიტიკური და მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნისათვის. აღინიშნა, რომ ჩვენ დიდ ზიანს გვაყენებს ის, რომ ზოგიერთი კომუნისტი ულირსად იქცევა, საძრახის საქციელს სჩადის. ბოლო ხანს სხვადასხვაგვარი ბოროტმოქმედებისათვის თანამდებობიდან მოხსნილია

---

7 იქვე, გვ. 144-145.

8 იქვე, გვ. 145-146.

და პარტიიდან გაირიცხა ბევრი ხელმძღვანელი მუშაკი. ზოგიერთი მათგანი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა. რაღა თქმა უნდა, ასეთი გადაგვარებული პირები გავლენას ახდენენ გარემოზე, ხრწნიან საზოგადოების ზოგიერთ წევრს, ნიჰილისტურ განწყობილებებს ბადებენ საზოგადოების ერთ ნაწილში, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში.

„განა საჭიროა, — აღნიშნა ყრილობაზე მ. ს. გორბაჩოვმა, — იმის შეხსენება, რომ ხელმძღვანელის, უწინარეს ყოვლისა, პარტიული ხელმძღვანელის პიროვნებას უკავშირებენ ადამიანები იმ კონკრეტული, რეალური ცხოვრების ავსა და კარგს, რომლითაც ცხოვრობენ. პარტიის რაიონული, საქალაქო თუ საოლქო კომიტეტის მდივნის მიხედვით მსჯელობს რიგითი მშრომელი პარტიულ კომიტეტზე, მთლიანად პარტიაზე.“[9]

ამასწინათ საქართველოს საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა გამოჩენილი რევოლუციონერ-ლენინელების — ლადო კეცხოველის, ალექსანდრე მიასნიკოვის, სერგეი კიროვის, ერნსტ ტელმანის საიუბილეო თარიღები. ამა წლის ოქტომბერში აღინიშნება სერგო ორჯონიკიძის დაბადების 100 წლისთავი. ამ მოღვაწეების მიხედვით ხალხი დიახაც მსჯელობს იმის თაობაზე, თუ ვინ და რანი არიან კომუნისტები. ეს უნდა კარგად ახსოვდეს ყოველ პარტიულ და სხვა ხელმძღვანელს.

საქართველოს მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თავგანწირვით იბრძვიან პარტიის XXVII ყრილობის ისტორიულ დადგენილებათა ხორცშესხმისათვის. ამ ბრძოლაში მათ ადუღაბებს დიდი საბრძოლო და შრომითი ტრადიციების მქონე ჩვენი დიადი პარტია, უკვდავი ლენინის პარტია. ახლა მთავარია სიტყვა საქმედ იქცეს, იდეა — რეალობად. ეს ჩვენი სისხლხორცეული საქმეა, ჩვენს მაგივრად ვერავინ შეასრულებს იმას, რაც პარტიამ დასახა. ნაკლები ლაპარაკი, მეტი ქმედება, ნაკლები შეპირებები, მეტი კონკრეტული საქმეები, ნაკლები თვითკმაყოფილება, მეტი თვითკრიტიკულობა და მომთხოვნელობა, ნაკლები ტკბობა მიღწეულით, მეტი თავდადება ახალი ზღუდეების დასაპყრობად. ამას მოითხოვს ჩვენგან პარტია.

---

[9] იქვე, გვ. 143.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დისციპლინა და მომთხოვნელობა ჩვენი წარმატების საწინდარია

გურამ შათირიშვილი,
თელავის რაიონის სოფელ იყალთოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე,
საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატი

საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობამ რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ახალი ამოცანები დასახა. კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის აუცილებლობამ კი, რაც თავისთავად არის დაკავშირებული ადამიანთა დაუღალავ შრომასთან, ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის დონის, აგრეთვე, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ამაღლებასთან, ცხადია, უდიდესი ამოცანების წინაშე დააყენა სოფლის მშრომელები. ჩვენი ღრმა რწმენით ამ წარმატებათა უპირველესი და აუცილებელი პირობაა საზოგადოებრივი წესრიგის, საშემსრულებლო და შრომის დისციპლინის, მომთხოვნელობის გაზრდა, კანონისა და კანონქვემდებარე აქტების დროული მომარჯვება იმ დარღვევათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც ხელს უშლიან და აფერხებენ ჩვენს წინსვლას.

აღნიშნულ საკითხებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დღეს, როცა უკვე ხელთ გვაქვს ჩვენი შემდგომი ცხოვრების თითქმის მთელი ათწლეულის სამოქმედო პროგრამა. ამაზე ჯერ რესპუბლიკის კომუნისტებმა იმსჯელეს თავიანთ ყრილობაზე, რომლის დელეგატი მეც ვიყავი, შემდეგ კი საკავშირო ისტორიულმა ფორუმმა, სკკპ XXVII ყრილობამ საბოლოოდ განსაზღვრა საბჭოთა საზოგადოებრივი ცხოვრების გზები და ამოცანები. სკკპ XXVII და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობების დავალებათა შესასრულებლად კი უკვე დაირაზმნენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, რომლებმაც საქმით უნდა დაამტკიცონ პარტიის პოლიტიკის ერთგულება და ღირსეული მაჩვენებლები უპატაკონ სამშობლოს.

ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულ ამ საერთო-სახალხო შრომაში აქტიურად არის ჩაბმული თელავის რაიონის იყალთოს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაც. სოფლის მშრომელები, რომელთა წარმატებები დღეს უკვე კარგად არის ცნობილი, ძალღონეს არ იშურებენ, რათა უფრო მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიონ, რადგან კარგად იციან, რომ უკვე მიღწეული მიჯნები ზღვარი არასოდეს არ არის. ამ რწმენითა და შთაგონებით აღვსილი იყალთოელები დღენიადაგ ვენახებსა და ზვრებში ტრიალებენ, არ უშინდებიან სიძნელეებს, ამინდის ჭირვეულობას და დარწმუნებულნი არიან, რომ პირნათლად გაანაღდებენ ახალი ხუთწლედის ვალდებულებებს.

ჩვენი კოლმეურნეობის შემოსავალმა გასულ წელს 1,6 მილიონის ნაცვლად 2,5 მილიონი მანეთი შეადგინა, ხოლო ერთი კაც-დღის ღირებულება 14 მანეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და 60 კაპიკი იყო. ძირითადი ანაზღაურებისა და პრემიების სახით კოლმეურნეობამ მიიღეს 1 მილიონ 350 ათასი მანეთი, ხოლო სახელმწიფოს მივეცით 424 ათასი მანეთის მოგება. ამან კიდევ უფრო განამტკიცა კოლმეურნეობის ეკონომიკა, გააუმჯობესა თითოეული კოლმეურნეობის ცხოვრების პირობები, სასიკეთო კვალი დააჩნია სოფელსაც: ამუშავდა აბანო, კაპიტალურად შეკეთდა კულტსახლი, დამთავრდა წყალსადენის მშენებლობა, ქუჩები ლამპიონებმა დაამშვენა, მოეწყო შიდა სასოფლო გზები და სხვ.

ყველაფერი ეს კი უბრალოდ, ერთი ხელის დაკვრით არ მომხდარა. ამ წარმატებებს საფუძველი ჩაეყარა ამ ორიოდე წლის წინ, როდესაც კოლმეურნეობის ახლადარჩეულმა გამგეობამ მთლიანად გარდაქმნა მუშაობა და გზა გაუხსნა სიახლეთა დანერგვას, საქმიან ინიციატივებს, მოწინავეთა გამოცდილების გაზიარებას და, რაც ყველაზე მთავარია, დისციპლინისა და პასუხისმგებლობის გაზრდას.

სწორედ საზოგადოებრივი წესრიგის განუხრელმა განმტკიცებამ, მკაცრმა, მაგრამ სამართლიანმა მომთხოვნელობამ, კოლმეურნეობის აქტივისა და საშუალო რგოლის პასუხისმგებლობის გაზრდამ განაპირობა ჩვენი წარმატებები. თავიდანვე დავისახეთ მიზნად, რომ სოფელში საბოლოოდ გადაგვეღობა გზა ყოველგვარი დანაშაულისა და გადაცდომისათვის, კარი დაგვეხშო საკოლმეურნეო ქონების დამტაცებლებისათვის, აღმოგვეფხვრა უყაირათობა და დაუდევრობა, აგვემაღლებინა საშემსრულებლო დისციპლინა, კოლმეურნეობის ველმინდვრებზე, ვენახებში, მეცხოველეობის ფერმებსა და მექანიზაციის ბრიგადებში შრომას ხალისი და ფასი დასდებოდა, ადამიანებისათვის შთაგვენერგა დანაშაულთან შეურიგებლობა.

დავიწყეთ იმით, რომ ამ საერთო-სახალხო საქმეში მთელი სოფელი ჩავაბით. სასოფლო საბჭოს აღმასკომი, საშუალო სკოლა, ღვინის ქარხანა, პროფტექნიკური სასწავლებელი, საექიმო ამბულატორია, ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, საქვეყნოდ აღიარებული იყალთოს სახალხო უნივერსიტეტი — აი ძირითადი ბირთვი, ვინც ჩვენთან გვერდით დგომა და მხარდაჭერა ითავა.

მთავარი მაინც ის იყო, რომ საკოლმეურნეო შრომაში თავიდანვე ჩაგვება სოფლიდან გაქცეული პირები, საკოლმეურნეო ვენახებსა და ზვრებში დაგვებრუნებინა სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებებში წასულები, რომლებმაც დაბალი ანაზღაურების საბაბით აითვალისწუნეს მშობლიური მინდვრები. ასეთები კი საკმაოდ იყვნენ. ძნელი მუშაობის ჩატარება მოგვიხდა, მაგრამ არაფერი დაგვიზოგია ადამიანებისათვის სოფლის სიყვარული რომ დაგვებრუნებინა. ბევრი პირველი დღეებიდანვე ამოგვიდგა მხარში, ვენახი გაიპიროვნა, ვაზს სანიმუშოდ მოუარა და სხვების მაგალითად იქცა. ბრიგადირებსა და მექანიზატორებს საკმაოდ პრინციპულად მოვთხოვეთ, რომ ასეთ ადამიანებს გვერდში ამოდგომოდნენ და დახმარებოდნენ. მართლაც, როდესაც მოსავალმა მოლოდინს გადააჭარბა და შრომაც დაფასდა, როდესაც ზოგიერთის პრემიამ ხელფასის გარდა 4.000 მანეთზე მეტი შეადგინა, კოლმეურნეობისაკენ სხვებიც შემობრუნდნენ. დღეს ჩვენი კოლმეურნეობის ვენახების გარკვეულ პროცენტს სწორედ ასეთი პირები ამუშავებენ და არც თუ ურიგოდ. ამით, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად გაიზარდა კოლმეურნეობის მუშახელი და ამაღლდა შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჩვენი კოლმეურნეობის ყველა უბანზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი და დისციპლინაა დამყარებული. სახალხო კონტროლის ჯგუფი, რომელსაც ე. ბაჩიაშვილი უდგას სათავეში და დაცვის უფროსი ა. მრელაშვილი, როგორც იტყვიან, დღე და ღამე მინდვრებში ტრიალებენ. მათ თვალს არაფერი არ უნდა გამოეპაროს. ადგილებზე შექმნილი საგუშაგოები და მეველეები მკაცრად აკონტროლებენ ყველა სამუშაოს, ზრუნავენ იმისათვის, რომ მაღალ დონეზე, კვალიფიციურად იყოს ჩატარებული ხვნა, თესვა, სხვლა, ვაზის მწვანე ოპერაციები, წამლობა, მოსავლის აღება-დაბინავება, საქონლის კვება, წველა, რძის ცხიმიანობა, სასაწყობო მეურნეობა და სხვ. — თუმცა, ვინ ჩამოთვლის ამომწურავად საკოლმეურნეო საქმეებს. სულ უბრალო დარღვევაც კი შემდეგ საგანგაშო მსჯელობის საგანი ხდება ხოლმე და დამნაშავენი მკაცრად ისჯებიან. გამგეობასთან ერთად აქ ყოველთვის სამართლიან და გადამწყვეტ სიტყვას იყალთოელი კომუნისტები ამბობენ. ამ მუშაობას შედეგიც კარგი მოსდევს. უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობაში წვრილმანი დატაცების ფაქტსაც კი არ ჰქონია ადგილი.

მაგრამ იყალთო მხოლოდ კოლმეურნეობა არ არის. სოფელი საკმაოდ დიდია და ახალგაზრდობის უყურადღებოდ დატოვება ერთი წუთითაც არ შეიძლება. იმის გარდა, რომ აქ წლების მანძილზე სანიმუშოდ მოღვაწეობს სახალხო უნივერსიტეტი, რომელმაც დიდი ხანია იყალთოელების სასარგებლოდ გადაწყვიტა თავისუფალი დროის პრობლემა, სოფელში აქტიურად მოქმედებენ აგრეთვე სასოფლო საბჭოს აღმასკომთან შექმნილი საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი რაზმები, რომელთა კოორდინაციასა და მუშაობას კარგად უძღვება უბნის ინსპექტორი გ. არაბული. ტონის მიმცემი აქ მაინც კოლმეურნეობაში ახლადშექმნილი ახალგაზრდული ბრიგადაა, რომელსაც კომკავშირელი ვ. დედაბრიშვილი უდგას სათავეში. 20 ჰექტარი ვენახი, რომელსაც ისინი უვლიან, წელსაც სანიმუშოდაა მოვლილი, რადგან ბრიგადის წევრებმა მაღალი მოსავლის მიღება ივალდებულეს. ახალგაზრდებს კი სიტყვის გატეხვა არ სჩვევიათ. იმედი გვაქვს, რომ ეს ბრიგადა უფრო გაიზრდება, გაძლიერდება და თავის გარშემო შემოიკრებს ყველა იყალთოელს, ვინც კი აქამდე რატომღაც ალმაცერად უყურებდა საკოლმეურნეო შრომას. კეთილშობილური შრომა კი თავისთავად მხოლოდ კარგ თვისებებს აყალიბებს, განამტკიცებს წესრიგსა და პატიოსნებას, ხელს უწყობს საბჭოური პრინციპების ჩამოყალიბებას, ადამიანთა შორის კომუნისტური ცხოვრების ნორმების დამკვიდრებას.

შრომითი ჩვევების ჩამოყალიბების ერთ-ერთ საუკეთესოდ ფორმად მივვაჩნია აგრეთვე სკოლისა და კოლმეურნეობის საქმიანი ურთიერთობის განმტკიცება. სწორედ ამას ვითვალისწინებდით, როცა გასულ წელს იყალთოს საშუალო სკოლის ბაზაზე ჩამოვაყალიბეთ მოსწავლეთა მინი-კოლმეურნეობა. თავმჯდომარეც, ბრიგადირიც, ბუღალტერიც და სხვა ხელმძღვანელებიც აქ მოსწავლეები არიან. საერთო ზედამხედველობასა და მეთვალყურეობას, რა თქმა უნდა, უფროსები, კოლმეურნეობის სპეციალისტები უწევენ, მაგრამ მთავარი ყურადღება მაინც იმას ექცევა, რომ ბავშვებმა შეიყვარონ შრომა, თავიდანვე შეეგუონ ცხოვრების სიძნელეებს და იყვნენ დისციპლინიანნი, თავისი სოფლისა და საქმის პატრიოტები.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებებზე, რომლის საფუძველზეც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრე-

ზიდიუმმა 1985 წლის 25 მაისს მიიღო ბრძანებულება „ლოთობისა და ალკოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, არყის შინ გამოხდის აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ“. როგორც ცნობილია, იყალთო მევენახეობის ტრადიციების მქონე სოფელია და ამ ბრძანებულების ის პუნქტი, რომლითაც არყის შინ გამოხდა აიკრძალა, უცბად ვერ გაიგო მოსახლეობამ. იმისათვის, რომ მშრომელებს ზუსტად აღექვათ კანონმდებლობის აზრი და მიზანი, გარკვეული მუშაობის ჩატარება მოგვიხდა. იყალთოელებმა გაითავისეს პარტიისა და მთავრობის პოლიტიკა და ლოთობასთან ბრძოლას შემტევი ხასიათი მიანიჭეს. მიუხედავად იმისა, რომ აქა-იქ წინააღმდეგობები შეგვხვდა, სოფლის აქტივისა და მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერით მართალმა აზრმა მაინც გაიმარჯვა. საამისოდ დროულად ჩავატარეთ პროფილაქტიკური ღონისძიებანი, შემჩნეულ და საეჭვო პირებს ჩამოვართვით არყის გამოსახდელი ხელსაწყოები და თითქმის თითოეული იყალთოელის შეგნებამდე დავიყვანეთ კანონის აზრი და მიზანი. ამ მხრივ იყალთოში სრული სიმშვიდეა. ღვინო ხომ ჩვენი სიმდიდრე, სიამაყეა და მამა-პაპათა ტრადიციებით იგი ყველა ოჯახს აქვს შენახული. ამის მიუხედავად, ლოთობის ერთი ფაქტიც კი არ გვქონია. რაც შეეხება ღვინის ზომიერად სმას და მოხმარებას, იგი კანონს არ აუკრძალია და ამიტომ არც არავის ეკრძალება. აქ საქმე გვაქვს მხოლოდ ლოთობასთან, რაც ძირითადად უსაქმურობისა და მუქთახორობის შედეგია. კოლმეურნეობის გამგეობა და პარტიული ორგანიზაცია შეურიგებელნი არიან ჩვენი ცხოვრების ამ მავნე გადმონაშთებთან ბრძოლაში და არავის აპატიებენ სულ უბრალო დაუდევრობას, დანაშაულთან შეგუებასა და მომხდარ დარღვევებზე თვალის დახუჭვას.

ისე არავინ იფიქროს, თითქოს ჩვენთან აღარავითარი პრობლემები არ იყოს და ყველაფერს ზარ-ზეიმის ელფერი დაჰკრავდეს. პირიქით, ჩვენი კოლმეურნეობის სინამდვილეში უამრავი საკითხი გვაქვს გადასაწყვეტი, დღეს ცხოვრება ისე სწრაფად მიდის წინ, რომ თუ ადამიანი ოდნავ შეფერხდა, ჩამორჩენაც გარანტირებული აქვს. სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ახალი ამოცანები კიდევ უფრო მეტად აძლიერებს და ზრდის სოფლის მეურნეობის მუშაკთა პასუხისმგებლობას. ცხადია, ამ სიახლეთა დანერგვას სიძნელეებიც და პრობლემებიც ბევრი ახლავს თან.

კოლმეურნეობის გამგეობა, პარტიული ორგანიზაცია, პროფკავშირისა და კომკავშირის კომიტეტები დღენიადაგ იმაზე ზრუნავენ, რომ კვლავაც იმატოს საკოლმეურნეო ბარაქამ, უხვი და მაღალხარისხოვანი იყოს ჩვენს მიერ მოწეული მოსავალი, არ გვყავდნენ ჩამორჩენილები და სოფელშიც იგრძნობოდეს ჯანსაღი ატმოსფერო, ადამიანები ცხოვრობდნენ მშვიდად, ხალისიანად, იმ შეგნებითა და რწმენით, რომ აქ არასოდეს მოხდეს დანაშაული.

—•—

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლწესრიგისა და სოციალური სამართლიანობის სადარაჯოზე

ალექსანდრე რეკუნკოვი,
სსრ კავშირის გენერალური პროკურორი

საბჭოთა დემოკრატიის სრულყოფისა და გაღრმავების დიდმნიშვნელოვანი განუყოფელი ელემენტია განმტკიცება სოციალისტური კანონიერებისა, რომელიც გვევლინება კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობის დამკვიდრების, პიროვნების უფლებათა დაცვისა და ამავე დროს საზოგადოების წევრთა დისციპლინისა და თვითდისციპლინის ამაღლების ქმედით ფაქტორად.

სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის შემდგომი გაფართოების, ყველა თანამდებობის პირისა და მოქალაქის მიერ საბჭოთა კანონების განუხრელი დაცვის აუცილებლობა დამკვიდრებულია სსრ კავშირის კონსტიტუციით და, როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის პროექტშია ნათქვამი, პარტიის ძუდმივი ზრუნვის საგნად რჩება. ადამიანის თავისუფლება, უფლებები, პიროვნების ღირსება — სოციალიზმის დროშაზე წარწერილი ეს მოთხოვნები რეალური შინაარსით არის აღვსილი ჩვენს ქვეყანაში. სოციალისტური ცხოვრების წესი ნიშნავს უფლებებისა და მოვალეობების ერთიანობას, საზოგადოებაში ერთიანი კანონებისა და ზნეობის ნორმების, ყველა მისი მოქალაქისათვის ერთი დისციპლინის მოქმედებას. თითოეული საბჭოთა ადამიანი მტკიცედ უნდა იყოს დარწმუნებული, რომ მისი კანონიერი ინტერესების სადარაჯოზე დგანან სახელმწიფოს ყველა ორგანო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. დაჟინებით უნდა აღმოვფხვრიდეთ ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის ყველა გამოვლინებას, გადაჭრით აღვკვეთდეთ და მკაცრად ვსჯიდეთ უპატიოსნობას, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, პირადი გამდიდრებისადმი მისწრაფებას, ნათლიმამობასა და პროტექციონიზმს — ეს არის ერთი იმ უმნიშვნელოვანესი დასკვნათაგანი, რომლებიც პარტიის საპროგრამო მითითებებიდან გამომდინარეობენ.

I

სოციალისტური კანონიერების ზუსტი და განუხრელი დაცვა საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ მოთხოვნილებას გამოხატავს. მართლწესრიგისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის აქტიური მუშაობა ამაღლებს პარტიისა და სახელმწიფოს ავტორიტეტს და სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფის ქმედითი საშუალება ხდება.

ამავე დროს კანონიერების უმკაცრესი დაცვის მნიშვნელობის ყოველგვარი შეუფასებლობა, მისი როლის დაკნინება, სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საბჭოთა კანონებით დამკვიდრებული სოციალური სამართლიანობის პრინციპებიდან ყოველი გადახვევა იწვევს, როგორც ამას მოწმობს საბჭოთა დემოკრატიის ჩამოყალიბება-განვითარების ისტორია, პოლიტიკური ხასიათის სერიოზულ ნაკლოვანებებს, უარყოფით გავლენას ახდენს როგორც ადამიანთა აღზრდაზე, ისე ეკონომიკის ზრდის ინტენსიურობაზეც. დაუფარავად უნდა ვთქვათ, რომ 70-იან წლებსა და 80-იან წლების დამდეგს ქვეყნის განვითარებაში წარმოქმნილი არასელსაყრელი ტენდენციები და სიძნელეები, არასაკმარისი სიმტკიცე და თანამიმდევრულობა შრომის ოდენობისა და მოხმარების ოდენობისადმი სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებაში, სოციალიზმისათვის უცხო მოვლენათა აღმოფხვრაში აფერხებდა მრავალი სახალხო-სამეურნეო ამოცანის გადაწყვეტას, იწვევდა საზოგადოებრივი დისციპლინის შესუსტებას. გამწვავდა ლოთობის, მუქთახორობის, უშრომელი შემოსავლის პრობლემები, გავრცელდა სხვადასხვაგვარი ბოროტმოქმედება, ირღვეოდა კანონიერებისა და ყველასთვის მისი აუცილებლობის ერთიანობის პრინციპი.

უზბეკეთის სს რესპუბლიკაში, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში, როსტოვის ოლქში, ზოგიერთ სხვა ადგილას შეწყნარებით ეკიდებოდნენ კანონებისა და სოციალისტური მორალის ნორმების დაუცველობის შემთხვევებს, ხშირად მფარველობდნენ მის დამრღვევთ, აგდებულად ეკიდებოდნენ მოქალაქეთა სიგნალებს, ურიგდებოდნენ სერიოზულ ნაკლოვანებებს იდეურ-აღმზრდელობით, საკადრო მუშაობაში. ყოველივე ამას მოჰყვა გაბიუროკრატებულ ხელმძღვანელთა ერთი ნაწილის შეზრდა საქმოსნებთან და თაღლითებთან, სახალხო დოვლათის ორგანიზებული დატაცება, კრიტიკის გამო ანგარიშის გასწორების შემთხვევები. საჭირო არ არის დაწვრილებით ვილაპარაკოთ იმაზე, თუ რა ზიანი მიაყენეს ამ და მსგავსმა დამახინჯებებმა მოქალაქეთა აღზრდის საქმეს, სახელმწიფო ორგანოების ავტორიტეტს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1985 წლის აპრილის პლენუმებმა ამგვარ მოვლენებს პრინციპული შეფასება მისცეს, გადაიდგა საჭირო ნაბიჯები ვითარების გაჯანსაღების გზაზე. ამასთან დაკავშირებით წამოჭრილ ამოცანათა განსაკუთრებულ აქტუალურობას მოწმობს ის, რომ სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ 1985 წლის ივლისში განიხილა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ანგარიში „მართლწესრიგის განმტკიცების, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის თაობაზე საბჭოთა კანონების მოთხოვნათა შესრულებისადმი ზედამხედველობისათვის საბჭოთა კავშირის პროკურატურის საქმიანობის შესახებ“

პარტიის ინიციატივით მიღებულ ზომებს ერთსულოვნად იწონებს ხალხი. შეიძლება მოვიყვანოთ ბევრი მაგალითი, რომლებიც ადასტურებენ, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების ენერგიული გაერთიანებული მეცადინეობის, თვით მშრომელთა აქტიურობის ამაღლების შედეგად, მარტო შრომის დისციპლინის განმტკიცების, სამართლის ნორმების დაცვის მეოხებით, მოშვებულობისა და უპასუხისმგებლობის გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების გზით მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, გაუმჯობესდა სამეურნეო საქმიანობის სხვა მაჩვენებლები. შესამჩნევად გაჯანსაღდა მორალური კლიმატი საწარმოო კოლექტივებში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით გაშლილი ბრძოლა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის აღმოფხვრისათვის უკვე ახლა იძლევა დადებითს შედეგებს: მცირდება ამ საფუძველზე სამართალდარღვევათა რიცხვი, კლებულობს დანაკარგები სამუშაოს გაცდენის გამო, მტკიცდება საზოგადოებრივი წესრიგი. უფრო სუფთა ხდება თვით ჩვენი ცხოვრების ატმოსფერო.

„პარტია, — აღნიშნულია სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში, — უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს შრომის დისციპლინის დარღვევების, დატაცებისა და მექრთამეობის, სპეკულაციის და მუქთახორობის, ლოთობისა და ხულიგნობის, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიისა და მომხვეჭელობის, მლიქვნელობისა და პირმოთნეობის თანამიმდევრულ და მტკიცე აღმოფხვრას. საჭიროა სრულად გამოვიყენოთ საამისოდ როგორც საზოგადოებრივი აზრის ავტორიტეტი, ისე კანონის ძალა“.

პარტიის საპროგრამო მითითებანი მოითხოვენ უფრო ღრმად ჩავწვდეთ ჩადენილ სამართალდარღვევათა მიზეზებსა და პირობებს, რომლებიც ხელს უწყობენ მათს გამძლეობას. სოციალიზმის ბუნება, მის მიერ მიღწეული სოციალურ-ეკონომიკური სიმწიფის ხარისხი, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის გაზრდილი დონე ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, ქმნიან იმის ხელშემწყობ პირობებს, რომ წარმატებით დავძლიოთ ნეგატიური მოვლენები.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ნასამართლობა რამდენჯერმე შემცირდა, თუმცა ქვეყნის მოსახლეობა არსებითად გაიზარდა. შეიცვალა დანაშაულობათა ხასიათიც. აწყამად ჩადენილ დანაშაულობათა 80 პროცენტზე მეტი არ განეკუთვნება მძიმე დანაშაულობათა რიცხვს, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი კი ესაზღვრება გადაცდომებს. ამ ბოლო ხანს შემცირდა მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის, არასრულწლოვანთა მიერ სამართალდარღვევების, აგრეთვე სისხლის სამართლის წესით დასჯადი მთელი რიგი სხვა ქმედობის რიცხვი. ჩვენ ქვეყანაში არის ათასობით დასახლებული პუნქტი, სადაც საერთოდ არ ხდება სერიოზული დანაშაულობანი ან მათ ერთეული ხასიათი აქვთ. და თუმცა დამნაშავეობის შემცირების პროცესი მთლად შეუფერხებლად არ მიმდინარეობს, მაგრამ პრაქტიკა ადასტურებს, რომ ჩვენს პირობებში ბევრი დანაშაული შეიძლება დროულად აღვკვეთოთ ან თავიდან ავიცილოთ.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს სოციალიზმის პირობებში დამნაშავეობა ლამის თავისთავად უნდა გაქრეს. „კაპიტალიზმის გადმონაშთები“ სულაც არ არის ანტისაზოგადოებრივი ქცევის ერთადერთი მიზეზი. მას წარმოშობენ აგრეთვე შეცდომები და ხარვეზები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს საქმიანობაში, სხვადასხვაგვარი წინააღმდეგობანი, რომლებიც თავს იჩენენ ხოლმე სოციალისტური მშენებლობის პროცესში. არ შეიძლება ვამტკიცებდეთ, რომ სოციალიზმის დროს თითქოს საერთოდ არ იყოს ობიექტური პირობები სამართალდარღვევებისა და დამნაშავეობისათვის. კარგადაა ცნობილი, რომ ისეთი მოვლენები, როგორიც არის ლოთობა, მუქთახორობა, მომხეეჭელობა, თვალის ახვევა, სულაც არ არის აღმოფხვრილი, ხოლო მათ წინააღმდეგ ბრძოლაში სიმტკიცისა და თანამიმდევრულობის უქონლობის პირობებში შეიძლება გაიზარდოს და ხელი შეეწყოს პიროვნების მახინჯ დეფორმირებას.

დამნაშავეობის, სხვა ნეგატიური მოვლენების დაძლევისა და საბოლოო ანგარიშით ლიკვიდაციის პრობლემა ვერ ამოიწურება მხოლოდ სამართლებრივი ნორმებისა და სამართალდაცვითი ორგანოების მუშაობის ქმედითობის გაძლიერების საკითხით. ამ პრობლემის გადაჭრა დამოკიდებულია საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელი ერთობლიობის სრულყოფაზე. დღესაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალურობა ვ. ი. ლენინის მითითებებს, რომ „კულტურული ამოცანა ვერ გადაწყდება ისე სწრაფად, როგორც პოლიტიკური და სამხედრო ამოცანები", რომ „თვით საქმის არსის გამო აქ საჭიროა უფრო გრძელი ვადა, და საჭიროა ამ გრძელ ვადას შეეგუო, გაითვალისწინო შენი მუშაობა, გამოიჩინო უდიდესი შეუპოვრობა, სიმტკიცე და სისტემურობა" (თხზ., ტ. 33, გვ. 73).

პრაქტიკა უარყოფს საკმაოდ ფართოდ გავრცელებულ აზრს, თითქოს ანტისაზოგადოებრივ ქცევასთან ბრძოლაში უფრო შთამბეჭდავი შედეგების მიღწევაში ხელს გვიშლიდეს ჩვენი კანონების „სისუსტე", „სირბილე". ზოგჯერ ეს მიაჩნიათ ლამის მთავარ მიზეზად, რომელიც აფერხებს დიდი ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტას.

ბოლო დროს ჩვენს ქვეყანაში გაშლილმა მუშაობამ წესრიგისა და საზოგადოებრივი დისპილინის განმტკიცებისათვის, ბუნებრივია, მოითხოვა მთელ რიგ საკანონმდებლო გადაწყვეტილებათა მიღება. მაგრამ ერთობ ნიშანდობლივია, რომ ახლანდელი კურსის განმსაზღვრელი ნიშანია არა იძულების ღონისძიებათა გაფართოება, არამედ იმისათვის მთავარი ყურადღების მიქცევა, რომ ამაღლდეს მშრომელთა ორგანიზებულობა და შეგნებული დისციპლინა, სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმებისა და წესების დამრღვევთა გარშემო შეიქმნას საყოველთაო გაკიცხვის ვითარება, რომ თითოეული საბჭოთა ადამიანი — მუშა იქნება ეს თუ მინისტრი, კეთილსინდისიერად და პატიოსნად ასრულებდეს თავის მოვალეობებს.

ასეთი მიზანდასახულობა კანონზომიერია. ჩვენს ქვეყანაში მოხდა დიდი ძვრები დარწმუნებისა და იძულების მეთოდების მიმართ, თვით იძულებითი ღონისძიებების ხასიათში. ლენინური დებულება, რომ ჯერ უნდა დავარწმუნოთ, ამის შემდეგ კი ვაიძულოთ, კიდევ უფრო განვითარდა შემოქმედებითად ჩვენს პრაქტიკაში. მაშინაც კი, როცა ჩადენილია დანაშაული, სისხლისსამართლებრივი სასჯელი ახლა აღარ არის ერთადერთი რეაქცია მომხდარ შემთხვევაზე. უფრო სრულად და მკაფიოდ ვლინდება სამართლის აღმზრდელობითი ფუნქცია, რომელიც დღეს ემყარება შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრიობის უდიდეს შესაძლებლობებს. იმ შემთხვევაში, როცა დანაშაული ჩადენილია პირველად და თავისი ხასიათით არ არის ესოდენ საშიში, კანონი საშუალებას გვაძლევს უარი ვთქვათ სისხლისსამართლებრივ სასჯელზე და შევცვალოთ იგი საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებით, რომლებსაც საფუძვლად უდევთ უწინარეს ყოვლისა მორალური პასუხისმგებლობა. ისინი, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, განსაკუთრებით ეფექტიანია.

პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაცია დანაშაულის ხასიათისა და ბრალეულის პიროვნების შესაბამისად ორგანულად გამომდინარეობს საბჭოთა კანონმდებლობის დემოკრატიზმიდან, ჰუმანურობიდან, სამართლიანობიდან, რომელიც მისი განმასხვავებელი ნიშანია. ყოველივე ეს მოწმობს ჩვენი კანონების არა სისუსტეს, არამედ, პირიქით, ძალას. რა თქმა უნდა, არ უნდა დავუშვათ, რომ კოლექტივის ავტორიტეტს იყენებდნენ, როგორც ეს ზოგჯერ ხდება ხოლმე, არა ადამიანის გამოსასწორებლად, არამედ დამნაშავის დასაცავად. ასეთ ფაქტებს უკომპრომისოდ უნდა ვებრძოდეთ. მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირებისა და რეციდივისტების მიმართ განუხრელად ვიყენებთ და გამოვიყენებთ სისხლისსამართლებრივი სასჯელის მკაცრ ზომებს.

II

პარტიის მიერ შემუშავებული სტრატეგიის — ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და ამ საფუძველზე საბჭოთა საზოგადოების თვისებრივად ახალი მდგომარეობის მიღწევის სტრატეგიის თანამიმდევრული განხორციელება გულისხმობს სამეურნეო საქმია-

ნობის რეგულირების სამართლებრივი მექანიზმის სრულყოფას, სამართლებრივი და ეკონომიკური ფაქტორების აქტიურ და შეთანხმებულ ურთიერთმოქმედებას. რა უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო ამოცანებსაც უნდა შეეხოთ — მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება იქნება ეს თუ მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერება, შრომის ნაყოფიერების ზრდა თუ დისციპლინის განმტკიცება, ცენტრალიზებული დაგეგმვისა და მართვის სისტემის სრულყოფა თუ სამეურნეო-ანგარიშებრივი ურთიერთობის შემდგომი გაღრმავება, — ყველა ამ ამოცანის გადაწყვეტა უშუალოდ არის დაკავშირებული სამართლებრივი ბერკეტების გამოყენებასთან, კანონის განუხრელ დაცვასთან საწარმოთა და ორგანიზაციათა, გაერთიანებათა, სამინისტროთა და უწყებათა ყოველდღიურ საქმიანობაში.

რა თქმა უნდა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ სახალხო მეურნეობის განვითარებას საფუძვლად უდევს ეკონომიკური ღონისძიებანი და ბერკეტები. ამიტომ არ შეიძლება ჯეროვნად არ ვითვალისწინებდეთ უარყოფით გავლენას, რომელსაც ახდენს შეფერხება სამეურნეო მექანიზმის ფუნქციონირებაში. უწყებათა შეუთანხმებელი მოქმედება, შეუსაბამობა საწარმოო დავალებებსა და მათს მატერიალურ უზრუნველყოფას შორის, დისპროპორცია გეგმებში, ფასეულობათა აღრიცხვის, მოძრაობის არასრულყოფილი სისტემა, სახალხო მეურნეობის მართვაში არსებული სხვა ნაკლოვანებანი — ყოველივე ეს წარმოშობს მისწრაფებას შეცვალონ ეკონომიკური ღონისძიებანი ნებითი გადაწყვეტილებებით, ხშირად კი გვერდი აუარონ კანონს. გარდა ამისა, სამეურნეო კანონმდებლობა ჯერჯერობით დიდი და მოუქნელია, მთელ რიგ შემთხვევებში კი აშკარად მოძველდა, რაც ბოჭავს საწარმოთა და ორგანიზაციათა დამოუკიდებლობასა და ინიციატივას. ამ მხრივ მეცნიერება ჩამორჩა პრაქტიკის მოთხოვნილებებს.

მაგრამ პრინციპულად არასწორი იქნებოდა საქმე ისე წარმოგვედგინა, თითქოს ეს ნაკლოვანებანი ნებას გვაძლევენ ეგრეთ წოდებული მიზანშეწონილობის გულისათვის გვერდი ავუაროთ კანონს, ამგვარი პრაქტიკა ლამის სოციალისტურ გერგილიანობას გავუტოლოთ. მსგავსი, უთუოდ მცდარი შეხედულებანი არათუ ხელს არ უწყობენ რეალურად არსებული პრობლემების გადაჭრას, არამედ ჩიხში აქცევენ მათ. ამის მიზეზი გახლავთ დღემდე დაუძლეველი ტრადიცია, როცა სამართლებრივი სანქციების გამოყენებას მიიჩნევენ „ადმინისტრირებად", რომელიც წარმოებასა და მართვას არაფერს არგებსო. ჩვენი სამეურნეო ხელმძღვანელების ნაწილს აშკარად არასაკმარისად აქვს შეგნებული ეკონომიკური ზრდის უდიდესი რეზერვები, რომლებსაც სამართალი და მასზე დაფუძნებული დისციპლინა შეიცავს და ჯეროვნად არ იყენებს ამ რეზერვებს.

მოქმედი იურიდიული სამსახურების ფუნქციები დაუსაბუთებლად არის შევიწროებული და ხშირად მხოლოდ საპრეტენზიო მუშაობით ამოიწურება. არადა მათი უპირველესი ამოცანა ხომ ის არის, რომ ყველანაირად შეუწყონ ხელი კანონიერების განმტკიცებას სახალხო მეურნეობის დარგებში, უზრუნველყონ სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვა, აღკვეთონ საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევა, დაამკვიდრონ ნამდვილი და არა ფორმალური სამეურნეო ანგარიში და ამით ხელი შეუწყონ უკეთესი ეკონომიკური შედეგების მიღწევას.

დაგეგმვა, საწარმოო პროცესის მიმდინარეობისადმი კონტროლი, მართვის აპარატი, დარგთშორისი კავშირურთიერთობა — სახალხო მეურნეობის ამ ბევრად გადამწყვეტ უბნებს ჯერჯერობით, სამწუხაროდ, სრულად არ ემსახურებიან იურისტები. სამრეწველო საწარმოთა მესაშედს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნახევარს საერთოდ არ გააჩნიათ იურიდიული სამსახურები. ცხადია, რომ ასეთი ვითარება უნდა შეიცვალოს, და რაც შეიძლება მალე.

სახელმწიფო დისციპლინა ეკონომიკაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა იმისა, რომ თავიდან ავიცილოთ უშრომელი შემოსავალი. ჩვენი ცხოვრების წესისათვის უაღრესად უცხო ეს მოვლენა არის გადახრა შრომის მიხედვით განაწილების სოციალისტური პრინციპისაგან, რომლის თანამიმდევრული დამკვიდრების აუცილებლობა ხაზგასმით არის აღნიშნული სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში.

მომხვეჭელი უკანონო გამდიდრებისათვის იყენებს სამეურნეო მექანიზმში, ფასეულობათა აღრიცხვასა და შენახვაში არსებულ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს, ზოგიერთი სამართლებრივი ნორმების არასრულყოფილობას, ეკონომიკურ სიძნელეებს. უშრომელი შემოსავლის მიღების ყველაზე საშიში, დანაშაულებრივი ფორმებია დატაცება, სპეკულაცია, მყიდველთა მოტყუება, მექრთამეობა და სხვა ანგარებითი ბოროტმოქმედება. უშრომელი შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილის წყაროა კერძომეწარმეობითი საქმიანობა, კომერციული შუამავლობა, უკანონო რეწვა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრაკონიერობა, სპეკულაციური ფასებით ბინის გაქირავება, სახელმწიფო ტრანსპორტისა და მოწყობილობის უკანონო გამოყენება.

ფართოდ გავრცელდა „მოშაბაშეთა“ საქმიანობა, რომელთა ფსიქოლოგია, როგორც მოსწრებულად არის ნათქვამი სსრ კავშირის პროკურატურისათვის გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში, ხშირად გაცილებით უფრო ახლოსაა სპეკულანტის ფსიქოლოგიასთან, ვიდრე პატიოსანი მშრომელის ფსიქოლოგიასთან. „მოშაბაშეთა“ შრომის ანაზღაურებას ბევრ შემთხვევაში თვითნებური ხასიათი აქვს, რაც, ბუნებრივია, წარმოშობს ბოროტმოქმედებასა და მექრთამეობას. მაგალითად, კრასნოდარის მხარეში სამშენებლო ბრიგადების სათავეში ჩამდგარ საქმოსანთა ჯგუფმა ასიათასობით მანეთი ჩაიჯიბა.

„თითოეულს — შრომის მიხედვით“ პრინციპის დარღვევები, მათ წინააღმდეგ ბრძოლაში არსებული ნაკლოვანებანი გამხრწნელ გავლენას ახდენენ მერყევ ადამიანებზე, აღაშფოთებენ პატიოსან მშრომელებს, ქმნიან ნიადაგს ფულადი სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების კონტროლსდაუქვემდებარებელი მოძრაობისათვის. უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლა უაღრესად მტკიცედ იწარმოებს, ამასთან გამოყენებულ იქნება ყველა ღონისძიება — ეკონომიკური, სამართლებრივი, ორგანიზაციული, მორალური.

სამეურნეო საქმიანობაში კანონიერების დარღვევათა მიზეზებს ბევრ შემთხვევაში შეიცავს თანამდებობის პირთა არასაკმარისი პასუხისმგებლობა, არადამაკმაყოფილებელი კონტროლი მათი მუშაობისადმი, ცენტრალურ უწყებათა შემწყნარებლობა პირებისადმი, რომლებიც არღვევენ კანონს, შრომისა და სახელმწიფო დისციპლინას. ჯერ კიდევ ყველა სამინისტრო და უწყება, ისევე როგორც მათი ქვეგანაყოფები, როდი ჩაება აქტიურად წარმოებაში წესრიგის დამყარებისა და სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის ბრძოლაში. სამეურნეო მექანიზმში ყველაზე სუსტ რგოლად რჩება შიგაუწყებრივი კონტროლი. ეს პასიურობა განსაკუთრებით იჩენს თავს უშუალოდ იმათ მიმართ, ვისაც ბრალი მიუძღვის დანაკარგებში. ბოლო წლებში მათდამი პროკურორების მიერ წაყენებულ სარჩელთა რიცხვი რამდენჯერმე გაიზარდა, პროკურატურა კვლავაც აქტიურად და განუხრელად განაგრძობს ამ მუშაობას. მაგრამ მდგომარეობა ბოლომდე ვერ გამოსწორდება, სანამ თვით სამეურნეო მუშაკები ძირფესვიანად არ გადასინჯავენ თავიანთ დამოკიდებულებას ამ პრობლემისადმი, თუმცა ძვრა უკეთესობისაკენ მთელ რიგ რესპუბლიკებსა და ოლქებში მოხდა.

სიმტკიცე და თანამიმდევრულობა განსაკუთრებით საჭიროა სახელმწიფო ანგარიშმგებლობასა და გეგმების შესრულებაში წამატებათა ფესვგადგმულ პრაქტიკასთან ბრძოლაში. წამატებებს, როგორც წესი, მიმართავენ არა ცალკეული თანამდებობის პირნი, არამედ პასუხისმგებელ მუშაკთა ჯგუფები; ისინი დაკავშირებულია საფინანსო დისციპლინის, შრომის ანაზღაურების პრინციპის უხეშ დარღვევებთან, იწვევენ შრომის დისციპლინის მოშლას, ზოგჯერ პირდაპირ დაკავშირებულია დატაცებებთან. წამატებები ხელს აძლევს სამეურნეო აპარატში მოკალათებულ ბიუროკრატებსა და გაქნილებს, რომლებიც არცთუ იშვიათად შეგნებულად სწირავენ სახელმწიფოს ინტერესებს, ხრწნიან კადრებს, ამასთან ხელმძღვანელობენ ან კარიერისტული მოსაზრებებით, ან პირადი ანგარებით.

უზბეკეთის სს რესპუბლიკაში, მაგალითად, პროკურატურა იძიებს ათობით სისხლის სამართლის საქმეს, რომლებიც აღიძრა ბამბის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის შესახებ ანგარიშმგებლობაში დაშვებულ წამატებათა გამო. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული არიან ბამბასაწმენდი მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, კოლმეურნეობების თავმჯდომარეები. სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს, გზათა სამინისტროს, სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხე-ტყისა და ცეულოზა-ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს ორგანიზაციებსა და ცენტრალურ აპარატებში პროკურატურის მიერ მოწყობილმა შემოწმებებმა დაგვანახვეს, რომ წამატებები აქ ყველაზე ხშირად გამოწვეული იყო სამეურნეო მართვის ზემდგომი რგოლების, ამასთან სამინისტროებისა და უწყებების ცალკეული ხელმძღვანელი მუშაკების წაყრუებით. იმ შემთხვევებშიც კი, როცა სამეურნეო მუშაკებს ამხილებდნენ თვალის ახვევაში, ისინი ხშირად დაუსჯელი რჩებოდნენ, სანამ საქმეში სამართალდაცვითი ორგანოები არ ჩაერეოდნენ.

სამწუხაროდ, ხშირად თვალის ამხვევთ არა მარტო უბერენ მხარს, არამედ პირდაპირ იცავენ კიდეც დარგობრივი მართვის ზოგიერთ რგოლში, აგრეთვე ადგილობრივ საბჭოთა და პარტიულ ორგანოებში, რომელთა ცალკეული მუშაკები, ოღონდ კი შექმნან მოჩვენებითი კეთილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დდეობის სურათი და რადაც უნდა დაუჯდეთ უპატაკონ სახელმწიფოს გეგმის შესრულება, მზად არიან შეელიონ ხინდიხს და თვალი აარიდონ სახელმწიფოს მოტყუებას.

მაგრამ არის პირდაპირ საწინააღმდეგო მაგალითებიც. ბრიანსკის ოლქში ხულ უფრო იშვიათი ხდება შემთხვევები, როცა ეკონომაგებიან პირთ, რომლებიც ბოროტად იყენებენ სამსახურებრივ მდგომარეობას, დეპუტატის მანდატს. 1985 წელს ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებს არც ერთხელ არ უთქვამთ უარი თანხმობა მიეცათ იმ დეპუტატთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს. პარტიის საოლქო კომიტეტი მკაცრად აკონტროლებს, რომ თვალის ახვევისათვის მსჯავრდებული სამეურნეო მუშაკები არ დარჩნენ პარტიაში და ხელმძღვანელ სამუშაოზე. ასეთი პრინციპული პოზიცია მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პროკურატურის, სხვა სამართალდაცვითი და მაკონტროლებელი ორგანოების მუშაობას თვალის ამხვევთა გამოვლენა- მხილებისათვის. სხვადასხვა ბოროტმოქმედების ყველაზე მწვავე და უკომპრომისო შეფასების აუცილებლობა განსაკუთრებით თვალნათლივ ვლინდება ახლა, სკკპ XXVII ყრილობის წინ მიმდინარე კრებებსა და კონფერენციებზე.

ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდის უდიდეს რეზერვს შეიცავს შრომითი კოლექტივების შესახებ კანონის დებულებათა სრული რეალიზაცია. ამავე დროს მრავალ საწარმოში არ იყენებენ ამ კანონით შექმნილ იმ შესაძლებლობებს, რომ მუშები ფართოდ მონაწილეობდნენ დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებაში.

შრომითი კოლექტივებისათვის ქმედითი სამართლებრივი დახმარების გაწევა ახლა გახდა სამართალდაცვითი ორგანოების პროფილაქტიკური მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება. ცუდად იყო, მაგალითად, შრომის დისციპლინის საქმე ხმელნიცკის ოლქის კამენეც-პოდოლსკის ცემენტის ქარხანაში, ბევრი მისი მუშა აცდენდა სამუშაოს, სჩადიოდა წვრილმან დატაცებებს, მოხვედრილა სამედიცინო გამოსაფხიზლებელში. ამავე დროს ამხანაგური სასამართლო და სხვა საზოგადოებრივი ფორმირებანი უმოქმედოდ იყვნენ, მაგრამ პროკურატურა, რომელმაც მიიღო ზომები კონკრეტულ დამრღვევთა მიმართ, ამას როდი დასჯერდა. ქარხანაში გაიშალა აქტიური სამართლებრივი პროპაგანდა, გაძლიერდა კოლექტივის კონტროლი იმათი ქცევისადმი, ვინც არღვევდა კანონს. დადებითმა შედეგებმა არ დააყოვნა: აქ განმტკიცდა დისციპლინა, შემცირდა სამუშაოს გაცდენები, ერთიორად იკლო დანაშაულისა და წვრილმანი დატაცებების ჩამდენ პირთა, აგრეთვე სამედიცინო გამოსაფხიზლებელის „სტუმართა" რიცხვმა.

დიდია შრომითი კოლექტივების შესაძლებლობანი მუქთახორების წინააღმდეგ ბრძოლაშიც. როგორც დონეცკის, ჩიმკენტის, ჩელიაბინსკის, პენზის ოლქებში მოწყობილმა შემოწმებებმა ცხადყვეს, ამ სოციალურ ბოროტებას აგრე ადვილად ვერ გაუმკლავდები, თუ მას მხოლოდ ერთჯერად ღონისძიებებს, ნახევარზომებს დაუპირისპირებ, თუ სამართალდაცვითი და სხვა სახელმწიფო ორგანოები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები იმოქმედებენ დაქსაქსულად, მკაფიო, შეთანხმებული პროგრამის გარეშე. მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც შეძენილი გამოცდილება მოწმობს, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ეფექტიანი, თუ გავაერთიანებთ საზოგადოებრიობისა და სახელმწიფო ორგანოების ძალებს, შეუნელებელ კონტროლს დავუწესებთ ამ კატეგორიის პირებს, დავეხმარებით მათ დამკვიდრდნენ შრომითს კოლექტივებში. სისხლის სამართლის სანქციები უნდა შევუფარდოთ ყველაზე ავმზრახველ მუქთახორებს, მაგრამ ასეთი ადამიანებისთვისაც შეიძლება ვიბრძოლოთ და კიდევაც უნდა ვიბრძოლოთ განაჩენის გამოტანის შემდეგაც კი. მათ უნდა დავეხმაროთ პროფესიის შეძენაში, რათა საზოგადოების სრულფასოვანი წევრები გახდნენ.

III

იმ გარემოებამ, რომ დისციპლინისა და კანონიერების განმტკიცების საკითხები ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ცენტრში აღმოჩნდა, მოითხოვა პროკურატურის ორგანოთა მთელი მუშაობის სერიოზული გარდაქმნა.

ლენინს პროკურატურა ქვეყანაში ერთიანი კანონიერების დამკვიდრების სერიოზულ გარანტად მიაჩნდა. მან წამოაყენა და დაიცვა აღგილობრივი ხელისუფლებისაგან პროკურატურის დამოუკიდებლობის პრინციპი. პროკურორები ახორციელებენ უმაღლეს ზედამხედველობას კანონთა ზუსტი და ერთგვაროვანი გამოყენებისადმი რაიმე ადგილობრივი განსხვავებისა და ადგილობრივი და უწყებრივი გავლენის მიუხედავად.

უმაღლესი ზედამხედველობის არსი ის არის, რომ, როცა თავიანთ უფლებამოსილებას ახორციელებენ ადგილობრივი ორგანოებისაგან დამოუკიდებლად, პროკურორებს უფლება აქვთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოვალეობაც არიან სახელმწიფოს სახელით მოითხოვონ, რომ ადგილობრივი ხელისუფლების არც ერთი გადაწყვეტილება არ სცილდებოდეს კანონს, რომ სახელმწიფო მართვის ორგანოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობებს — თავიდან გვაცილებდნენ სამართალდარღვევებსა და უზრუნველყოფდნენ კანონიერებას, რომ ყოველი მისი დარღვევა, ვისგანაც უნდა მომდინარეობდეს, დროულად აღმოიფხვრებოდეს, ბრალეულნი კი კანონით დადგენილი წესით აგებდნენ პასუხს. მოქმედებს რა ამ თვალსაზრისით როგორც ცენტრალური ხელისუფლების ორგანო, პროკურატურას მყავს საგამოძიებო აპარატი, რათა საჭირო შემთხვევებში უშუალოდ გამოიძიოს ყოველი დანაშაულებრივი მოქმედება და უზრუნველყოს ბრალეულთა პასუხისმგებლობისა და დასჯის აუცდენლობა.

პროკურატურა არ ეწევა მისთვის უჩვეულო საწარმოების, ორგანიზაციებისა და მართვის ზემდგომი ორგანოების ზოგად „გამოკვლევას". მეურნეობრიობის სფეროში, ისევე როგორც ყოველ სხვა სფეროში, პროკურორი მხოლოდ მაშინ ერევა, როცა ირღვევა კანონი, როცა თანამდებობის პირთა მოქმედება ან, პირიქით, უმოქმედობა საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს ინტერესებს თუ მოქალაქეთა უფლებებს, როცა მართვის აპარატი არ იღებს საჭირო ზომებს სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისათვის. ასეთ შემთხვევებში სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ კანონის შესაბამისად საპროკურორო ზედამხედველობა ვალდებულია დროულად განახორციელოს ღონისძიებანი გამოვლენილ დარღვევათა აღმოსაფხვრელად. პროკურატურის აქტიური პოზიცია შეიძლება გახდეს და ხშირად ფაქტობრივად ხდება კიდეც წარმოებაში წესრიგის დამყარების სერიოზული ფაქტორი.

პროკურორების წინადადებებით ბევრ ადგილას ისმება უყაირათობისა და მფლანგველობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, ტრანსპორტზე, მშენებლობაში, აგროსამრეწველო კომპლექსში სახელმწიფო დისციპლინის დაცვის დიდმნიშვნელოვანი საკითხები. პროკურატურის მიერ მთელ რიგ რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში მოწყობილი შემოწმებებით გამოვლინდა მრავალი შემთხვევა იმისა, რომ უმოქმედოდ იყვნენ სსრ კავშირის ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის ორგანოები, რომ ისინი არ ასრულებდნენ თავიანთ უშუალო მოვალეობებს ბოროტმოქმედებისა და მფლანგველობის აღკვეთის საქმეში. მაგალითად, კალინინის ოლქში ამ უწყების ინსპექციათა მუშაკებს სამი წლის მანძილზე არ გამოუვლენიათ კანონიერების დარღვევის არც ერთი შემთხვევა. ესტონეთსა და კალინინგრადის ოლქში ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტის ადგილობრივი ორგანოების ცალკეული ხელმძღვანელები ქრთამით იღებდნენ მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობებზე უპატიოსნო პირებს. მოსკოვსა და საქართველოში კი ასევე ქრთამით აფარებდნენ ხელს დამტაცებლებს.

დაძაბული ყურადღება მიიპყრო თვით კომიტეტის აპარატის, მისი ხელმძღვანელების მუშაობის სტილმა. სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვის უზრუნველყოფა და საქვეუწყებო ორგანოების მუშაობისადმი კონტროლი ხშირად ამოიწურებოდა აქ ცალკეულ ნეგატიურ ფაქტებზე ფორმალურ-ბიუროკრატიული რეაგირებით. აღრიცხვა, საკონტროლო-სარევიზიო საქმიანობა ხელმიშვებული აღმოჩნდა. უხეში დამახინჯებანი გამოაშკარავდა კადრების შერჩევაშიც. ყოველივე ეს არ ყოფილა შემთხვევითობათა ჯაჭვი. გამოირკვა, რომ კომიტეტის ცალკეული ხელმძღვანელი მუშაკები ბოროტად იყენებდნენ სამსახურებრივ მდგომარეობას ანგარებითი მიზნით. პოსტიდან მოიხსნა და პარტიიდან გაირიცხა მისი თავმჯდომარე ტ. ხურამშინი. პროკურატურა განაგრძობს დასახელებული ფაქტების გამოძიებას.

ხელი რომ შეეწყოს წესრიგის დამყარებას ისეთი ძვირფასი და დეფიციტური ნედლეულის ხარჯვაში, როგორიც არის ნავთობპროდუქტები, უახლოეს დროში ბევრი უწყებისა და მაკონტროლებელი ორგანოს მონაწილეობით გაიმართება სრულიად საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე „საწვავ-საპოხი მასალების გამოყენებისას დატაცებების, წამატებებისა და უყაირათობის წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკის სრულყოფა".

დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა დრო, როცა პროკურატურას უყურებდნენ მხოლოდ როგორც დამსჯელ ორგანოს. პროკურორებს ყოველწლიურად სამ მილიონამდე მოქალაქე მიმართავს. ძირითადად ადამიანები მიდიან იმისათვის, რომ მიიღონ რჩევა-დარიგება, კანონის ახსნა-განმარტება და დახმარება შრომის, საბინაო, ხაოჯახო საქმეებში, რომ პროკურატურის მუშაკებს შეატყობინონ კანონიერების დარღვევის ამბავი, სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. შარშან, მაგალითად პროკურატურამ მოქალაქეთა თითქმის 90 ათასი საჩივარი და განცხადება დააკმაყოფილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ გვესმის, რომ ახლანდელ პირობებში იზრდება პროკურატურის პასუხისმგებლობა მოქალაქეთა უფლებების, სახელმწიფოს ინტერესების განუხრელი დაცვისათვის. მაგრამ ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როცა პროკურატურის ზოგიერთი მუშაკი, რომლებსაც ბოლომდე არა აქვთ ეს შეგნებული, ზერელედ ეკიდება საქმეს, ჰყვება ადგილობრივ გავლენას, იჩენს უხერხემლობასა და უნიათობას. ასეთ ფაქტებს თავად ჩვენ ვავლენთ, ვიგებთ მათ შესახებ ადამიანებისაგან, პრესის გამოსვლებიდან და მათ გამო უმკაცრეს ზომებს ვიღებთ. სწორედ ამის გამო ბოლო დროს დავითხოვეთ ყაზახეთის სსრ, ზღვისპირეთის მხარის, დონეცკის ოლქის პროკურატურის ცალკეული მუშაკები.

ახლა სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს პროკურატურის დაყრდნობა მშრომელებზე, ურთიერთმოქმედების მოგვარება სახელმწიფო ორგანოებთან სამართალდარღვევათა პროფილაქტიკაში. ერთად შემუშავებული და თანამიმდევრულად განხორციელებული ღონისძიებანი საშუალებას გვაძლევენ არა უბრალოდ მივყვეთ მოვლენათა კვალს, არამედ თავიდან ავიცილოთ კიდეც საშიშ კანონსაწინააღმდეგო ქმედობად ცალკეულ წვრილ სამართალდარღვევათა გადაზრდა.

წესად იქცა პროკურორების მონაწილეობა სამინისტროთა და უწყებათა კოლეგიების სხდომებში, როცა იქ განიხილავენ პროკურატურის წარდგინებებსა და სხვა მასალებს, რომლებიც ეხება დარღვევებსა და ნაკლოვანებებს პროფილაქტიკური მუშაობის ორგანიზაციაში. თავის მხრივ, სამინისტროებისა და უწყებების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს საჭიროების შემთხვევაში იწვევენ პროკურატურაში. ასეთი პრაქტიკა საშუალებას გვაძლევს, ერთად ვსახავდეთ და ვდგამდეთ პრაქტიკულ ნაბიჯებს დისციპლინისა და მართლწესრიგის განმტკიცების გზაზე. სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტროსთან ერთად შემუშავებულმა ღონისძიებებმა საშაულება მოგვცა გაგვეძლიერებინა ბრძოლა დატაცებების, მფლანგველობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ვოლგის საავტომობილო ქარხანასა და დარგის სხვა საწარმოებში.

მაგრამ მიუტევებელი გულარხეინობა იქნებოდა არ ვხედავდეთ სერიოზულ სიძნელეებსა და ხარვეზებს ამ მუშაობაში. ჩვენ არაერთხელ დავრწმუნებულვართ, რომ თუმცა კანონიერების დარღვევათა შესახებ წარდგინებებზე პროკურატურა იღებს პასუხს ღონისძიებათა განხორციელებისა და ბრალეულთა დასჯის შესახებ, მაგრამ ამის მიღმა ხშირად არ დგას სერიოზული მუშაობა და ამიტომაც საქმის ფაქტობრივ ვითარებაში ცოტა რამ თუ იცვლება. უარესიც, გარკვეული დროის შემდეგ დარღვევები ისევ მეორდება და მათ გამო ახალი წარდგინებანი იწერება. ამის შედეგად წერილები ერთსა და იმავე საკითხზე მეორედ, ზოგჯერ კი მესამედაც იწერება, უნაყოფო მიმოწერა წლობით გრძელდება. ეს სხვა არა არის რა, თუ არა წმინდა წყლის ფორმალიზმი, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების ავტორიტეტს ლახავს მშრომელთა თვალში!

პროკურატურის მუშაობის სრულყოფისათვის გამიზნული მთელი მეცადინეობის ძირითად აზრად ის მიგვაჩნია, რომ საპროკურორო ზედამხედველობის მოქმედება უფრო აქტიურად უწყობდეს ხელს პარტიულ კომიტეტებს საზოგადოებრივი დისციპლინისა და კანონიერების განმტკიცებასთან დაკავშირებული მრავალფეროვანი და რთული ამოცანების გადაწყვეტაში, რომ კიდევ უფრო მჭიდრო და მიზანმიმართული გახადოს თანამოქმედება სახალხო დეპუტატთა საბჭოებთან, სახალხო კონტროლის ორგანოებთან, სხვა მაკონტროლებელ ორგანოებთან. მუშაობის სერიოზულ ხარვეზებად მივიჩნევთ შემთხვევებს, როცა პროკურორები არ იღებენ მოქალაქეებს უშუალოდ წარმოებაში, არ აწვდიან ინფორმაციას შრომითს კოლექტივს ან მის აქტივს მომავალი შემოწმებისა და მოწყობილი შემოწმების დროს მიღებული შედეგების შესახებ.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ანგარიშის გამო მიღებულ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1985 წლის 3 ივლისის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პროკურატურის ორგანოების საქმიანობა ჯერ კიდევ მთლად ვერ აკმაყოფილებს პარტიისა და სახელმწიფოს მოთხოვნებს სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცების შესახებ. სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ დაავალა პროკურატურას უზრუნველყოს ზედამხედველობის ეფექტიანობა, მიიღოს გადამჭრელი ზომები კანონიერების ყოველი დარღვევის გამოვლენისა და დროული აღმოფხვრისათვის.

დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთ-ერთი საკვანძო პრობლემაა დანაშაულობათა მოკვლევის გაუმჯობესება, სასჯელის აუცდენლობის უზრუნველყოფა. მშრომელები სამართლიანად მოითხოვენ, რომ ყოველი დანაშაული ჯეროვნად იყოს გამოძიებული, ბრალეულები კი დამსახურებულად დაისაჯონ. სამწუხაროდ, ამ ამოცანის გადაწყვეტაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა ახლო წარსულში გავრცელებულმა მტკიცებამ, [illegible] ის დანაშაულობათა მოკვლევის გა-

უმჯობესებისადმი უპირველესი ყურადღება დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლას ანიჭებდეს პასიურ, თავდაცვითს ხასიათს. ამ მცდარ თეზისს და საპროკურორო ზედამხედველობის არასაკმარის სიმტკიცეს მოჰყვა საგამოძიებო აპარატის მთელი რიგი უნაყოფო რეორგანიზაციები, მოკვლევის ორგანოების ფუნქციათა შეკვეცა, სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანოების მუშაობის გაუარესება, შინაგან საქმეთა ორგანოებში დისციპლინის შესუსტება, საბოლოო ანგარიშით კი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ქმედითობის ერთგვარი შემცირება.

საქმეს ზიანს აყენებდა და აყენებს აგრეთვე დამნაშავეობის „დაუყოვნებლივ შემცირების" მოთხოვნები, რომლებიც ხშირად და ერთობ კატეგორიულად გაისმის და მიმართულია მხოლოდ სამართალდაცვითი ორგანოებისადმი და არა იმათდამი, ვინც თავისი საქმიანობით მოვალეა ნამდვილად უზრუნველყოს სამართალდარღვევათა გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა. ასეთი მიდგომა, ერთი მხრივ მადემობილიზებელ გავლენას ახდენს იმათზე, ვისი დაძაბული და, რაც მთავარია, ეფექტიანი მუშაობა ჯეროვნად არ ფასდება, ხოლო მეორე მხრივ, შეშფოთების ნაცვლად იწვევს თვითდამშვიდებას იქ, სადაც სამართალდაცვითი საქმიანობის წმინდა რაოდენობრივი მაჩვენებლები ქმნიან მოჩვენებითს კეთილდღეობას. ფორმალური მაჩვენებლებისათვის მთავარი ყურადღების მიქცევა ხშირად წარმოშობდა ბიუროკრატიულ უმოქმედობას მოქალაქეთა სიგნალების მიმართ და შინაგან საქმეთა ორგანოებში აღრიცხვისაგან დანაშაულობათა დაფარვის ანტისახელმწიფოებრივ პრაქტიკას, რაც, თავის მხრივ, ძირს უთხრიდა დამნაშავეობის წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს — სასჯელის აუცდენლობის პრინციპს.

ბოლო ხანს სამართალდაცვითი ორგანოები უფრო აქტიურად ამხილებენ სოციალისტური საკუთრების დამტაცებლებსა და მექრთამეებს. ასე გამოააშკარავეს მათ, კერძოდ, ისინი, ვინც მოქმედებდა მსუბუქი მრეწველობის, თევზის მეურნეობის სისტემაში, მოსკოვის, კიევის, ოდესისა და სხვა ქალაქების სავაჭრო საწარმოებსა და მომმარაგებელ ორგანიზაციებში. ამასთან, ბუნებრივია, ანგარიშგების დადგენილ ფორმებში გაიზარდა გაფლაგვა-დატაცებათა თანხა, დანაშაულობათა რაოდენობა. მაგრამ ამ ერთი შეხედვით „გაუარესებული" სტატისტიკის მიღმა ჩანს ვითარების გაჯანსაღება ქვეყანაში, სხვადასხვაგვარი ბოროტმოქმედების აღკვეთისათვის გამიზნულ ღონისძიებათა გაძლიერება, რაც, თუ პროკურატურის ორგანოებისათვის მოქალაქეთა მიერ გამოგზავნილი მრავალი წერილის მიხედვით ვიმსჯელებთ, მშრომელთა სრულ მხარდაჭერას პოულობს.

პასუხსაგები ამოცანები დგას დღეს იურიდიული მეცნიერების წინაშე, რომელსაც ცხოვრებისაგან ზოგიერთი მეცნიერის მოწყვეტისა და სხვა მიზეზების გამო ჯერ კიდევ არ დაუკავებია წამყვანი პოზიციები კანონიერების განმტკიცების ბევრ აქტუალურ პრობლემაში და დიდ ვალშია პრაქტიკის წინაშე. ეს სრულად ეხება დამნაშავეობის მიზეზების შესწავლისა და მისი თავიდან აცილების ღონისძიებათა შემუშავების სრულიად საკავშირო ინსტიტუტსაც. ამას წინათ განვამტკიცეთ მისი ხელმძღვანელობა, განვახორციელეთ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებმაც უნდა გაადიდონ მეცნიერული ნამუშევრების შედეგიანობა და დაიჩქარონ პრაქტიკაში მეცნიერული რეკომენდაციების დანერგვა.

ეგებებიან რა სკკპ XXVII ყრილობას, სსრ კავშირის პროკურატურის კოლეგია და პარტიული კომიტეტი დაუცხრომლად ზრუნავენ იმისათვის, რომ პროკურატურის ორგანოებში შეიქმნას საქმიანი ატმოსფერო, რომელიც გამორიცხავს არათვითკრიტიკულობისა და ფორმალიზმის გამოვლინებებს. სამართლებრივი კულტურა, ადამიანებისადმი გულისხმიერება, კრისტალური პატიოსნება, სამართლიანობა და შეურიგებელი დამოკიდებულება სამართლისა და მორალის ნორმების დარღვევებისადმი სავალდებულო პროფესიული თვისებებია პროკურატურისა და სხვა სამართალდაცვითი ორგანოების ახლანდელი კადრებისათვის. დღეს მთავარია ყოველნაირად განვუვითაროთ მუშაკებს მინდობილი საქმისათვის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა. განსაკუთრებით მწვავედ ვგრძნობ რეაგირებას სოციალისტური კანონიერების დარღვევებზე. მაგალითად, სულ ცოტა ხნის წინათ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მთელი რიგი პირების დაუსაბუთებელი მიცემისათვის თანამდებობიდან გავათავისუფლეთ ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ პროკურორი ვ. ჰუტიმცევი. რა ერთეულიც უნდა იყოს მსგავსი შემთხვევები, ისინი გარდუვალად სცხებენ ლაქას ჩვენს საქმიანობას, მტკივნეულად აისახებიან საზოგადოებრივ ცნობიერებაში.

პროკურორები, რომლებიც იცავენ საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესებს, წინააღმდეგობას უწევენ კანონის, მოქალაქეთა უფლებების დარღვევის ყოველ ცდას, ხშირად განიცდიან ზოგიერთი ადგილობრივი ხელმძღვანელი მუშაკის ზემოქმედებას. ასეთი ზემოქმედების ყველაზე ტი-

პური მაგალითია ცდები პასუხისმგებლობა ააცილონ კანონის დამრღვევ თანამდებობის პირებს, დეპუტატებს. ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ცდები, გავლენა მოახდინონ პროკურორებზე, როცა ისინი იღებენ გადაწყვეტილებებს პარტიის იმ წევრთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებსაც ბრალი მიუძღვით კანონის დარღვევაში, ცდები, ვალდებული გახადონ პროკურორები წინასწარ უთანხმებდნენ ამგვარ საკითხებს პარტიულ კომიტეტებს. მეტიც, იმის წინასწარ თანხმობასაც კი იღებდნენ, რომ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცენ კომუნისტები. ამგვარი „შეთანხმებანი" სხვა არა არის რა, თუ არა კანონიერების პირდაპირი დარღვევა. თითოეული მოქალაქე, უპარტიო თუ პარტიის წევრი, კანონით უნდა აგებდეს პასუხს სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედობისათვის. გამოძიების ორგანოები, სასამართლოები პარტიულ კომიტეტებს უნდა აწვდიდნენ ინფორმაციას სისხლის სამართლის პასუხისგებაში პარტიის წევრთა მიცემის შესახებ, რათა შესაბამის პარტორგანიზაციებს შეეძლოთ გადაწყვიტონ კანონის დამრღვევ პირთა პარტიული პასუხისმგებლობის საკითხი.

პროკურატურის, ისევე როგორც სხვა სამართალდაცვითი ორგანოების, საქმიანობა ხორციელდება პარტიის, სხრ კავშირის უმაღლესი საბჭოს შეუნელებელი კონტროლით, რომელთა ყურადღებას, მხარდაჭერასა და დახმარებას ნიადაგ ვგრძნობთ. მაგრამ გადაწყვეტილებანი კონკრეტულ პირთა პასუხისმგებლობის შესახებ მიიღება მხოლოდ კანონის საფუძველზე, და კანონიერების უმკაცრესი დაცვისათვის მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებათ სამართალდაცვითს ორგანოებს. ცნობილია, რომ ლენინს მავნედ მიაჩნდა წინადადებანი ადგილობრივი პარტიული კომიტეტების სანქციის გარეშე პარტიის სასამართლო ხელშეუხებლობის შესახებ, მოითხოვდა „გავაძლიეროთ კომუნისტების სასამართლო პასუხისმგებლობა" (თხზ., ტ. 45, გვ. 440).

საპროკურორო და სასამართლო-საგამოძიებო ორგანოების საქმიანობაში პარტიული კომიტეტების ჩარევის დაუშვებლობა არაერთხელ ყოფილა ხაზგასმული სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებში. ლენინის მითითებასთან სრული თანხმობით შემოთავაზებული ცვლილებებითურთ სკკპ წესდების პროექტის მე-12 პარაგრაფში ჩაწერილია: „საბჭოთა კანონების დარღვევისათვის პარტიის წევრს ეკისრება ორმაგი პასუხისმგებლობა — სახელმწიფოს წინაშე და პარტიის წინაშე. თუ პარტიის წევრმა ჩაიდინა დანაშაული, რომელიც სამართლის წესით ისჯება, იგი გაირიცხება სკკპ რიგებიდან".

ვაფასებთ რა ჩვენს მუშაობას იმ მაღალი მომთხოვნელობის პოზიციებიდან, რომლითაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს საქმიანობა გამოირჩევა, ჩვენ ნათლად ვხედავთ, თუ რა ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი, რათა პროკურატურის ორგანოების მთელი მუშაობა ავიყვანოთ იმ ამოცანების დონეზე, რომლებსაც დღეს პარტია წყვეტს, რათა მეტი წვლილი შევიტანოთ წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცებაში, რათა მტკიცედ ვიდგეთ პიროვნების უფლებების, სოციალური სამართლიანობის სადარაჯოზე.

(ЖУРН. «КОММУНИСТ», № 1, 1986 г.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალიზმის იდეალია ომის, უიარაღო მსოფლიო

1951 წლის 12 მარტს სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო „კანონი მშვიდობის დაცვის შესახებ“, რომელიც გმობდა ომის ყოველგვარ პროპაგანდას, კრძალავდა ასეთი საქმიანობის ნებისმიერ ფორმასა და საშუალებას. იგი აცხადებდა, რომ ყოველგვარი ასეთი ქმედობა დანაშაულია კაცობრიობის წინაშე. ამ კანონის საფუძველზე 1958 წლის 25 დეკემბერს მიღებულ კანონში — „სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ — შეტანილია სპეციალური მუხლი, რომელიც განსაზღვრავს ომის პროპაგანდისათვის პასუხისმგებლობის კონკრეტულ სასჯელს. ეს კვალიფიკაცია და სასჯელის სახეები შემდეგ აისახა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსებში. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლი აცხადებს, რომ „ომის პროპაგანდა, რა ფორმითაც უნდა წარმოებდეს იგი, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან რვა წლამდე და გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე“. მსგავსი კანონები მიიღეს მოძმე სოციალისტურმა ქვეყნებმაც.

ამ კანონების მიღება განაპირობა იმ დროინდელმა საერთაშორისო მდგომარეობამ — ეს იყო „ცივი ომის“ აღმავლობის ხანა, როცა იმპერიალიზმი ყოველნაირად ცდილობდა შეეჩერებინა სოციალიზმის მშვიდობიანი იერიში, მოეხდინა საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის დისკრედიტაცია, „შეეჩერებინა კომუნიზმის გავრცელება მსოფლიოში“. დავიწყებას მიეცა ანტიჰიტლერული კოალიციის სულისკვეთება, დასავლეთი ევროპა ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმის კლანჭებში აღმოჩნდა და მისი აგრესიული პოლიტიკის მორჩილ გამტარებლად იქცა.

მაგრამ მსოფლიოს ხალხებმა ამ აგრესიულ პოლიტიკას მედგარი ბრძოლით უპასუხეს. შეიქმნა მშვიდობის მომხრეთა მძლავრი ფრონტი, რომელიც პროგრესული შეხედულების ადამიანთა მთელ მასებს აერთიანებდა.

იმპერიალიზმის მიერ სოციალიზმის წინააღმდეგ აგრესიული ომის გაჩაღებისათვის მზადებას, ცხადია, თან სდევდა ომის გაშმაგებული პროპაგანდა, რომელსაც დასავლეთის ქვეყნების მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალება ეწეოდა.

1947 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის II სესიამ, საბჭოთა კავშირის ინიციატივით, მიიღო რეზოლუცია, რომელიც გმობდა ომის პროპაგანდას და მოუწოდებდა ყველა ქვეყანას გამოეყენებინათ მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი საერთაშორისო მშვიდობის, თანანაშრომლობისა და მეგობრული ურთიერთობის პროპაგანდისათვის.

დასავლეთის მთავრობებმა ამ მოწოდებას ომის პროპაგანდის „ახალი აფეთქებით“ უპასუხეს. იურისტები და პოლიტიკოსები თავგამოდებით „ამტკიცებდნენ“, რომ თითქოს ომის პროპაგანდის აკრძალვა უხეშად დაარღვევდა ადამიანის ერთ-ერთ ძირითად უფლებას — სიტყვის თავისუფლებას. მართალია, ყველასათვის ნათელი იყო ამ დებულების ფარისევლური ხასიათი, მაგრამ იმპერიალიზმი კვლავ ჯიუტად განაგრძობდა „ცივი ომის“ პოლიტიკას სულ უფრო მზარდი ინტენსიურობით.

ასეთ ვითარებაში საბჭოთა კავშირმა დაიწყო ბრძოლა გენერალური ასამბ-

ლეის რეზოლუციის პრაქტიკული რეალიზაციისათვის შინასახელმწიფოებრივი კანონების საშუალებით. ამ ბრძოლას დიდი ხნის ისტორია აქვს, იგი ჯერ კიდევ ზავის შესახებ დეკრეტით დაიწყო. მას შემდეგ მრავალი საბჭოთა საგარეოპოლიტიკური აქტი შეიცავდა წინადადებას აგრესიული ომის აკრძალვის შესახებ, სწორედ ამ სულისკვეთებით შემუშავდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაც, თუმცა კონკრეტულად ომის პროპაგანდის აკრძალვას იგი არ შეიცავს. საბჭოთა კანონი ომის პროპაგანდის აკრძალვის შესახებ კი სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა და მან მთელი პროგრესული კაცობრიობის მოწონება დაიმსახურა.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულმა პოლიტიკამ თავისი გაიტანა და იმპერიალიზმის ყველაზე რეაქციული ძალები აიძულა უკან დახეულიყვნენ, ეცნოთ ორ სოციალურ სისტემას შორის მშვიდობიანი თანაარსებობა თანამედროვე ეპოქის ობიექტურ აუცილებლობად. ასე დაიწყო 1970-იანი წლების დამდეგს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესი.

საბჭოთა კავშირის 1977 წლის კონსტიტუციის 28-ე მუხლი და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციათა სათანადო მუხლები კიდევ უფრო განამტკიცებენ ომის პროპაგანდის აკრძალვის აუცილებლობას (იხ. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 28-ე მუხლი).

დღეს, როდესაც იმპერიალიზმის რეაქციულმა ძალებმა, პირველ რიგში, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ, გააჩაღეს სოციალიზმთან კონფრონტაციის პოლიტიკის ახალი კამპანია და კვლავ ქაგადებენ „კომუნიზმის წინააღმდეგ ომის აუცილებლობას“, რისთვისაც „ვარსკვლავეთის ომების“ მასშტაბიან პროპაგანდას ეწევიან, ისე, როგორც არასდროს, საჭირო გახდა ომის პროპაგანდის აკრძალვის ყველა საშუალების გამოყენება, საერთაშორისო და შინასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიღება.

სკკპ XXVII ყრილობაზე განსაკუთრებით აღინიშნა სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის არსებულ წინააღმდეგობათა ბირთვული და სხვა ნებისმიერი მასობრივი მოსპობის იარაღის გამოყენებით გადაჭრის უპერსპექტივობა. დღეს ბირთვული ომის მოგებაზე ფიქრიც კი მხოლოდ ილუზიაა, ხოლო გამალებული შეიარაღება მსოფლიოს განადგურებით ემუქრება. სკკპ პროგრამის ახალი რედაქცია ხაზგასმით აცხადებს:

„დავიცვათ და განვამტკიცოთ მშვიდობა, ავლაგმოთ აგრესიისა და მილიტარიზმის ძალები ახლანდელ და მომავალ თაობათა ცხოვრების საკეთილდღეოდ — არ არსებობს ამაზე უფრო ამაღლებული და საპასუხისმგებლო მისია. **სოციალიზმის იდეალია უომო, უიარაღო მსოფლიო.**“

სკკპ XXVII ყრილობისადმი ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში მ. ს. გორბაჩოვმა ჩამოაყალიბა საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის საფუძვლები, რომლის შემადგენელი ნაწილია მ. ს. გორბაჩოვის 1986 წლის 15 იანვრის განცხადებაში მოცემული 2000 წლისათვის ბირთვული იარაღის სრული მოსპობის პროგრამა.

ასეთ ვითარებაში ომის პროპაგანდა ჭეშმარიტად უდიდესი დანაშაულია კაცობრიობის წინაშე და მისი ყოველგვარი გამოვლინება სასტიკად უნდა ისჯებოდეს, როგორც ამას ითვალისწინებს ყველა სოციალისტური ქვეყნის კანონმდებლობა.

ჭიათურის შრომითი კოლექტივების გამოცდილება

1983 წლის 17 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი „შრომითი კოლექტივებისა და საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ“, სადაც რეალურად არის გარანტირებული საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის შემადგენელი ნაწილის — შრომითი კოლექტივების საქმიანობის შემდგომი განვითარების ფართო ასპარეზი.

ამ კანონის მიღებამ ხელი შეუწყო შრომითი კოლექტივების ინიციატივის გამოცოცხლებას, მუშა-მოსამსახურეთა უშუალოდ ჩაბმას წარმოების მართვაში, მათი აქტიურობის ამაღლებას საწარმოო საკითხების გადაწყვეტაში. სკკპ XXVII ყრილობისადმი ჩვენი პარტიის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის პოლიტიკურ მოხსენებაში ხაზგასმით არის აღნიშნული: „— ჩვენი პარტიული პროგრამა მიზნად გვისახავს, რომ უაღრესად ეფექტიანად გამოვიყენოთ ყველა ფორმის **უშუალო დემოკრატია**, სახელმწიფო და სხვა გადაწყვეტილებების შემუშავებაში, მიღებასა და შესრულებაში ხალხის მასების პირდაპირი მონაწილეობა. უდიდესი როლი განეკუთვნება აქ **შრომითს კოლექტივს**, რომელიც მოქმედებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკაში. საწარმოების უფლებათა გაფართოება, სამეურნეო ანგარიშის დანერგვა და სოციალისტური გერგილიანობის გაძლიერება რეალურ შინაარსს იძენს მხოლოდ მაშინ, თუ იზრდება თვით მშრომელი ადამიანის აქტიურობა“.

აღნიშნული კანონის მიღებისთანავე რესპუბლიკის მშრომელები ყველა ღონეს ხმარობენ, რათა დღითიდღე იზრდებოდეს შრომითი კოლექტივების როლი. ამ მიმართებით მიღწეულია გარკვეული წარმატებები. საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში სულ უფრო მაღლდება მშრომელთა ინიციატივა, მათი მონაწილეობა საწარმოსა თუ ორგანიზაციის მართვის საქმეში. ამ მხრივ კარგ შედეგებს მიაღწიეს ჭიათურელმა მშრომელებმა. მათ მიერ შეძენილი გამოცდილების გაცნობა და გაზიარება ვფიქრობთ, ურიგო არ იქნება რესპუბლიკის შრომითი კოლექტივებისათვის.

ჭიათურის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი (თავმჯდომარე ჯ. გურული) საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მხარდაჭერითა და ქმედითი დახმარებით ფართო ორგანიზატორულ მუშაობას ეწევა შრომითი კოლექტივების შესახებ კანონის ცხოვრებაში გასატარებლად. პირველ ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შრომით კოლექტივებში აღნიშნული კანონის შესწავლის საქმეს. ამ მიზნით პროფკავშირთა საკოორდინაციო საბჭოსთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად შედგენილ ღონისძიებათა გეგმის მიხედვით ქალაქის იურიდიული სამსახურების, საქალაქო საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების ხელმძღვა-

ნელმა მუშაკებმა შრომით კოლექტივებში 100-მდე ლექცია-მოხსენება წაიკითხეს.

სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში შრომითი კოლექტივების როლის განმტკიცების მიზნით პრაქტიკაში დამკვიდრდა აღნიშნული კანონის შესრულების მდგომარეობის სისტემატური განხილვა საქალაქო და სასოფლო საბჭოების სესიებზე, აღმასკომებისა და მუდმივი კომისიების სხდომებზე. მაგალითად, უკვე მოისმინეს საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოს დირექტორის, დეპუტატ ვ. ჩხეიძის, ამავე გაერთიანების დიმიტროვის სახელობის მაღაროთა სამმართველოს დირექტორის, დეპუტატ კ. მჭედლიშვილის, პატარიძის სახელობის მაღაროთა სამმართველოს დეპუტატთა ჯგუფის ხელმძღვანელის, დეპუტატ რ. ხარშილაძის, ზოდისა და ითხვისის სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეების ვ. სამხარაძისა და ბ. გოგატიშვილის ინფორმაციები. მათი მუშაობის გამოცდილება განზოგადდა საქალაქო პრესის მეოხებით.

კანონის მოთხოვნათა სრულად განხორციელებისათვის ამჟამად ქალაქის საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შექმნილია და აქტიურად ფუნქციონირებს საქალაქო საბჭოს 12 და სასოფლო საბჭოების 5 დეპუტატთა ჯგუფი.

შრომითი კოლექტივების შესახებ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად საქალაქო საბჭოს აღმასკომი უმთავრეს ყურადღებას უთმობს შრომითი კოლექტივების როლისა და პასუხისმგებლობის გაძლიერებას სახელმწიფო გეგმებისა და ვალდებულებების შესრულების საქმეში. სოციალისტური შეჯიბრების შედეგების სისტემატური შეჯამებით, მათი საჯაროობით, მოწინავეთა მატერიალური და მორალური სტიმულირების ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით ქალაქის ეკონომიკის განვითარებაში მიღწეულია სტაბილური შედეგები. აღსანიშნავია, რომ ამჟამად ქალაქის მრეწველობა ჩამორჩენილთა გარეშე მუშაობს.

შრომითი კოლექტივები გამოდიან სულ ახალ-ახალი ინიციატივებით, რათა მთლიანად აამოქმედონ არსებული საწარმოო სიმძლავრეები, გამოუყენებელი რეზერვები. მაგალითად, ეთერზეთების ქარხნის შრომითმა კოლექტივმა გამოიჩინა თაოსნობა, რათა არსებული შესაძლებლობების სრულად ამოქმედებით გაზარდონ წარმოების მოცულობა. მათ სიტყვას საქმეც მოჰყვა და 1985 წელს, წინა წელთან შედარებით, წარმოების მოცულობა 23,9 პროცენტით გაიზარდა.

საქალაქო საბჭოს აღმასკომი, სასოფლო საბჭოების აღმასკომები და დეპუტატთა ჯგუფები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმის განვითარებას. სამრეწველო საწარმოებსა და სამშენებლო ორგანიზაციებში შექმნილ ასეთ ბრიგადებში გაერთიანებულია აქ დასაქმებული მუშების 75 პროცენტი. 8 ბრიგადა შექმნილია ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებაში, სადაც დეპუტატთა ჯგუფს ხელმძღვანელობს გაერთიანების გენერალური დირექტორი.

საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ შრომითი კოლექტივის ინიციატივით შემუშავდა უბან-ბრიგადების დებულება. აქ დამატებით შეიქმნა 38 უბან-ბრიგადა. ბრიგადის საბჭოს, როგორც წესი, მუშა ხელმძღვანელობს. ამჟამად, საწარმოო გაერთიანების სისტემაში 196 ბრიგადა მუშაობს, რომლებშიც 6149 კაცია გაერთიანებული. 89 ბრიგადა სამეურნეო ანგარიშზეა და ერთიანი განაწესით მუშაობს. ამ ღონისძიებების შედეგად შრომის ნაყოფიერება გაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზარდა 3,8 პროცენტით. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა აგრეთვე შრომის დისციპლინა, თითოეული მუშის პასუხისმგებლობა. გასულ და მიმდინარე წელს შეიქმნა მეჩაიეობის, მემცენარეობისა და მევენახეობის სპეციალიზებული 40-ზე მეტი ბრიგადა, რომლებიც სამეურნეო ანგარიშით მუშაობენ.

საქალაქო საბჭო დეპუტატთა ჯგუფებისა და მუდმივი კომისიების მეშვეობით შრომით კოლექტივებს ხელს უწყობს, რათა მათ სრულად განახორციელონ თავიანთი უფლებამოსილებანი კოლექტიური ხელშეკრულებების, შრომის პირობების გაუმჯობესების კომპლექსური გეგმების, შრომის დაცვისა და სანიტარულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების, მატერიალური სტიმულირების ფონდების სწორად გამოყენების საკითხების შემუშავებისა და რეალიზაციის საქმეში.

შრომით კოლექტივებში მწვავედ და პრინციპულად მსჯელობენ დისციპლინის ყოველ დარღვევაზე, ასეთი პირების მიმართ ღებულობენ კანონით გათვალისწინებულ ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა დაბალხელფასიან სამუშაოზე გადაყვანა, სამუშაოდან დათხოვნა და სხვ. შრომითი კოლექტივები ასევე დაუფარავად ამხილებენ ზოგიერთი ხელმძღვანელის საქმიანობაში არსებულ ხარვეზებს, მოითხოვენ მათზე რეაგირებას. მაგალითად, საქალაქო საბჭოს რიგგარეშე სესიაზე სპეციალურად იმსჯელეს მანდაეთის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსში მომხდარ დანაშაულებრივი ფაქტების თაობაზე. აქ მკაცრი და სამართლიანი შეფასება მიეცა მეურნეობის ყოფილი დირექტორის მიერ შრომითი კოლექტივის წევრთა საფუძვლიანი მოთხოვნების უგულებელყოფის ფაქტებს, რამაც საბჭოთა მეურნეობას მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი მიაყენა.

შრომით კოლექტივებში დისციპლინის შემდგომი განმტკიცების მიზნით საგრძნობლად გააქტიურდა ამხანაგური სასამართლოების საქმიანობა. გასულ წელს განხილული 507 საქმის დიდი უმრავლესობა ამხანაგურ სასამართლოებს შრომითი კოლექტივების ინიციატივით გადაეცა. ასეთი ქმედითი ღონისძიებების შედეგად ქალაქის მრეწველობაში უმიზეზო გაცდენებით გამოწვეული სამუშაო დროის დანაკარგები გასულ წელს, წინა წელთან შედარებით, 53,2 პროცენტით შემცირდა.

საქალაქო საბჭოს აღმასკომი პრაქტიკულ ღონისძიებებს ახორციელებს, რათა შრომითი კოლექტივები სულ უფრო აქტიურად მონაწილეობდნენ ახალგაზრდების შრომითი, იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივი და სამართლებრივი აღზრდის საქმეში. საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული საყოფაცხოვრებო კონფლიქტების ნიადაგზე სამართალდარღვევათა თავიდან აცილების კომისიას მტკიცე კონტაქტი აქვს დამყარებული შრომითს კოლექტივებთან. კომისიის სხდომები ხშირად ადგილებზე იმართება და მათში აქტიურად მონაწილეობენ მშრომელები.

ჭიათურელ მშომელებს კარგად ესმით, რომ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში უდიდესი როლი ენიჭება შრომითი კოლექტივების უკომპრომისო დამოკიდებულებას ბახუსის მოყვარულთა მიმართ. საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებასთან არსებული სამედიცინო გამოსაფხიზლებელი აქ მოხვედრილ პირთა შესახებ დაუყოვნებლივ ატყობინებს შრომითს კოლექტივებს, სადაც პრინციპულად მსჯელობენ მომხდარი ფაქტის ირგვლივ. ასეთი განხილვის შედეგებს

შრომითი კოლექტივები თავის მხრივ აცნობენ ამ პირთა ოჯახებს. ასეთივე ღონისძიებებს ღებულობენ ნასვამ მდგომარეობაში სამუშაოზე გამოცხადებულთა მიმართაც. პატარიძის სახელობის მაღაროთა სამმართველოში პრაქტიკაში დანერგეს შრომითი კოლექტივების ასეთ კრებებზე იმ მუშაკთა ოჯახის წევრების მოწვევა, რომლებმაც თავი შეიკავეს.

მოსწავლე ახალგაზრდობის ზნეობრივ აღზრდას და მათ დაახლოებას შრომითს კოლექტივებთან ბევრად შეუწყო ხელი ახალმა თაოსნობამ, რომელსაც პირობითად „ცვლა-კლასი" ეწოდა. ამ საინტერესო მოძრაობის არსი ის არის, რომ ქალაქის წარმოება-დაწესებულებების შრომითი კოლექტივები სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ცალკეული კლასების მოსწავლეებს და პერიოდულად ანგარიშს აბარებენ ერთმანეთს.

ჭიათურაში ჯეროვანი ყურადღება ექცევა კადრების დაოსტატებას, მოწინავეთა გამოცდილების შესწავლასა და გაზიარებას, დამრიგებლობის შემდგომ განვითარებას. შრომითი კოლექტივები სისტემატურად ხვდებიან მოწინავე ახალგაზრდებს, იმართება გულახდილი სჯა-ბაასი სადღეისო პრობლემებზე. საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის" სისტემაში პერიოდულად ტარდება თეორიული კონფერენციები თემაზე: „შრომის ორგანიზაცია და ანაზღაურების პროგრესული ფორმების დანერგვა". საწარმოო ავტოსატრანსპორტო გაერთიანებაში მძღოლებისა და ავტოშემკეთებლების მიღება მხოლოდ ბრიგადის საბჭოს რეკომენდაციით ხდება. კარგ ტრადიციებს ჩაეყარა საფუძველი სადამრიგებლო მუშაობის თვალსაზრისითაც. ამჟამად ქალაქში 200-ზე მეტი, მათ შორის 2 რესპუბლიკის დამსახურებული დამრიგებელია.

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელები, დეპუტატები ყოველკვარტალურ ანგარიშს აბარებენ შრომითს კოლექტივებს. ასეთი შეხვედრების დროს მსჯელობენ ცალკეულ საწარმოო საკითხებზე, სახავენ სიძნელეთა გადალახვის ოპტიმალურ გზებს. მაგალითად, „ჭიათურმანგანუმის" შრომითი კოლექტივის ინიციატივით გასულ წელს 100 ათასი მანეთით გაიზარდა საწარმოო გეგმა. ყოველივე ეს შესაძლებელი გახადა უგანრიგო ბრიგადების შექმნამ და ხელფასის ფონდის შრომითი კოეფიციენტის მიხედვით განაწილებამ. შრომის ანაზღაურების ასეთი პროგრესული ფორმების დანერგვამ უაღრესად კარგი შედეგი გამოიღო. მაგალითად, დიმიტროვის სახელობის მაღაროთა სამმართველოში თვიური გამომუშავება 200-250 მანეთს შეადგენს, მაშინ, როცა სამეურნეო ანგარიშით მომუშავე ბრიგადების წევრები საშუალოდ 370-450 მანეთს ღებულობენ. ცხადია, ასეთმა ვითარებამ ფართო ასპარეზი გადაუშალა რაციონალიზაციას და ახალი ტექნიკის დანერგვას. მაგალითად, მხოლოდ ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებაში რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვით 400 ათას მანეთზე მეტი პირობითი ეკონომია მიიღეს.

გასულ წელს გაიმართა 51 კრება, სადაც მოისმინეს ქალაქის აღმასკომის ანგარიში. ამ კრებებს 8199 მშრომელი დაესწრო, ხოლო დეპუტატთა აბსოლიტური უმრავლესობის ანგარიში მოისმინეს 1820 კრებაზე, რომლებსაც 90 ათასამდე ამომრჩეველი დაესწრო. აღსანიშნავია, რომ დეპუტატები ანგარიშს აბარებენ იმ შრომითს კოლექტივებს, რომლებმაც ისინი დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს.

შრომითი კოლექტივების როლის ამაღლება დადებითად აისახა ქალაქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებისა და სოციალისტური

ვალდებულებების შესრულების შედეგებში. მაგალითად, 1985 წელს სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გეგმა 105,6, ხოლო რეალიზაციის გეგმა 101,3 პროცენტით შესრულდა; დაამზადეს 6409 ათასი მანეთის ზეგეგმური პროდუქცია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გასულ წელს ჭიათურელმა მშრომელებმა 44 794 ათასი მანეთის ხარისხისნიშნიანი პროდუქცია მისცეს სამშობლოს, რამაც პროდუქციის საერთო მოცულობაში 45,6 პროცენტი შეადგინა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საცხოვრებელი ბინების, სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობას, შარშან 563 ოჯახმა გაიუმჯობესა საბინაო პირობები. ასეთი წარმატებები, უწინარესად, მიღწეულია პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების გაზრდით. ხელშესახები ძვრებია აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების საქმეშიც: გადაჭარბებით შესრულდა ხორცის, რძის, ჩაის ხარისხოვანი ფოთლის და აბრეშუმის პარკის დამზადების გასული წლის სახელმწიფო გეგმები.

მიმდინარე, საყრილობო წელიც მაღალი ტემპით დაიწყეს ჭიათურელმა მშრომელებმა. პირველი კვარტლის შედეგების გაცნობა გვარწმუნებს, რომ აქ წინსვლას მყარი საფუძველი აქვს ჩაყრილი და შარშან მიღწეულ წარმატებებს ახალი შრომითი მაჩვენებლებით გაამდიდრებენ. შარშან კი „ჭიათურმანგანუმისა“ და ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებების შრომითმა კოლექტივებმა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს, ხოლო ჭიათურამ რესპუბლიკის სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობა არავის დაუთმო.

მიუხედავად ყოველივე ამისა, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჭიათურელ მშრომელებს ჯერ კიდევ ბევრი აქვთ გასაკეთებელი შრომითი კოლექტივების შესახებ კანონის მოთხოვნების მთელი სისრულით განხორციელებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მცირერიცხოვანი შრომითი კოლექტივების როლის ამაღლებას, რადგან დეპუტატთა რიცხვის სიმცირის გამო, ასეთ კოლექტივებში ვერ იქმნება დეპუტატთა ჯგუფები. შრომითი კოლექტივები ჯერ კიდევ სათანადო აქტიურობას ვერ იჩენენ წარმოება-დაწესებულებებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დროულად დანერგვის საქმეში. სავსებით სამართლიანად ითქვა სკკპ XXVII ყრილობისადმი მ. ს. გორბაჩოვის პოლიტიკურ მოხსენებაში, რომ „არ უნდა შევურიგდეთ ჯერ კიდევ არსებულ ფაქტებს, როცა მუშები არ იცნობენ თავიანთი საწარმოს გეგმებს, როცა მათ წინადადებებს ჯეროვანი ყურადღებით არ ეკიდებიან და არ ითვალისწინებენ. ეს ფაქტები ცხადყოფს, რომ ინერციის ძალები ზოგან ჯერ კიდევ ქმნიან ამინდს, ხელს უშლიან მუშა-მოსამსახურეთა ჩაბმას მართვაში, მათთვის წარმოების სრულუფლებიანი ბატონ-პატრონის გრძნობის ჩანერგვას“.

ამ მითითებათა სრულად გათვალისწინებით ჭიათურის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშავა ღონისძიებათა ფართო პროგრამა, რომლის განხორციელებაც კიდევ უფრო გაზრდის თითოეული შრომითი კოლექტივის როლს, მათ ინიციატივასა და აქტიურობას.

გელა ბერძენიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფის სამართლებრივი საშუალებები

თ. ლილუაშვილი,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

1. **პროდუქციის ხარისხის ამაღლება — პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის ძირეული საკითხია.** 1985 წლის 11 ივნისს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებისადმი მიძღვნილ თათბირზე მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, წარმოების ორგანიზაციის, შრომის კულტურისა და დისციპლინის ყველაზე ობიექტურსა და განმაზოგადებელ მაჩვენებლებს წარმოადგენს პროდუქციის ხარისხი. უკანასკნელ წლებში — თქვა მან — ამ მიმართულებით სასიკეთო ძვრა დაისახა, „მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ნაკეთობათა ხარისხი, ტექნიკურ-ეკონომიკური და ესთეტიკური დონე, ჩვენი ეკონომიკის ყველაზე ხუსტი ადგილი, ბევრი სიძნელისა და პრობლემის წყაროა. ყოველივე ამას სერიოზული სოციალურ-ეკონომიკური და მორალურ-პოლიტიკური ზიანი მოაქვს ჩვენთვის... თვით უმაღლეს კატეგორიას მიკუთვნებული პროდუქციაც კი თავისი პარამეტრებით ხშირად ჩამორჩება საუკეთესო მსოფლიო ნიმუშებს. უფრო მკაცრად უნდა ვიცავდეთ მოთხოვნებს სახელმწიფო ხარისხის ნიშნის მიკუთვნების შესახებ. პროდუქციის ხარისხი უნდა იყოს არა მარტო პროფესიული, არამედ აგრეთვე ეროვნული სიამაყის საგანიც.“[1]

პროდუქციის ხარისხის შემდგომი ამაღლების პრობლემას საგანგებო ყურადღება დაუთმო სკკპ XXVII ყრილობამ, როგორც მ. ს. გორბაჩოვის პოლიტიკურ მოხსენებაში, ისე ყრილობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში. აღნიშნულია, რომ პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის ცენტრში მუდამ იქნება პროდუქციის ხარისხის ამაღლება, რომ საბჭოთა პროდუქცია უნდა განასახიერებდეს მეცნიერული აზროვნების უკანასკნელ მიღწევებს, შეესაბამებოდეს ყველაზე მაღალ ტექნიკურ-ეკონომიკურ, ესთეტიკურ და სხვა სამომხმარებლო მოთხოვნებს, იყოს კონკურენტუნარიანი მსოფლიო ბაზარზე.

პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების აუცილებლობაზე აღნიშნული იყო აგრეთვე საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ჯ. ი. პატიაშვილის საანგარიშო მოხსენებაში, აგრეთვე ყრილობის მიერ მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პარტიულმა კომიტეტებმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა განახორციელონ რადიკალური ღონისძიებანი, რათა გაუმჯობესონ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში პროდუქციის ხარისხი, ამასთან უპირველესი ყურადღება მიაპყრონ იმას, რომ უკვე 1986 წელს გადაჭარბებით შესრულდეს უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის წარმოების გადიდების, მასალების, მანქანების, მოწყობილობის, მოსახლეობის მახობრივი მოთხოვნის საქონლის ახალ სახეობათა ათვისებისა და მათი თვისებრივი მახასიათებლების გაუმჯობესების საგეგმო დავალებანი [2].

ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანების განსახორციელებლად პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, სამინისტროებსა და უწყებებს დაეკალათ „მუდმივი კონტროლი გაუწიონ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებასა და ხარისხის გაუმჯობესების პროგრამის რეალიზაციის მიმდინარეობას, შეიმუშაონ და განახორციელონ მომსახურების სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცების ღონისძიებანი, მიაღწიონ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების უპირატეს ზრდასა და მოსახლეობის მომსახურების დარგების განვითარებას მისი ფულადი შემოსავლის გადიდებასთან შედარებით“.[3]

პარტიის პოლიტიკა სავსებით ნათელი და გასაგებია. აუცილებელია პროდუქციის ხარისხის

---

[1] მ. ს. გორბაჩოვი, პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის ძირეული საკითხი, თბ., 1985, გვ. 22-23.

[2] გაზეთი „კომუნისტი“, 1986 წ., 25 იანვარი.

[3] გაზეთი „კომუნისტი“, 1986 წ., 2 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძირეული გაუმჯობესება, რისთვისაც უნდა შემუშავდეს და გატარდეს შესაბამისი ღონისძიებანი.

2. **სამართლის როლი პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფის საქმეში.** პარტიის პოლიტიკა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში და მათ შორის პროდუქციის ხარისხის მართვის საქმეში, ნათლად აისახა პარტიის პროგრამაში, ყრილობებისა და პლენუმების გადაწყვეტილებებში, დადგენილებებში. თავისი პოლიტიკის გატარების მიზნით პარტია ეფექტიანად იყენებს აგრეთვე სამართალს. სამართალი პოლიტიკური ხელისუფლების ინსტრუმენტია და ბუნებრივია, რომ ჩვენი სახელმწიფო მას საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირების მიზნით იყენებს. ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკის მართვა გეგმაზომიერად და მიზანდასახულად წარმოებს და ამიტომ უფრო მეტადაა საჭირო მტკიცე წესრიგი და ორგანიზებულობა. ამისათვის კი სოციალისტური სახელმწიფო სხვა საშუალებებთან ერთად ფართოდ იყენებს ისეთ მძლავრ და საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირებისათვის ყველაზე მომარჯვებულ ინსტრუმენტს, როგორიც სამართალია.

სამართლებრივი ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით ჩვენი სახელმწიფო ახორციელებს სახალხო მეურნეობის დაგეგმვასა და მართვას, განსაზღვრავს შრომითი რესურსების გამოყენების წესებს, სამეურნეო ორგანოების კომპეტენციას, მათ უფლებებსა და მოვალეობებს და ა. შ.

საბჭოთა სამართალი უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებს, აგრეთვე, პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფაშიც.

სამართლებრივი ფორმებისა და საშუალებების გამოყენებით ჩვენი სახელმწიფო აწესრიგებს პროდუქციის ხარისხის ამაღლების დამგეგმავი ორგანოების საქმიანობას, განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა პასუხობდეს გამოშვებული პროდუქცია, ქმნის და წარმართავს იმათ საქმიანობას, რომელთაც ზედამხედველობა და კონტროლი ეკისრებათ პროდუქციის ხარისხზე, არეგულირებს მატერიალური და მორალური წახალისების ღონისძიებებს, მათი გამოყენების წესებს და ა. შ.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო მართავს პროდუქციის ხარისხს ანუ ხელმძღვანელობს და წარმართავს პროდუქციის ხარისხის უზრუნველსაყოფად გამიზნულ საქმიანობას და ამ მიზნით ფართოდ იყენებს სამართლებრივი რეგულირების ფორმებსა და მეთოდებს.

მაგალითად, სახელმწიფო იღებს ისეთ **ნორმებს**, რომლებშიც ჩამოყალიბებულია **ხარისხის მაჩვენებლები**. ამ მაჩვენებლებს უნდა პასუხობდეს გამოშვებული პროდუქციაც და შესასრულებელი სამუშაოც. ეს ნორმები სავალდებულოა იმ ადამიანებისათვის, რომლებიც აწარმოებენ. პროდუქციას, ასრულებენ გარკვეულ სამუშაოს, ამ პროდუქციას იღებენ შესანახავად ან გადასაზიდად და ა. შ. საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ სახელმწიფო სტანდარტები. როგორც ცნობილია, სახელმწიფო სტანდარტი სავალდებულოა ყველა ორგანიზაციისა და თანამდებობის პირისათვის. გამოშვებული პროდუქცია აუცილებლად უნდა პასუხობდეს სახელმწიფო სტანდარტს. ისეთი პროდუქციის გამოშვება, რომელიც არ პასუხობს სახელმწიფო სტანდარტებს (ტექნიკურ პირობებს, ნიმუშებს), უნდა შეფასდეს როგორც კანონის დარღვევა, რომელიც იწვევს, ჯერ ერთი, შესაბამისი თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობას, ხოლო, მეორეც იმ საწარმოს სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას, რომელმაც არასტანდარტული პროდუქცია გამოუშვა.

საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 120-ე მუხლით საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, მათ მოადგილეებს, აგრეთვე ამ საწარმოებისა და ორგანიზაციების სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებსა და მათ მოადგილეებს ეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა უხარისხო პროდუქციის გამოშვებისათვის. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლით კი უხარისხო,დადგენილ სტანდარტებთან ან ტექნიკურ პირობებთან შეუსაბამო ან უკომპლექტო პროდუქციის არაერთგზისი ან დიდი ოდენობით გამოშვება სამრეწველო საწარმოების დირექტორის, მთავარი ინჟინრის ან ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსის მიერ, აგრეთვე სხვა მუშაკთა მიერ, რომლებიც აღნიშნული თანამდებობის პირთა მოვალეობებს ასრულებენ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით.

პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან გარანტიას შეიცავს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობა. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 257-ე მუხლით მისაწოდებელი პროდუქციის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს და აკმაყოფილებდეს სახელმწიფო სტანდარტებს, ტექნიკურ პირობებს ან ნიმუშებს. „თუ მოწოდებულია უფრო დაბალი ხარისხის პროდუქცია, ვიდრე ამას მოითხოვს სახელმწიფო სტანდარტი, დამტკიცებული ტექნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კური პირობები ან ნიმუში, მყიდველი მოვალეა უარი თქვას პროდუქციის მიღებასა და ფასის გადახდაზე, ხოლო, თუ პროდუქციის ფასი მყიდველმა უკვე გადაიხადა, გადახდილი თანხა უნდა დაუბრუნდეს მას".

უსტანდარტო პროდუქციის მიღებაზე უარის თქმა მყიდველის უფლება კი არა, მისი იურიდიული მოვალეობაა. ამ მოვალეობას სხვადასხვა ხასიათის სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს. ერთ-ერთია პროდუქციის დამამზადებელი ორგანიზაციის დისციპლინირება, რომ მყიდველის სურვილის მიუხედავად არ მოხდეს უსტანდარტო პროდუქციის გამომშვები ორგანიზაციის პატიება ანუ, იურიდიული ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ — მისი ამნისტირება. სამწუხაროდ, კარგი ურთიერთობის შენარჩუნების მიზნით ხშირად აქვს ადგილი შემთხვევებს, როდესაც მყიდველი ორგანიზაცია მიმწოდებელს უკან არ უბრუნებს უსტანდარტო პროდუქციას, ე. ი. ისეთ პროდუქციას, რომელიც არ შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტებს, ტექნიკურ პირობებს თუ ნიმუშებს. სწორედ ამიტომ შემოიღო კანონმდებლობამ წესი, რომლის თანახმად უხარისხო პროდუქციის მიღებაზე უარის თქმა არის არა უფლება, არამედ მოვალეობა.

ამის მიუხედავად ე. წ. „ამნისტირებას" მაინც აქვს ადგილი. ჩვენის აზრით იგი გამოწვეულია იმით, რომ მყიდველის **მოვალეობა**, უარი თქვას უხარისხო პროდუქციის მიღებაზე, არ არის უზრუნველყოფილი კონკრეტული სანქციით, ე. ი. კანონი არ შეიცავს მითითებას იმაზე, თუ რა კონკრეტული არახელსაყრელი შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამ მოვალეობის შეუსრულებლობას.

სტანდარტები (ტექნიკური პირობები, ნიმუშები) შეიცავენ მხოლოდ და მხოლოდ იმ მოთხოვნებს, რასაც აუცილებლად უნდა პასუხობდეს პროდუქცია. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პროდუქციის გამომშვებ საწარმოს, ორგანიზაციას, დაწესებულებას კი არ ეკრძალება, არამედ პირიქით შესაძლებლობა ეძლევა გამოუშვას სტანდარტებთან (ტექნიკურ პირობებთან, ნიმუშებთან) შედარებით უფრო მაღალი ხარისხის პროდუქცია. საამისოდ საბჭოთა კანონმდებლობა მორალური და მატერიალური წახალისების სხვადასხვა ღონისძიებებსაც ითვალისწინებს.

3. პროდუქციის ხარისხის სამართლებრივი რეგულირების ზოგიერთი სიახლე. ამ ბოლო დროს მიღებულია მრავალი მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტი, რომელიც პროდუქციის ხარისხის ამაღლების უზრუნველყოფის საკითხებს მიეძღვნა. მათ შორის აღსანიშნავია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 7 იანვრის დადგენილება „სსრ კავშირში სტანდარტიზაციის საქმის ორგანიზაციის შესახებ". ამ დადგენილებით დეტალურად განისაზღვრა სტანდრტიზაციის ამოცანები სსრ კავშირში, მისი ობიექტები, ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის კატეგორიები, სახელმწიფო სტანდარტის შემუშავების წესი და მათი იურიდიული სავალდებულობა, დარგობრივი და რესპუბლიკური სტანდარტების, ტექნიკური პირობების შემუშავებისა და დამტკიცების წესები, იმ ღონისძიებათა წრე, რომლებიც უნდა გაატარონ სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, აგრეთვე, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა. აქვე განსაზღვრულია არა მარტო ის, თუ რომელ ორგანოს და რისთვის დაეკისრება პასუხისმგებლობა სტანდარტიზაციის ორგანიზაციისათვის, არამედ ისიც, თუ ვის შეიძლება ამის გამო დაეკისროს პერსონალური პასუხისმგებლობა. დადგენილების მე-18 პუნქტში ნათქვამია: „სსრ კავშირში სარეალიზაციოდ გამოშვებული პროდუქცია უნდა პასუხობდეს სტანდარტებსა და ტექნიკურ პირობებს. პროდუქციის შემუშავება, დამზადება, მიწოდება (რეალიზაცია), შენახვა, ტრანსპორტირება, გამოყენება (ექსპლოატაცია) და რემონტი, აგრეთვე ისეთი სხვა საქმიანობის განხორციელება, რომლებიც არღვევენ სტანდარტებსა და ტექნიკურ პირობებს — აკრძალულია".[4]

პროდუქციის ხარისხის ამაღლების უზრუნველყოფის საქმეში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 12 ივლისის ერთობლივ დადგენილებას მეურნეობრიობის ახალი მეთოდების ფართოდ გავრცელებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე.

ამ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სამეურნეო მექანიზმი ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ ზემოქმედებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების გაფართოებაზე, საწარმოებს არ ეკისრებათ ეკონომიკური პასუხისმგებლობა მოძველებული პროდუქციის გამოშვებისათვის და ა. შ.

დადგენილებაში არის ერთი მეტად მნიშვნელოვანი დებულება: საწარმო-ტექნიკური დანიშ-

---

[4] Постановление Совета Министров СССР от 7 января 1985 г. «Об организации работы по стандартизации в СССР», СП СССР, № 4, 1985, ст. 18.

ნულების ისეთ პროდუქციაზე, რომელსაც ატესტაციის დროს მიეკუთვნება არა უმაღლესი, არამედ ხარისხის პირველი კატეგორია, გამოიყენება ფასდაკლება საბითუმო ფასიდან პირველ წელს — 5, მეორე წელს — 10, ხოლო მესამე წელს — 15 პროცენტით.

იმ შემთხვევაში, თუ მეორე ატესტაციის დროს ამ პროდუქციას არ მიეკუთვნება ხარისხის უმაღლესი კატეგორია, იგი უნდა მოიხსნას წარმოებიდან .ამ წესს აქვს ერთი არსებითი დამატება, რომელიც მეტად მნიშვნელოვან საკანონმდებლო სიახლედაც უნდა მივიჩნიოთ. დადგენილებაში აღნიშნულია: „სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის ნებართვით ასეთი პროდუქციის გამოშვება შეიძლება შენარჩუნებული იქნეს ორი წლით და 30 პროცენტიანი ფასდაკლებით“.[5]

ეს იმას ნიშნავს, რომ აღნიშნულ ორგანოებსაც კი არ შეუძლიათ ორ წელზე მეტი ხნით შეინარჩუნონ საწარმოს ისეთი პროდუქციის გამოშვების უფლება, რომელსაც მეორე ატესტაციის შედეგად აღარ მიეკუთვნა უმაღლესი კატეგორია.

პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ პროდუქციის ატესტაციას. სახელმწიფო ატესტაციის ჩატარების ამოცანები, წესი და ობიექტების წრე განმტკიცებულია სამართლებრივი ნორმებით. პროდუქციის ხარისხის ატესტაციის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ისეთ პროდუქციათა გამოშვების მოცულობის ზრდა, რომლებიც საუკეთესო სამამულო და მსოფლიო სტანდარტებს უტოლდებიან და უსწრებენ კიდეც მათ. ამისათვის კი საჭიროა უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებები, გავაფართოვოთ კონკურენტუნარიანი მანქანების მოწყობილობებისა და ხელსაწყოების გამოშვება, წარმოებიდან მოვხსნათ მოძველებული პროდუქცია, მოვახდინოთ მათი მოდერნიზაცია, და ა. შ.

სწორედ ამიტომ დაუთმო დადგენილებამ განსაკუთრებული ყურადღება პროდუქციის ატესტაციის შემდგომი სრულყოფის საკითხს. მასში აღნიშნულია, რომ სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა დასახონ და გაატარონ პროდუქციის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებები, რათა ატესტაცია გახდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვის ქმედითი ბერკეტი, გამოშვებული პროდუქციის ტექნიკური დონის ობიექტური შეფასების საფუძველი. აქვე ისიც არის ნათქვამი, რომ პროდუქციის ხარისხის ტექნიკური დონის შეფასებაში კიდევ უფრო უნდა გაუმჯობესდეს საატესტაციო კომისიების საქმიანობა, ამაღლდეს სახელმწიფო დარგობრივი სტანდარტების როლი, დაიწყოს ისეთი მანქანების სერიული წარმოება, რომლებიც თავისი ტექნიკურ-ეკონომიკური და საექსპლოატაციო მაჩვენებლებით სავსებით პასუხობენ მსოფლო მიღწევებს.

ბოლო წლებში მიღებულ ნორმატიულ აქტებს შორის ყურადღებას იქცევს, აგრეთვე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 28 სექტემბრის დადგენილებით დამტკიცებული „დებულება სსრ კავშირში სტანდარტებზე და საზომ საშუალებებზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“.[6]

ამ დებულებით განისაზღვრა სტანდარტებზე და საზომ საშუალებებზე სახელმწიფო ზედამხედველობის მიზნები და ძირითადი ამოცანები: სტანდარტების (ტექნიკური პირობების და ნიმუშების) და მეტროლოგიური წესების დროულად დანერგვის უზრუნველყოფა სამინისტროებისა და უწყებების მიერ, სტანდარტებისა (ტექნიკური პირობების, ნიმუშების) და საზომი საშუალებების მეცნიერულ-ტექნიკური დონის ანალიზი და დახმარება მათი შემუშავების დროს იმ მიზნით, რათა ამაღლდეს შრომის მწარმოებლურობა და მათი ხარისხი.

დებულება განსაზღვრავს იმ ორგანოთა წრეს, რომელთაც სტანდარტებზე და გაზომვის საშუალებებზე ზედამხედველობა და კონტროლი ეკისრებათ, აწესებს მათ ფუნქციებსა და კომპეტენციას, მთავარი სახელმწიფო ინსპექტორებისა და მათი მოადგილეების, აგრეთვე სახელმწიფო ინსპექტორების უფლებებს და ა. შ.

სხვა უფლებებთან ერთად მთავარ სახელმწიფო ინსპექტორებს, მათ მოადგილეებსა და სა-

---

[5] «О широком распространении новых методов хозяйствования и усилении их воздействия на ускорение научно-технического прогресса». Постановление ЦК КПСС и Совета Министров СССР от 12 июля 1985 г., М., 1985, ст. 7.

[6] Положение о государственном надзоре за стандартами и средствами измерений в СССР. Утверждено постановлением Совета Министров СССР от 28 сентября 1983 г., СП СССР, № 28, 1983, ст. 157.

ხელმწიფო ინსპექტორებს დებულების მე-5 პუნქტით უფლება აქვთ „მისცენ საწარმოებისა და ორგანიზაციების თანამდებობის პირებს შესასრულებლად სავალდებულო მითითება პროდუქციის გამოშვების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ ამ საწარმოებში და ორგანიზაციებში ირღვევა სტანდარტები და მეტროლოგიური წესები, იმ დრომდე ვიდრე ასეთი დარღვევა არ იქნება აღკვეთილი“.

მოკლედ შევეხებით აგრეთვე არბიტრაჟის როლს პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფის საქმეში. რა თქმა უნდა, არბიტრაჟი უშუალოდ არ მონაწილეობს და ვერც მიიღებს მონაწილეობას პროდუქციის წარმოებაში. სახელმწიფო არბიტრაჟი შექმნილია იმისათვის, რომ განიხილოს და გადაჭრას დავები, რომლებიც სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის წარმოიშობიან, მაგრამ მიუხედავად ამისა, არბიტრაჟი მაინც ასრულებს უაღრესად მნიშვნელოვან როლს პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფის საქმეში. ამას კი არბიტრაჟი აღწევს პროდუქციის უშუალო მწარმოებელ საწარმოზე, დაწესებულებაზე, ორგანიზაციაზე ზემოქმედების სამართლებრივი ღონისძიებების გამოყენებით.

არბიტრაჟის როლი პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფაში საკმაოდ დაწვრილებითაა განხილული იურიდიულ ლიტერატურაში.[7] სამართლებრივი ღონისძიებების გატარება პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით არბიტრაჟს სამი ფორმით შეუძლია. 1. ნორმატიული აქტების გამოცემა; 2. ხარისხის გამო წინასახელშეკრულებო და ქონებრივი დავების განხილვა-გადაწყვეტა; 3. შესაბამისი ორგანოებისათვის შეტყობინების გაგზავნა საწარმოო-დაწესებულებაში ისეთი ნაკლოვანებების არსებობის შესახებ, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ პროდუქციის ხარისხზე.

4. პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფა გადაუდებელი საქმეა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბოლოდროინდელ პლენუმებზე, სკკპ XXVII ყრილობაზე და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე აღინიშნა, რომ სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ დაბალია გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, მათ შორის კი ყველაზე მეტად სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხი, რადგან იშვიათი გამონაკლისის გარდა, იგი ყველაზე მინიმალურ მოთხოვნებსაც ვერ პასუხობს. მიუხედავად ამისა, ბევრ მათგანს მაინც აქვს მიკუთვნებული ხარისხის ნიშანი. მაგალითად, თბილისის გრეხილი ავეჯის კომბინატის ან მარელისის ავეჯის ფაბრიკის მიერ გამოშვებულ სკამებს როგორ მიაკუთვნეს ხარისხის ნიშნები, როდესაც ისინი სულ ადვილად იშლება და მოქალაქეები, აგრეთვე საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებმაც შეიძინეს დასახელებული პროდუქცია, იძულებულნი ხდებიან ხელახლა შეკრან, წებოთი გაამაგრონ ან საერთოდ თქვან უარი მათზე.

განა სადარა, რომ ხარისხის ნიშანი მხოლოდ ისეთ პროდუქციას უნდა მიეკუთვნოს, რომელიც თავისი თვისებებითა და მონაცემებით მსოფლიო ნიმუშებს უტოლდება ან წინ უსწრებს მათ.

ჩვენს რესპუბლიკაში უხარისხო პროდუქციის გამოშვების საკითხი ამასწინათ სპეციალურად განიხილა სამართალდაცვითი ორგანოების საკოორდინაციო საბჭომ, რომელმაც აღნიშნა უხარისხო პროდუქციის გამოშვების ფართოდ გავრცელების ფაქტი და არადამაკმაყოფილებლად ცნო პროკურატურის, სასამართლოს, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახალხო მეურნეობაში იურიდიული სამსახურის მუშაობა ამ მიმართულებით.[8]

ეს ფაქტი მართლაც ყურადსაღები და საგულისხმოა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს გორბაჩოვმა თავის პასუხში გაზეთ „ლუმანიტეს“ კითხვებზე აღნიშნა: „ყველაზე სასწრაფო საქმეთა შორის არის კარგი ხარისხისა და რაც შეიძლება ფართო ასორტიმენტის საქონლით ბაზრის უხვად მომარაგება... ეს პრობლემა მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია“.[9]

ამ მართლაც მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრაში სამართალს შეუძლია წარმატებით შეასრულოს თავისზე დაკისრებული ფუნქცია, თუ ხარისხის უზრუნველსაყოფად გამიზნული ნორმები მტკიცედ და განუხრელად გატარდება ცხოვრებაში. ის ორგანოები კი, რომელთა ძირითადი და უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანაა პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფა, პირნათლად და კეთილსინდისიერად შეასრულებენ დაკისრებულ საქმიანობას.

---

7 ნ. წერეთელი, მიწოდების სამართლებრივი რეგულირება და არბიტრაჟი. თბ., 1970 წ. თ. ლილუაშვილი, თ. ნინიძე, თ. ცაგურია, პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფის სამოქალაქო სამართლებრივი საშუალებები, თბ., 1978 წ.

8 „საბჭოთა სამართალი“, 1985, № 6, გვ. 75.

9 გაზეთი „კომუნისტი“, 1986, 8 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუქთახოროობასთან ბრძოლის ქმედითობისათვის *

ალექსეი ლაპშინი,
ბელორუსიის სსრ პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილე

ბელორუსიის კომუნისტური პარტიის 30-ე ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის მიერ გაკეთებულ საანგარიშო მოხსენებაში აღინიშნა: „უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ბელორუსიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწონებული შრომითს კოლექტივებში მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებისა და დაუსაქმებელი ადამიანების საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩაბმისათვის ნოვოპოლოცკელთა გამოცდილება დაინერგოს ყველგან“. ამ წერილში მოგითხრობთ ნოვოპოლოცკის გამოცდილების რამდენიმე ასპექტის თაობაზე.

ნოვოპოლოცკი ბელორუსიის ერთ-ერთი განვითარებული სამრეწველო ქალაქია 86 ათასი მცხოვრებით. ქალაქში არის სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო, სამონტაჟო და სხვ. დაწესებულებები. ნოვოპოლოცკი აწარმოებს ვიტებსკის რაიონის მთელი სამრეწველო პროდუქციის მესამედს და რესპუბლიკის სამრეწველო ცენტრებს შორის, წარმოების მოცულობის მიხედვით, მეოთხე ადგილი უკავია.

1984 წლის იანვრიდან ქალაქში მოქმედებს დაუსაქმებელი შრომისუნარიანი მოქალაქეების გამოვლინების, აღრიცხვისა და მათი საზოგადოებრივ წარმოებაში ჩაბმის „სისტემა“. ამ „სისტემის“ ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა არის ის, რომ გამოავლინოს თითოეული შრომისუნარიანი უმუშევარი მოქალაქე და პრაქტიკული დახმარება გაუწიოს მათ სამსახურში მოწყობისათვის. ბელორუსიის კომუნისტური პარტიის ნოვოპოლოცკის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ ბიუროზე მიღებული დადგენილების საფუძველზე ამ ამოცანის განხორციელებისათვის კონტროლი დაევალა შრომითი რესურსების გამოყენების კომისიას, რომელიც მოქმედებს ქალაქის საბჭოს აღმასკომთან. „სისტემის“ ქმედითობის უზრუნველსაყოფად კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაციას უწევს საწარმოთა და ორგანიზაციათა კადრების განყოფილებების, შრომითი მოწყობისა და მოსახლეობის ინფორმაციის ბიუროს, შინაგან საქმეთა განყოფილების საპასპორტო მაგიდასა და სასწავლო დაწესებულებების მუშაობას.

დადგენილი წესების შესაბამისად დაწესებულებებისა და ორგანიზაციების კადრების განყოფილებები შრომითი მოწყობისა და მოსახლეობის ინფორმაციის ბიუროს განსაზღვრულ ვადებში აცნობებენ კადრებზე მათი მოთხოვნილების (ყოველწლიურად შემოდის ცნობები დაახლოებით 5 ათასამდე ვაკანსიის თაობაზე, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე გასულ წლებში) და სამუშაოზე მიღებულთა და განთავისუფლებულთა შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქის ორგანიზაციები და დაწესებულებები მოქალაქეებს სამუშაოზე

* სტატია მომზადებულია სპეციალურად ჩვენი ჟურნალისათვის.

ილებენ როგორც წესი, შრომითი მოწყობის ბიუროს მიმართვის საფუძველზე. ქალაქის სამრეწველო დაწესებულებებში ახალმიღებულთა თითქმის 95 პროცენტი ბიუროს დახმარებით მოეწყო.

ქალაქის შინაგან საქმეთა განყოფილება ბიუროს სისტემატურად აცნობებს შრომისუნარიანი მოქალაქეების, ქალაქში მუდმივ საცხოვრებლად ჩამოსულების, ქალაქიდან ამოწერილების, აგრეთვე იმ პირთა შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, ხოლო ქალაქის სასწავლო დაწესებულებები ბიუროს ინფორმაციას აწვდიან უმუშევარი კურსდამთავრებულების შესახებ. თავის მხრივ საქალაქო სამხედრო კომისარიატიც უგზავნის ბიუროს მონაცემებს ქალაქში ჩამოსულ დემობილიზებულ პირთა შესახებ.

მთელ ამ ინფორმაციას ბიუროში შესაბამისად აანალიზებენ და ქალაქის აქტივის, დეპუტატების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახმარებით, სამუშაოზე აწყობენ უმუშევრებს. ამ საქმეში დიდად აქტიურობს სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტულ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, სადაც სამუშაოდ უნდა მოეწყონ ეს პირები. დაწესებულების ან ორგანიზაციის ადმინისტრაციას უფლება არ აქვს შესაბამისი მიმართვის მქონე პირს უარი უთხრას სამუშაოდ მიღებაზე.

იმის მიხედვით, თუ რა მიზეზით არიდებს თავს მოქალაქე საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, შესაბამისად დიფერენცირებულია მათთან დამოკიდებულებაც. ამგვარად, ეგრეთ წოდებული „ფრენიები“ და ის პირები, რომლებიც თავს არიდებენ შრომას, აყვანილნი არიან სათანადო კონტროლზე, ხოლო ისინი, ვინც არავის ემორჩილებიან და ჯიუტად განაგრძობენ მუქთახორულ ცხოვრებას, მიეცემიან პასუხისგებაში.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევათ სამკურნალო შრომითი პროფილაქტორიუმებიდან და შრომა-გასწორების დაწესებულებიდან დაბრუნებულებს. ასეთი პირების მიმართ შემუშავებულია ინდივიდუალური აღმზრდელობითი მუშაობის ფორმები.

„სისტემის“ ქმედითობა ბევრად არის დამოკიდებული მასში მონაწილე ყველა მხარის შეთანხმებულ ფუნქციონირებაზე, შრომითს კოლექტივებში ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხზე. აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს სამართალდარღვევათა მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების ღრმად შესწავლას, ფართო განმარტებით მუშაობას მოსახლეობაში. ამ საქმეში ფასდაუდებელი წვლილი შეაქვთ მასობრივი ინფორამციის საშუალებებს. ისინი დიდ ყურადღებას უთმობენ ქალაქის უმუშევარ მოქალაქეთა შრომაში ჩაბმისა და შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხებს. 1984-85 წლებში ქალაქის გაზეთმა „ხიმიკმა“ ამ თემაზე გამოაქვეყნა 28 პუბლიკაცია, რესპუბლიკური და საქალაქო რადიო ფართოდ აშუქებს „სისტემის“ მუშაობას, გამოიცა სპეციალური ფურცელი „შრომითი რესურსების მოძრაობის აღრიცხვის სისტემა ქალაქ ნოვოპოლოცკში“. აქტიურად მიმდინარეობს შრომითი კანონმდებლობისა და კანონის განმარტება-პროპაგანდა შრომითი კოლექტივების შესახებ.

„სისტემის“ ნორმალური და შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვან საქმიანობას ეწევიან ქალაქის სამართალდამცავი ორგანოები, განსაკუთრებით კი შინაგან საქმეთა განყოფილება. განმტკიცდა მილიციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაკებსა და შრომით კოლექტივებს შორის კავშირი. შინაგან საქმეთა ქალაქის განყოფილების თანამშრომლები ავლენენ იმ პირებს, რომლებიც ბოროტად არიდებენ თავს შრომას. 1984-1985 წლებში ქალაქში გამოავლინეს და სამუშაოზე მოაწყვეს 343 მოქალაქე, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ მუშაობდნენ.

„სისტემის" მოქმედების შედეგად სამუშაოთი უზრუნველყოფილნი არიან სკოლადამთავრებულები, რომლებიც სწავლას აღარ აგრძელებენ. საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურად არიან ჩაბმული პენსიონერები და დიასახლისები, მოქალაქეებს შესამჩნევად ეზოგებათ დრო სამუშაოს ძებნაში.

შრომითს კოლექტივებში უფრო კონკრეტული და მიზანსწრაფული გახდა კადრების დამაგრებისათვის მუშაობა. მაგალითად, ცილავიტამინების კონცენტრატების ქარხანაში შრომითი დისციპლინის დამრღვევების მიმართ იყენებენ აღმზრდელობითი მუშაობის მთელ კომპლექსს. ქარხანაში მინიმუმამდე შემცირდა კადრების დენადობა, ხოლო პირები, რომლებიც გაგზავნილნი არიან ამ ქარხანაში, აგრძელებენ საქმიანობას. მართებულია აღინიშნოს დამახასიათებელი დეტალი: თუ გამოირკვევა, რომ შრომითი დისციპლინის დარღვევისათვის ვინმე გაანთავისუფლეს სამუშაოდან ისე, რომ მის მიმართ არ ჩაუტარებიათ სათანადო აღმზრდელობითი მუშაობა, შრომითი რესურსების გამოყენების კომისია ასეთ პირს კვლავ იმ დაწესებულებაში აგზავნის, სადაც მუშაობდა.

1985 წელს ქალაქში თითქმის 3-ჯერ შემცირდა შრომითი დისციპლინის დარღვევისათვის სამუშაოდან დათხოვნილთა რიცხვი. სახალხო სასამართლოში მკვეთრად შემცირდა სამსახურში აღდგენისათვის შეტანილ სარჩელთა რაოდენობა და, რაც მთავარია, ნოვოპოლოცკში დღითიდღე მცირდება დანაშაულობათა რიცხვი.

აქვე უნდა ითქვას, რომ ნოვოპოლოცკში მოქმედ „სისტემას" გამოუყენებელი რეზერვებიც გააჩნია. კერძოდ, მოსახლეობის შრომითი მოწყობისა და ინფორმაციის ბიურომ ჯერ კიდევ ვერ დაამყარა კონტაქტი ქალაქის ყველა წარმოება-დაწესებულებასა და ორგანიზაციასთან. მაგალითად, ბიუროს მხედველობის არის გარეშე რჩება იმ ორგანიზაციების მუშაკთა მიღება და დათხოვნა, რომელთა კადრების განყოფილებები სხვა ქალაქებშია. ბიურომ ვერ მიაღწია კადრების განყოფილებიდან შემოსული ინფორმაციების რეგულარულ შემოწმებას. გამოცდილებამ ცხადყო, რომ საჭიროა შრომითი რესურსების მოწყობის კომისიის შემადგენლობაში ექიმი ნარკოლოგიც იყოს, რადგან ალკოჰოლიკების სამსახურში მოწყობის დროს ხშირად წამოიჭრება ხოლმე მათი მკურნალობის საკითხი. ქალაქის სამართალდაცვითი ორგანოები ყოველთვის ვერ იჩენენ სათანადო პრინციპულობას. ამის შედეგია, რომ პარაზიტული ცხოვრების მიმდევარი ზოგიერთი პირი დანაშაულის ჩადენის შემდეგ გამოვლინდა. უფრო მკაცრი და საქმიანი უნდა იყოს საპროკურორო ზედამხედველობა კანონიერების დამრღვევთა მიმართ. აღსანიშნავია ისიც, რომ ქალაქში სამართალდამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ კიდევ არ გაშლილა ფართო ფრონტით.

აღნიშნული ნაკლოვანებების დროულად აღმოფხვრა ბევრად შეუწყობს ხელს მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებას ქალაქის შრომითს კოლექტივებში, მართლწესრიგისა და კანონიერების შემდგომ განმტკიცებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტკიცების ფარგლების საკითხისათვის

მიხეილ ქურდაძე,
საქართველოს სსრ პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

მტკიცებულებათა თეორია სისხლის სამართლის პროცესის შემადგენელი ნაწილია და მას კატეგორიალური მნიშვნელობა აქვს. ჩვენის აზრით, სწორედ ასეთ მეცნიერულ კატეგორიებს წარმოადგენს მტკიცებულება, მტკიცებულების საგანი, მტკიცებულების ფარგლები, მტკიცებულებათა საშუალებები (ხერხები) და სხვა.

როგორც ცნობილია, მეცნიერული კატეგორიები განსხვავდებიან მეცნიერული ცნებებისაგან. ეს განსხვავება უპირველესად იმაში მდგომარეობს, რომ მართალია მეცნიერული ცნების არარსებობა ან დაუმუშავებლობა ვერ აფერხებს მეცნიერების განვითარებას, მაგრამ სამაგიეროდ, მეცნიერული კატეგორია თითქმის გადამწყვეტ გავლენას ახდენს მეცნიერებასა და იმ პრაქტიკულ საქმიანობაზე, რომელსაც იგი ემსახურება.

მტკიცების ფარგლების ცნების თავდაპირველ განმარტებას ინგლისური სამართლის კლასიკოსების (ი. ბენტამი, გ. უილზი) და გამოჩენილი რევოლუციამდელი რუსი პროცესუალისტების (ი. ფოინიცკი, ვ. სლუჩევსკი, ა. სკოპინსკი) შრომებში ვხვდებით. სისხლის სამართლის პროცესში „მტკიცების ფარგლების“ ცნება, როგორც ტერმინი, გამოიყენებოდა მტკიცების საგნის სინონიმად, ამ უკანასკნელის ფარგლების აღსანიშნავად.

ეხება რა მტკიცებულების საგანს, ვ. სლუჩევსკი ხშირად იყენებს ტერმინს „ფარგლები“. მას მხედველობაში აქვს იმ გარემოებათა წრე „რომლებიც მოცემული დანაშაულის კანონიერ შემადგენლობას, აგრეთვე, ბრალეულობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს მიეკუთვნება“.[1]

ეს პოზიცია მტკიცედ დამკვიდრდა საბჭოთა პროცესუალისტების შრომებში. მართლაც, როდესაც ა. ვიშინსკი და მისი მიმდევრები ახასიათებდნენ ხოლმე იმ გარემოებათა წრეს, რომლებიც მოითხოვდნენ გამოკვლევას და შეადგენდნენ მტკიცების საგანს, სარგებლობდნენ მტკიცების ფარგლების სწორედ ამგვარი ცნებით. მას განსაკუთრებით თანმიმდევრულად იცავდა მ. სტროგოვიჩი. თავისი ადრინდელი პუბლიკაციებიდან უკანასკნელ კაპიტალურ ნაშრომებამდე, იგი ყველგან უარყოფს მტკიცებულების ფარგლების ცნების დამოუკიდებელ მნიშვნელობას. ამ საკითხმა ბევრი სხვა მკვლევარის ყურადღებაც მიიქცია, ხოლო მტკიცების საგნისა და ფარგლების გაიგივებამ არაორაზროვანი გამოხატულება ჰპოვა სისხლის სამართლის პროცესის კურსში: „მტკიცების საგნის განსაზღვრა ნიშნავს საქმის ფარგლებისა და მიმართულებების განმარტებას“.[2]

---

[1] Учебник русского уголовного процесса, С. П., 1910, с. 420.

[2] М. С. Строгович, Курс советского уголовного процесса, т. I, М., 1958, с. 191.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილია, რომ ორმოცდაათიანი წლების შუა პერიოდიდან სისხლის სამართლის პროცესუალურ მეცნიერებაში მწვავე კამათი გაიმართა. ეს კამათი ჩვენთვის საინტერესო პრობლემასაც შეეხო.

ამ პერიოდის პუბლიკაციებში ცხადად იგრძნობა მტკიცების საგნისა და ფარგლების გამიჯვნის ცდები.[3]

ამ საკითხებს ეძღვნება გ. მინკოვსკის მონოგრაფია „მტკიცების ფარგლების შესახებ საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში". შრომაში არსებითად პირველად არის განხილული მტკიცების ფარგლები, მტკიცების პროცესის დამოუკიდებული დახასიათებით. ახსნილია სისხლის სამართლის საპროცესო საქმიანობის მნიშვნელოვანი კომპონენტის შინაარსი, დასახულია ურთიერთკავშირი და თანაფარდობა სისხლის სამართლის საპროცესო სამართლის სხვა ფუძემდებლურ დებულებებთან და მტკიცებულებათა თეორიასთან. „ჭეშმარიტების დასადგენად აუცილებელია პირველ რიგში სწორად განისაზღვროს მტკიცების ფარგლები ე. ი. დადგინდეს თუ რა მოცულობით უნდა შეიკრიბოს მტკიცებულება იმ გარემოებათა გამოსარკვევად, რომლებმაც საბოლოოდ უნდა გადაწყვიტონ სისხლის სამართლის საქმე".[4]

აქვე ავტორი, არ ღალატობს რა ტრადიციებს, ასკვნის: „მიუხედავად გარკვეული განსხვავებისა, მტკიცების (გამოკვლევის) ფარგლები და მტკიცების (გამოკვლევის) საგანი შემდგომში გამოყენებული იქნება როგორც იდენტური ტერმინებიო".[5] ამან კი გარკვეული გავლენა მოახდინა მტკიცების ფარგლების შინაარსობრივ დახასიათებაზეც, რადგან სისხლის სამართლის საქმეზე გამოკვლევის დროს მტკიცების საგანში ყველა გარემოების შეტანით ავტორი მივიდა მტკიცების საგნისა და ფარგლების გაიგივებამდე.

და რადგანაც მტკიცების საზღვრების პრობლემა სისხლის სამართლის პროცესის თეორიამ უნდა გადაწყვიტოს, სწორედ ამ დარგში დაისახა მისი შემდგომი დამუშავების ცდები. თუმცა, უშუალოდ ამ საკითხს არავინ შეხებია. ბოლოდროინდელი შრომები უმეტესად ეძღვნებოდა მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესის ტრადიციულ პრობლემებს — მტკიცებულებათა ცნებას, მათ კლასიფიკაციას, მტკიცების საგანს, მტკიცებულებათა შეკრების საშუალებებს, პროცესუალურ გადაწყვეტილებათა ცნებას, მტკიცებულებათა შეფასებას და სხვა.

ამ მხრივ აღსანიშნავია 1960 წელს გამოცემული ა. ტრუსოვის მონოგრაფია „სასამართლოს მტკიცებულებათა თეორიის საფუძვლები". იხილავს რა მტკიცების პროცესის პრობლემას, ავტორი აქ გვერდს უვლის ისეთ მნიშვნელოვან კატეგორიას, როგორიც მტკიცების ფარგლებია.[6]

სისხლის სამართლის საპროცესო მეცნიერებაში, კერძოდ კი სასამართლო მტკიცებულებათა თეორიაში, თითქმის ახალი სიტყვა იყო კოლექტიური მონოგრაფია, „მტკიცებულებათა თეორია საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში".

ნაშრომში ხაზგასმულია, რომ დებულება მტკიცების საგნისა და მისი საზღვრების იდენტურობის შესახებ არ არის სწორი, რადგან **მტკიცების ფარგ-**

---

[3] რ. რახუნოვი, მტკიცების საგანი და ფარგლები საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერებაში, „სოციალისტიჩესკაია ზაკონნოსტ", № 11, 1954, გვ. 43.

[4] Г. М. Миньковский, Назван. работа, М., 1956, с. 4.

[5] Г. М. Миньковский, Назван. работа, с. 2.

[6] А. И. Трусов, Основы теории судебных доказательств, Гос., издательство юрид. литературы, М., 1980, с. 91.

ლებს დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს.[7]

აქვე ყურადღებას იქცევს ავტორების მიერ მოცემული განმარტება: მტკიცების ფარგლები — ეს არის მტკიცებულებათა აუცილებელი და საკმარისი ერთობლიობა, რომელიც შეიკრიბა საქმის ირგვლივ და უზრუნველყოფს მტკიცების ქვემდებარე გარემოებათა სწორად გადაწყვეტას. **„მტკიცების საგანი და ფარგლები ერთმანეთთანაა დაკავშირებული და დამოკიდებული: პირველი გამოხატავს მიზანს, მეორე — მისი მიღწევის საშუალებებს“.**[8]

მთლად ზუსტი არა, მაგრამ საკმაოდ დამაჯერებელია ლ. კარნეევას განმარტება: „თუ მტკიცების საგანს განვიხილავთ, როგორც საქმის გარემოებათა ჰორიზონტალურად გამოკვლევის ფარგლებს, მტკიცების ფარგლები, რომლებიც განსაზღვრავენ მათი გამოკვლევის სიღრმეს, შეიძლება განისაზღვროს როგორც მისი საზღვრების ვერტიკალი“.[9]

პროცესუალისტების უმრავლესობამ შემდგომში გაიზიარა მტკიცებულებათა თეორიის კონცეფცია მასში არსებითი დამატებებითა და ცვლილებებით. „მტკიცებულება, — აღნიშნავს ნ. სტოიკო, — ეს მტკიცების მდგომარეობაა, რომელიც გამოხატავს არსებით დამოკიდებულებას ობიექტურ სინამდვილესა (მტკიცების საგანსა) და მტკიცებულებათა სისტემას შორის, როგორც მისი ამსახველი (მტკიცების ფარგლები).“[10]

პროცესუალისტების აზრით მტკიცების ფარგლებში იგულისხმება მტკიცებულებათა ისეთი ერთობლიობა, რომელიც აუცილებელი და საკმარისია მტკიცების საგანში შემავალი ყველა გარემოების დასადგენად.[11] ზოგიერთი ავტორი კიდევ უფრო აფართოებს ამ ცნებას, ზოგიერთზე კი გავლენას ახდენს საკავშირო და რესპუბლიკური კანონების (საფუძვლების 42-ე მუხლი, რსფსრ სსსკ 244-ე მუხლი, საქართველოს სსრ სსსკ 255-ე მუხლი) შინაარსობრივი იგივეობა, რომლებიც ასეა დასათაურებული: „სასამართლო განხილვის ფარგლები“. ჩვენი აზრით, სწორია მ. მიხენკო, რომელიც ამტკიცებს, რომ ამ შემთხვევაში, კანონი ადგენს არა მტკიცების ფარგლებს სასამართლოში, არამედ შეზღუდვებს იმ ქმედობაზე, რომლებიც განხილვას ექვემდებარება და იმ პირებზე, რომლებიც შეიძლება მსჯავრდებული იქნენ.[12]

მტკიცების ფარგლების პრობლემას თითქმის ყველა პროცესუალისტი შეეხო. მისი შემდგომი თეორიული დამუშავება ხელს შეუწყობს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის პრაქტიკულ განხორციელებას.

---

[7] Теория доказательств в советском уголовном процессе, М., том I, 1966, том II, 1967.

[8] Теория доказательств в советском уголовном процессе, М., 1973, с. 188.

[9] Л. М. Карнеева, Привлечение к уголовной ответственности, Законность и обоснованность, М., 1971, с. 104.

[10] Н. Т. Стойко, Предмет доказывания и недоказанность обстоятельств уголовного дела, «Вестник ленинградского университета», вып. 3, 1980, с. 84 (81—88).

[11] Н. С. Алексеев. Доказывания и его предмет в советском уголовном процессе, В кн.: Актуальные проблемы советского государства и права в период строительства коммунизма, Л., 1967, с. 446, Советский уголовный процесс, М., 1980, с. 136.

[12] М. М. Михенко, Доказывание в советском уголовном судопроизводстве, Киев, «Высшая школа», 1984, с. 107.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უცხოეთის წარმომადგენლობა საბჭოთა გამომგონებლობის სამართლის მიხედვით

ტატიანა ზჩეგლოვა

სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებში საბჭოთა ეკონომიკის უსწრაფესად გარდაქმნის ერთ-ერთ მთავარ საშუალებად მიჩნეულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებული განვითარება და ამ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება.

სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები აქტიურად ეწევიან მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევის ურთიერთგაცვლას. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამოგონებებს (აღმოჩენებს, რაციონალიზატორულ წინადადებებს). ამ თანამშრომლობის სრულყოფა კი მოითხოვს გამომგონებლობის სამართლის უფლებების მოწესრიგებას მსოფლიო სოციალისტური სისტემის ფარგლებში.

პრინციპული წინააღმდეგობა, რომელიც ბურჟუაზიული და სოციალისტური სახელმწიფოების გამომგონებლობის სამართალს შორის არსებობს, ხელს არ უშლის საგამომგონებლო უფლების ურთიერთდაცვას, არ გამორიცხავს ორი საპირისპირო სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მქონე სახელმწიფოების თანამშრომლობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას.

ყოველი სახელმწიფო თვითონ განსაზღვრავს იმ სამართლებრივ სტატუსს, რომელიც შეეფარდებათ მის მოქალაქეებს, აგრეთვე იმ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებიც მის ტერიტორიაზე იმყოფებიან. მიუხედავად იმ განსხვავებისა, რომელიც უცხოელთა უფლებებისა და თავისუფლებების მოცულობის სფეროში არსებობს, ასეთი მოცულობის განსაზღვრისას მთავრობები უნდა ხელმძღვანელობდნენ იმ მოთხოვნებით, რომელიც დადგენილია თანამედროვე საერთაშორისო სამართალში მოქმედი ძირითადი პრინციპებით და ნორმებით. იგივე ითქმის უცხოეთის საგამომგონებლო უფლებაზე.

საერთაშორისო კერძო სამართლით საგამომგონებლო უფლების თავისებურებაა მისი მტკიცე ტერიტორიული ხასიათი. ამ პრინციპს ყველა სახელმწიფო აღიარებს და მათ შორის საბჭოთა კანონმდებლობაც.

ეყრდნობა რა ტერიტორიულობის პრინციპს, საბჭოთა სამართალი იცავს უცხოელთა უფლებებს იმ გამოგონებებზე, რომლებზეც საბჭოთა კავშირში გაცემულია პატენტი ან საავტორო მოწმობა. ეს საკითხები რეგულირდება როგორც შინასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო შეთანხმებებით. ასეთი რეგულირება არ იყო ყოველთვის ერთნაირი. იგი იცვლებოდა საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკური და ისტორიული პირობების მიხედვით, საბჭოთა გამომგონებლობის სამართლის განვითარების შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ გამოგონებაზე უცხოელისათვის უფლების მინიჭება ხდებოდა ერთი და იგივე პრინციპით: მიენიჭებოდა იგი საბჭოთა მოქალაქეებთან თანაბარ საფუძველზე[1].

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე უცხოელი სარგებლობს უფლებებით არა მარტო გამოგონებაზე, არამედ აღმოჩენებზე და რაციონალიზატორულ წინადადებებზეც.

საბჭოთა კანონმდებლობის აუცილებელი თვისებაა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ისეთი რეგლამენტაცია, რომელიც აადვილებს და ამარტივებს ადამიანის უფლება-მოვალეობათა შეძენას და შესრულებას. სსრ კავშირის კონსტიტუციის 47-ე მუხლი აცხადებს: „სსრ კავშირის მოქალაქეებს კომუნისტური მშენებლობის მიზნების შესაბამისად გარანტირებული აქვთ მეცნიერული, ტექნიკური და მხატვრული შემოქმედების თავისუფლება. ამას უზრუნველყოფს მეცნიერული კვლევის საგამომგონებლო და რაციონალიზატორული საქმიანობის ფართოდ გაშლა...“

სამოქალაქო სამართლის ისეთი ინსტიტუტი, როგორიცაა წარმომადგენლობა, ხელს უწყობს მოქალაქეთა და ორგანიზაციათა უფლება-მოვალეობების მაქსიმალურ რეალიზაციას, ქვეყანაში საგამომგონებლო საქმის განვითარებას, აღმოჩენების, გამოგონებების, რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენების გაუმჯობესებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში მათი როლის ამაღლებას[2].

უცხოელმა, რომელიც საზღვარგარეთ ცხოვრობს ან დატოვა საბჭოთა კავშირის ტერიტორია, განაცხადი უნდა წარადგინოს არა თვითონ, არამედ სხვამ, კანონით გათვალისწინებული წარმომადგენლის მეშვეობით[3].

ასეთი წარმომადგენელია სავაჭრო პალატა, რომელიც უფლებამოსილია უცხოელ მოქალაქეთა და იურიდიული პირების მინდობილობით განახორციელოს ყველა ოპერაცია გამოგონებების, პატენტებისა და რეალიზაციისათვის (სრულიად საკავშირო სავაჭრო პალატის წესდების მე-3 მუხლი).

საბჭოთა კავშირში საავტორო მოწმობის (პატენტის) მისაღებად გაცემული მინდობილობა დამოწმდება სანოტარო წესით, ხოლო თუ განაცხადი მხოლოდ პატენტს ეხება, ამ შემთხვევაში მინდობილობა ლეგალიზებული უნდა იყოს საბჭოთა საკონსულოს მიერ.

საბჭოთა კავშირში მცხოვრებ უცხოელს შეუძლია განაცხადით მიმართოს უშუალოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგონებების და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს (შემდგომში ვიხმართ ასე — „კომიტეტი“).

ასეთ დროს უცხოელს უფლება ეძლევა „კომიტეტში“ საგანაცხადო მასალები წარადგინოს იმ პირის მეშვეობით, ვისაც გააჩნია სათანადო იურიდიული და ტექნიკური ცოდნა განაცხადის პროფესიულ დონეზე გაფორმებისა და იმისათვის, რომ მომავალშიც აღმოუჩინოს ავტორს საჭირო სამართლებრივი დახმარება საავტორო უფლებების დაცვის დროს.

---

1 საბჭოთა კანონმდებლობის განვითარების ისტორია უცხოელთა გამოგონებაზე უფლების შესახებ, იხ. М. М. Богуславский. Основные вопросы изобретательства в международном частном праве, М., 1960, ст. 116—126.

2 სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება, 1973 წლის 20 აგვისტო, № 575.

3 დებულება — „აღმოჩენების, გამოგონებების და რაციონალიზატორული წინადადებების შესახებ“, პუნქტი მე-7. შემდგომში ვიხმართ მოკლედ — „დებულება“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი ურთიერთობა ეყრდნობა ხელშეკრულებას, რომელშიც ავტორის წარმომადგენლად შეიძლება გამოდიოდეს ის, ვისაც გააჩნია უფლება, ქმედუნარიანობა და სათანადო ცოდნა-გამოცდილება გამომგონებლობის სამართლის სფეროში. ეს ფუნქცია შეიძლება დაეკისროს იურიდიულ პირსაც.

საპატენტო მომსახურეობის სრულიად საკავშირო ცენტრის დებულებით კომიტეტს ევალება საპატენტო მომსახურეობა გაუწიოს უცხოელ მოქალაქეს და იურიდიულ პირს დადგენილი წესით გაფორმებული განაცხადების მიხედვით (პუნქტი № 3 აბზ. № 5). გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების წესდების თანახმად, ეს საზოგადოება ავტორებისაგან ღებულობს საგანაცხადო მასალებს გამოგონებებზე, საჭირო დახმარებას უწევს მათ განაცხადის გაფორმებაში და აგზავნის „კომიტეტში" (პუნქტი № 25, აბზ. № 16, პუნქტი № 29, აბზ. № 15, პუნქტი № 40, აბზ. № 12). საზოგადოებრივი საპატენტო ბიურო უფლებამოსილია ავტორთა სახელით გაფორმოს განაცხადი გამოგონებებზე და თუ საჭიროა, გამოყოს თავისი წარმომადგენლები გამომგონებლების და რაციონალიზატორების საავტორო უფლებების დასაცავად (ტიპიური დებულება საზოგადოებრივი საპატენტო ბიუროს შესახებ, პუნქტი № 8 აბზ. № 2 და 3). რაც შეეხება აღმოჩენისათვის დიპლომის მისაღებად წარმომადგენლის მეშვეობით განაცხადის წარდგენას ამაზე საბჭოთა კანონმდებლობაში არაფერია ნათქვამი, თუმცა „დებულების" მე-12 პუნქტი (აბზ. № 2) ითვალისწინებს „განაცხადის წარდგენას საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების მიერ, რომელსაც ეს დაავალა აღმოჩენის ავტორმა".

საბჭოთა კანონმდებლობით სამსახურებრივ გამოგონებაზე საავტორო მოწმობის მისაღებად აუცილებელია განაცხადის წარდგენა, მაგრამ ეს წესი არ ვრცელდება უცხოელზე. საბჭოთა დაწესებულება უფლებამოსილი არ არის დაიწყოს უცხოელი გამომგონებლისა და მისი დამქირავებლის (დაწესებულების, ფირმის და სხვ.) ურთიერთობის გარკვევა, რადგან ეს წესი სამსახურებრივი გამოგონებების შესახებ ვრცელდება მხოლოდ საბჭოთა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებზე. იმ შემთხვევაში კი, როდესაც უცხოელი მუშაობს საბჭოთა ორგანიზაციაში, ეს წესი კვლავ ძალაშია, რადგან იგი ითვლება ისეთ პირად, რომელიც შრომით ურთიერთობაში იმყოფება საბჭოთა ორგანიზაციასთან, საწარმოსთან, დაწესებულებასთან[4].

საბჭოთა გამომგონებლობის სამართლით, თუ საწარმო (ორგანიზაცია, დაწესებულება) საავტორო მოწმობის გაცემის განმცხადებელია, იგი თვითონ ვერ მიიღებს ამ დოკუმენტს, რადგან ამ ურთიერთობის დროს იგი არ არის სამართლის სუბიექტი. ასეთ განმცხადებელს მიეცემა დოკუმენტი, რომელიც განსხვავდება საავტორო მოწმობისაგან და შემოიფარგლება მხოლოდ იმ ფაქტის კონსტატაციით, რომ გამოგონება შეიქმნა დასახელებულ დაწესებულებაში, საწარმოში, ორგანიზაციაში.

---

[4] М. М. Богуславский, Патентные вопросы в международных отношениях. М., 1962, ст. 167.

როდესაც ავტორი განაცხადს წარადგენს იურიდიული პირის ან საწარმო-დაწესებულების მეშვეობით, წარმომადგენლები ჩაითვლებიან გარიგების სუბიექტებად, მაგრამ იმ თავისებურებით, რომ ისინი არიან მხოლოდ ავტორის მემკვიდრეები და უფლებამონაცვლენი[5]. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს სახელშეკრულებო წარმომადგენლობას, რომელიც დაფუძნებულია ავტორისა და წარმომადგენლის შეთანხმებაზე.

სამსახურებრივი განაცხადის წარდგენა აღმოჩენაზე („დებულება", პუნქტი № 8, აბზ. № 3) ან გამოგონებაზე (პუნქტი № 40, აბზ. № 2) საწარმო-დაწესებულებას ანიჭებს ავტორის კანონიერი წარმომადგენლის სტატუსს: „საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები მოვალენი არიან უზრუნველყონ სამსახურებრივი დავალების შესრულების პროცესში გამოგონების დროული გამოვლინება, ასეთ გამოგონებებზე საავტორო მოწმობის გაცემისათვის განაცხადების გაფორმება და სათანადო წესით წარდგენა („დებულება", პუნქტი № 41, აბზ. № 1).

თუ საწარმო-დაწესებულება არ შეასრულებს თავის მოვალეობას და დადგენილ ვადებში არ გააფორმებს განაცხადს გამოგონებაზე, საბჭოთა კანონმდებლობა ავტორს აძლევს იმის უფლებას, რომ უარი თქვას კანონიერ (საწესდებო) წარმომადგენლობაზე და განაცხადი თვითონ ან სახელშეკრულებო წარმომადგენლის მეშვეობით წარადგინოს.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკა, რომელიც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შემდგომ და სწრაფ განვითარებაზეა დაფუძნებული, წარმოუდგენელია სხვა ქვეყნებთან ინტენსიური ეკონომიკური თანამშრომლობის გარეშე. ამ თანამშრომლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმაა უცხოელ განმცხადებელთა დაინტერესება იმის შესახებ, რომ თავიანთი გამოგონება მტკიცედ დანერგონ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

1965 წლიდან კი, რაც საბჭოთა კავშირი შეუერთდა პარიზის კონვენციას სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ, ჩვენს ქვეყანაში თითქმის ხუთჯერ გაიზარდა უცხოელ ავტორთა მიერ წარდგენილ უცხოელ განმცხადებელთა განაცხადთა რაოდენობა. ეს კი თავისთავად მოწმობს საბჭოთა გამომგონებლობის სამართლის დიდ ეფექტიანობაზე.

---

5 როგორც ცნობილია, ავტორის უფლებამონაცვლედ შეიძლება გახდეს არა მარტო მოქალაქე, არამედ იურიდიული პირიც, რომელთა უფლების დაცვა ამ სტატიაში არ განიხილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასალების სასამართლომდე მომზადების საოქმო ფორმა

ლეილა გარსევანიშვილი,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ორგანოების სამმართველოს კონსულტანტი

კანონიერების განმტკიცებასა და განხორციელებაში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა საბჭოთა კანონმდებლობის, განსაკუთრებით კი სისხლის სამართლის საქმეთა სამართალწარმოების სრულყოფას, რადგან სასჯელის ეფექტურობის მიზნით საჭიროა რაც შეიძლება მალე დადგინდეს განაჩენი. სწორედ ამას ითვალისწინებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 18 თებერვლის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ". ამ ბრძანებულებამ მნიშვნელოვნად გაამარტივა ზოგიერთი კატეგორიის საქმეთა სამართალწარმოება და გააუმჯობესა სასამართლომდე მომზადების საოქმო ფორმით შემოსულ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო პრაქტიკა.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-400 მუხლით დადგენილია დანაშაულთა ისეთი კატეგორიები, რომლებზეც მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ნაცვლად უნდა შედგეს საოქმო ჩანაწერები. სახალხო სასამართლოები კი ხშირად არღვევენ კანონის აუცილებელ მოთხოვნას და ამ წესით იხილავენ ისეთ საქმეებს, რომლებსაც მუხლი არ ითვალისწინებს. მაგალითად, ლაგოდეხის რაიონის სახალხო სასამართლომ სასამართლომდე მომზადების საოქმო ფორმით წარმოებაში მიიღო 8 მასალა, რომელთაგან არცერთი არ ექვემდებარებოდა ამ წესს.

დადგენილია, რომ ასეთ დანაშაულობებზე მასალების სასამართლოში შესვლისას მოსამართლე საკითხს წყვეტს ამავე კოდექსის 230-ე მუხლით და ითვალისწინებს იმ თავისებურებებს, რაც მათი სასამართლომდე მომზადების საოქმო ფორმას ახასიათებს. რადგან ასეთ დროს საერთო წესისაგან განსხვავებით სამართალში მიცემა ხდება სისხლის სამართლის საქმის აღძვრასთან ერთად, საჭიროა მასალების სრულყოფილი შესწავლა და საქმის აღძვრის საფუძვლიანობის ზუსტი შეფასება. მასალები აუცილებლად უნდა შეიცავდეს მონაცემებს სამართალდამრღვევის პიროვნებაზე, დანაშაულის ჩადენის დროის, ადგილის, საშუალებების, მოტივის, შედეგისა და სხვა არსებითი გარემოებების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენენ პასუხისმგებლობის ხარისხსა და ხასიათზე. დადგენილი უნდა იყოს აგრეთვე მიყენებული ზარალის ოდენობა და საქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეს უნდა ერთვოდეს მომხდარი დანაშაულის მოწმეთა და სხვა პირთა ახსნა-განმარტებები.

აბაშის რაიონის სახალხო სასამართლომ განიხილა რ. ბაღათურიას ბრალდების საქმე გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 241[1]-ე მუხლის I ნაწილით. მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არ მოიპოვება ცნობა განსასჯელის ნასამართლობის შესახებ, სასამართლო ზერელედ დაეყრდნო სამართალში მიცემულის განმარტებას და იგი ჩათვალა სამართალში არ ყოფილად.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 241[1]-ე მუხლის I ნაწილით ხაშურის რაიონის სახალხო სასამართლოში ისე აღიძრა საქმე, რომ მასალებში არ მოიპოვება ცნობა სამართალდამრღვევის ბ. ნოზაძის სამუშაო ადგილიდან. შემდეგ არც სამსჯავრო სხდომის ოქმში ითქვა რაიმე ამის თაობაზე, მაგრამ სასამართლომ სასჯელის ზომად მაინც განსაზღვრა გამასწორებელი სამუშაოები ადგილზე მოხდით, ხელფასიდან 15 პროცენტის დაკავებით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მასალათა წარმოებაში მიღების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მათი შეგროვების 10 დღიანი ვადის დაცვას. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით კი დადგენილია, რომ მოკვლევის ორგანოები მოკვლევას აწარმოებენ იმ შემთხვევაში, თუ მოკვლევის ორგანოს უფროსის მიერ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ათდღიან ვადაში შეუძლებელია ჩადენილი დანაშაულის არსებით გარემოებათა გამორკვევა. სამწუხაროდ, სახალხო სასამართლოები ზოგჯერ უყურადღებოდ ტოვებენ ამ საკითხს.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 237-ე მუხლით სამართალში მიცემულს აუცილებლად უნდა ჩაბარდეს საბრალდებო დასკვნის, განჩინების ან დადგენილების ასლი. მართალია, ამ კატეგორიის მასალებზე არ წარმოებს მოკვლევა და წინასწარი გამოძიება, არ დგება საბრალდებო დასკვნა, მაგრამ სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და პირის სამართალში მიცემა ხდება ერთდროულად. ამ დროს განსასჯელს აუცილებლად უნდა ჩაბარდეს დადგენილების ან განჩინების ასლი.

კანონის ამ აუცილებელი მოთხოვნილების მიუხედავად დადგენილების ასლი არ ჩაბარებიათ სამართალში მიცემულებს მახარაძის, საგარეჯოს, ცხაკაიის, თბილისის კიროვის და ზოგიერთი სხვა რაიონის სახალხო სასამართლოებში (მოსამართლეები: რ. გობრონიძე, თ. მასურაშვილი, ო. კუჭავა, მ. ფრიდონაშვილი).

თუ წარმოიშვა განსასჯელისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შერჩევის აუცილებლობა, სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და ბრალდებულის სამართალში მიცემა უნდა გადაწყდეს განჩინების გამოტანით გამწესრიგებელ სხდომაზე.

როგორც ამ კატეგორიის საქმეთა შესწავლამ გვიჩვენა, მასალების სასამართლომდე მომზადების დროს სამართალდამრღვევისათვის აღკვეთის ღონისძიების შერჩევა ხშირად ხდება საპროცესო ნორმების დარღვევით. თუ აღძრული არ არის სისხლის სამართლის საქმე, კანონით არც აღკვეთის ღონისძიების შეფარდება შეიძლება. ამ დროს მას უნდა ჩამოერთვას მხოლოდ ვალდებულება მოკვლევისა და სასამართლო ორგანოებში გამოცხადების შესახებ. სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და ბრალდებულის სამართალში მიცემის შესახებ

ერთპიროვნული დადგენილების გამოტანის დროს სახალხო მოსამართლეები ზოგჯერ უგულისყურად სწავლობენ მასალებს, რეაგირებას არ უკეთებენ მოკვლევის ორგანოს მიერ დაშვებულ დარღვევებს და დადგენილებაში მექანიკურად ტოვებენ უცვლელად აღმკვეთ ღონისძიებას. ზოგჯერ ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც მასალების სასამართლომდე მომზადებისას საერთოდ არ არის სამართალდამრღვევისათვის შერჩეული აღკვეთის ღონისძიება, მაგრამ იგი შეფარდებულია მოსამართლის მიერ სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და ბრალდებულის სამართალში მიცემის ერთპიროვნული დადგენილების გამოტანის დროს. ზოგჯერ სულ არაფერია ნათქვამი აღმკვეთ ღონისძიებაზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და ბრალდებულის სამართალში მიცემის დადგენილებაში, მაგრამ განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში კი მაინც არის მითითებული: „აღკვეთის ღონისძიება განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე დარჩეს უცვლელი". ასეთი დარღვევები შეინიშნება საჩხერის, ბოლნისის, ზუგდიდის, წყალტუბოს, ხაშურის, ცხაკაიას, ბოგდანოვკისა და ახალქალაქის რაიონების სახალხო სასამართლოში.

კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები გამიზნულია სისხლის სამართლის საქმეთა შემჭიდროებულ ვადებში გადასაწყვეტად და ამიტომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა პირველად განსაზღვრა მათი განხილვის ვადები (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 406-ე მუხლი). მასალები იმ დანაშაულობებზე, რომლებიც საპროცესო კანონმდებლობის მე-400 მუხლშია ჩამოთვლილი, სასამართლომ უნდა განიხილოს მათი შესვლიდან არაუგვიანეს 10 დღისა. კანონით დადგენილი წესის მიუხედავად მთელი რიგი სასამართლოები მაინც ვერ უზრუნველყოფენ ვადების დაცვას მასალების წარმოებაში მიღებისა და მისი განსახილველად დანიშვნის დროს. საქმეთა განხილვის დადგენილი ვადის დარღვევის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია სამსჯავრო სხდომების არასათანადოდ მომზადება, განსაკუთრებით კი პროცესის მონაწილეთა გამოუცხადებლობით საქმეთა არაერთგზის გადადება.

ასეთი დარღვევები დაუშვეს ქ. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოში ნ. აბრამიანის, საგარეჯოს რაიონის სახალხო სასამართლოში დ. მღვდელაძის, ცხაკაიის რაიონის სახალხო სასამართლოში ე. კაშიბაძის, წყალტუბოს რაიონის სახალხო სასამართლოში ა. ბუმაბეიშვილის და ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოში ა. ქობალიასა და კ. გეთიას საქმეთა განხილვის დროს.

კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების პრაქტიკაში ზუსტად განხორციელების მიზნით საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ რესპუბლიკის სახალხო სასამართლოებს დაუგზავნა მეთოდური მითითებები, ხოლო ამავე საკითხებზე საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან ერთად ჩაატარა მოსამართლეთა ზონალური თათბირ-სემინარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

45 წელი მხოლოდ ერთ სასამართლოში

ამ სანდომიანი გარეგნობის ქალს თითქმის ყველა იცნობს აბაშის რაიონში. მისი სამუშაო ჩუმია და უპერეტენზიო. მაგრამ ამავე დროს ფრიად პასუხსაგებიც. აგერ, უკვე 45 წელია, რაც ნორა ჩაჩავა აბაშის რაიონის სახალხო სასამართლოს კანცელარიის გამგეა და სიყვარულით ემსახურება თავის საქმეს. მართლაც, რამდენი რამ აქვს სამახსოვრო და მოსაგონარი უკვე ხანდაზმულ ქალს, ამდენი ხანი შეუცვლელად რომ მუშაობს ერთ ადგილას. მის თვალწინ კი წინააღმდეგობებით აღსავსე წლებმა ჩაიარა და ბევრი რამ დატოვა ისეთი, რასაც ვერასოდეს დაივიწყებენ მისი კოლეგები. სრულიად ახალგაზრდა მოვიდა აბაშის სახალხო სასამართლოში. ეს იყო 1940 წელს. ხალისი და ოცნებაც ბევრი მოიტანა თან, რადგან სულ სხვანაირად ესახებოდა მომავალი, მაგრამ ომმა ყველაფერი უცბად შეცვალა და ახალი პრობლემები დააყენა მის წინაშე.

„ეს მართლაც მძიმე წლები იყო, — იგონებს ქალბატონი ნორა, — მაგრამ ისეთი ხალხი ერთგულება, ნდობა და პატივისცემა სუფევდა ირგვლივ, რომ გაჭირვებასაც ადვილად ვიტანდით. სწორედ ამ სითბომ, აქამდე რომ მომხდევს თან, ყურადღებამ, სიყვარულმა და გაჭირვების დროს თანამოსაქმეთა გვერდით დგომამ მომიყვანა დღემდე“.

დიახ, 45 წელია, რაც აბაშის რაიონის სახალხო სასამართლოს კანცელარიის გამგედ მუშაობს ნორა ჩაჩავა, კომუნისტი, შრომის ვეტერანი, უკვე პენსიონერი, მაგრამ კვლავ ენერგიით აღსავსე მუშაკი. ვინ იცის, რამდენი მადლობა და წახალისება მიუღია ამ ხნის მანძილზე.

კარგი ოჯახის, შრომისმოყვარე მეუღლისა და შვილების პატრონი, კოლეგების, თანამშრომლების, თანაქალაქელების სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს.

სწორედ მათი სახელით ვულოცავთ სახელოვან ქალს 8 მარტის დღესასწაულს.



სახელმწიფო ნოტარიუსი

— გვიამბეთ თქვენს საქმიანობაზე, განვლილ გზაზე, — ვთხოვეთ თბილისის მესამე სახელმწიფო სანოტარო კანტორის სახელმწიფო ნოტარიუსს ლილი ჭუმბურიძეს. თურმე, ნუ იტყვით, საკუთარ თავზე სიტყვასაც ვერ დააცდევინებთ, მაგრამ მაშინვე არც ჩვენ დავყარეთ ფარ-ხმალი და ზოგი რამ „დავტყუეთ“ კიდეც, ზოგიც საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ადვოკატურის, ნოტარიატისა და მმაჩის ორგანოების სამმართველოში „დავაზუსტეთ“ და ერთი თავისი საქმის მოტრფიალე, სანდომიანი, სათნო და უაღრესად შრომისმოყვარე ქართველი კომუნისტი ქალის პორტრეტი წარმოგვიდგა მდიდარი შტრიხებითა და ფერებით...

ბიძა ჰყოლია იურისტი. ამ პიროვნებას იმდენად მოუხიბლავს ჯერ კიდევ ბაბთებიანი გოგონა, რომ მტკიცედ გადაუწყვეტია ბიძის კვალს გაჰყოლოდა და აისრულა კიდეც ოცნება — 1948 წელს დასრულა სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. სწორედ ამ წელს გაიხსნა მესამე სანოტარო კანტორა და ლილიც უყოყმანოდ მიუჯდა მდივნის მაგიდას. სიბეჯითე, საქმის ცოდნა და სიყვარული მალე დაუფასდა და იგი რამდენიმე წლის შემდეგ სახელმწიფო ნოტარიუსი გახდა.

დიდი ხანი გავიდა ამ დღიდან და ვინ იცის, რამდენი რამ აქვს მოსაგონარი... პარტიის რიგებში შესვლის დაუვიწყარი დღე, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მრავალი მადლობა და სიგელი, რესპუბლიკის დამსახურებული იურისტის წოდების მინიჭება, მრავალი აღია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება და დაფასება, მაგრამ ქალბატონი ლილის მსგავსი ადამიანებისათვის ყველაზე დიდი აღიარება მათი მომსახურებით კმაყოფილი მოქალაქეების მადლიერებით აღსავსე სიტყვები და ალალი ღიმილია.

სახელმწიფო ნოტარიუსს უაღრესად რთული, საპატიო და, რაც მთავარია, პასუხსაგები მისია აკისრია. ერთია, კანონიერი მოქმედება და მეორე, ხშირად გადამწყვეტიც, თუ როგორ შეხვედები მოქალაქეს, რომელიც შენგან კვალიფიციურ იურიდიულ დახმარებას ელის. აქ უკვე ქალბატონი ლილის „სიტყვაძუნწობის" კვალიც აღარ ჩანს — იგი ყოველთვის ამომწურავ განმარტებას აძლევს თითოეულ მოქალაქეს, თუნდაც ამან გაუთვალისწინებლად ბევრი დრო მოითხოვოს. ამიტომაც სარგებლობს იგი სანიმუშო ავტორიტეტითა და სიყვარულით... შარშან 13424 სანოტარო მოქმედება განახორციელა. ამ მშრალი ციფრის მიღმა მომსახურებით კმაყოფილი 13424 ადამიანი დგას და სწორედ ეს არის ლილი ჭუმბურიძის ყოველდღიური საქმიანობის ყველაზე დიდი აღიარება...

იგი ამავე დროს სამი შვილის დედა და გულმხურვალე მეუღლეა.

გულწრფელად ვულოცავთ 8 მარტს ქალბატონ ლილის და ვუსურვებთ კვლავაც ახალგაზრდული შემართებითა და სიმხნევით ემსახუროს ხალხს, ადამიანებს...

კარგი ორგანიზატორი

რედაქციაში მოკრძალებით შემოვიდა ახალგაზრდა ქალი და მთავარი რედაქტორი იკითხა, რადგან იგი ადგილზე არ დაუხვდა, სათქმელი რედაქციის თანამშრომლებს გაგვანდო:

— რესპუბლიკის მმაჩის არქივის თანამშრომელი გახლავართ, თქვენთან გამომგზავნა მთელმა ჩვენმა კოლექტივმა, სურვილი გვაქვს თქვენი ჟურნალის საშუალებით რვა მარტი მივულოცოთ არქივის გამგეს, ციალა ხომერიკს, რომელიც თითქმის ოცი წელია მუშაობს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში და შესანიშნავად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. ციალა ხომერიკი კარგი ორგანიზატორი, საუკეთესო მეგობარი და დამრიგებელია, აქვს საოცრად ფაქიზი ბუნება, მომთხოვნია და ზოგჯერ მკაცრიც, უყვარს დისციპლინა, შესაშური გულისხმიერებით ეპყრობა მოქალაქეებს, ციალამ ყველას გადაგვდო თავისი ენთუზიაზმი და შეგვაყვარა ეს, თითქოს ერთფეროვანი, მაგრამ მეტად საჭირო საქმე.

ამ გულწრფელმა ნაამბობმა დაგვაინტერესა და სამსახურში ვეწვიეთ ციალა ხომერიკს. პირველი, რაც რესპუბლიკური მმაჩის არქივში მისვლისას მოგზვდებათ თვალში, ეს არის საოცარი წესრიგი. საქმეთა ჩანაწერები ფაქიზად დაულაგებიათ წლების მიხედვით. ამ წესრიგის გამოა , რომ ჩანაწერის მოძებნას სულ რამდენიმე წუთი სჭირდება და ასეთი ოპერატიულობით გახარებული მოქალაქეები კმაყოფილებას ვერ ფარავენ. სწორედ ამის პასუხია ის უამრავი მადლობის წერილი, რომლებიც არქივის გამგისა და მის თანამშრომელთა სახელზე მოდის.

— ქორწინების მოწმობა დამეკარგა და რესპუბლიკური მმაჩის არქივს მივმართე, გამაოცა თანამშრომელთა სწრაფმა მომსახურებამ და თბილმა მოპყრობამ, გულითად მადლობას ვუხდი მათ ამისათვის, — წერს თბილისელი ე. გოგიჩაიშვილი.

— ჩვენი დაწესებულება მომსახურებას უწევს ყველას, ვინც ჩვენს მიწა-წყალზე დაიბადა, ქორწინდა, ბავშვი იშვილა, გვარი ან სახელი შეიცვალა, წლოვანება აღიდგინა და ა. შ. ერთი სიტყვით, აქ მთელი საქართველოა, — ღიმილით ამბობს ქალბატონი ციალა.

ციალა ხომერიკმა 1954 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. შემდეგ დაოჯახდა, ცოტახნით მოსწყდა საზოგადოებრივ საქმიანობას, რადგან ორ შვილს უზრდიდა სამშობლოს, ხოლო 1965 წლიდან კი კვლავ ჩაება შრომით ფერხულში და დღემდე პატიოსნად ემსახურება თავის საქმეს. ალალი და უანგარო შრომისათვის თანამოსაქმეებმა დიდი ნდობა გამოუცხადეს და ციალა სკკპ რიგებში მიიღეს.

ჟურნალ „საბჭოთა სამართლის" რედაქცია, რესპუბლიკური მმაჩის არქივის თანამშრომლებიან ერთად, ქალთა საერთაშორისო დღეს ულოცავს ციალა ხომერიკს.

უფროსი ექსპერტ-ბიოლოგი

დაამთავრა თუ არა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი, თინათინ მგელაძემ მუშობა დაიწყო საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური რესპუბლიკური სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში. ეს ის პერიოდი იყო, როცა ჩვენთან პრაქტიკულად ახლად იდგამდა ფეხს ბიოლოგიური ექსპერტიზა. თინათინი ლაბორატორიის უფროს ექსპერტ-ბიოლოგად დანიშნეს და დაიწყო მისი ცხოვრების ახალი პერიოდიც.

მას შემდეგ ათ წელზე მეტი დრო გავიდა, თინათინმა უკვე შეიძინა სათანადო ცოდნა და გამოცდილება, ხოლო ბიოლოგიური ესპერტიზა მის გატაცებად იქცა.

მუყაითი ექსპერტს, გამოცდილ კომკავშირულ მუშაკსა და ახალგაზრდა კომუნისტს სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიატში ყოველთვის მოწინავეთა გვერდით ასახელებენ. აკი ამიტომაც არაერთხელ წაახალისეს რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელთა წარდგინების საფუძველზე. თვით თინათინ მგელაძეს კი დიდხანს ემახსოვრება ვინმე ბოჯგუას სიკვდილის ფაქტთან დაკავშირებით ჩატარებული ბიოლოგიური და მიკრონაწილაკების ექსპერტიზები, რადგან ყველაზე მეტად სწორედ აქ გამოჩნდა ახალგაზრდა სპეციალისტის ცოდნა, უტყუარი ალღო, პროფესიის ერთგულება და პრინციპულობა. მას სამართლიანად ეამაყება, რომ თავისი საპატიო წვლილი შეაქვს დანაშაულობათა გახსნასა და ჭეშმარიტების დადგენაში.

შინაარსიანად გადის შრომითა და ფიქრით აღსავსე წლები, მაგრამ გაზაფხულის მობრძანება მაინც სულ სხვანაირად აღელვებს თინათინ მგელაძეს — ერთი თვალის გახელა კმარა და ჰაერი უცნაური სურნელებით ივსება, ნაკადულები ძალას იკრებენ, იები და ენძელებიც ააფერადებენ კორდებს და აჰა, რვა მარტის კეკლუცი დღესასწაულიც შემოაბიჯებს ხოლმე...

ამ დღესასწაულს გილოცავთ, ქალბატონო, თინათინ!

განყოფილების პროკურორი

იურისტობა მისი ბავშვობისდროინდელი ოცნება იყო და დაამთავრა თუ არა საშუალო სკოლა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს მიაშურა. მერე უცებ გაირბინეს განსწავლის წლებმა, შურა (ნელი) შარაშიძე ჯერ თბილისის საქალაქო სასამართლოს მდივანი გახდა, მალე კი აქვე დააწინაურეს სამოქალაქო საქმეთა კონსულტანტად. შრომისმოყვარეობით, მაღალი საშემსრულებლო დისციპლინით, პრინციპულობით, სისპეტაკითა და უბრალოებით თავდადვე მიიქცია ყურადღება ახალგაზრდა იურისტმა. ეს ქალაქის პროკურატურაშიც არ დარჩათ შეუმჩნეველი და შ. შარაშიძეს თბილისის პროკურატურის სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების პროკურორობა შესთავაზეს. ქალბატონი შურა იმიტომ დათანხმდა ამ წინადადებას, რომ პროკურატურის ორგანოებში მუშაობა მისი მოწოდება იყო. ასე დაიწყო მისი ცხოვრების ერთ-ერთი საინტერესო და საპასუხისმგებლო პერიოდი.

დღეისათვის შ. შარაშიძე ქ. თბილისის პროკურატურის სახელოვანი კოლექტივის ღირსეული წევრია. თავის პროფესიასა და საქმეზე უზომოდ შეყვარებული ქალი არაერთხელ წაახალისეს ჯილდოებით, აღნიშნეს მისი მუშაობის მაღალი კულტურა, მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმიანობაში, სამაგალითო დამოკიდებულება კოლეგებთან, უღა-

ლატობა და კარგი დედობა, ორი შვილი რომ გაუზარდა სამშობლოს. სხვა თვისებებიც ბევრი რამ წარმოჩინდა შ. შარაშიძის პროკურატურაში მუშაობის პერიოდში, რამაც დამსახურებულად მოუპოვა კვალიფიციური იურისტის, კეთილი ადამიანისა და სამაგალითო პიროვნების ავტორიტეტი.

კვლავაც მტკიცედ დგას კანონიერებისა და მართლწესრიგის სადარაჯოზე თბილისის პროკურატურის განყოფილების პროკურორი შ. შარაშიძე, რომელიც რწმენითა და ხალისით აღსავსე ეგებება ქალთა დღესასწაულს — 8 მარტს.

მთავარია საქმის სიყვარული



სკოლაში სწავლისას მარიამ ქოსაშვილს უყვარდა პოეზია, მუსიკა, ყველაზე უფრო კი — ბალეტი, ალბათ ამიტომ იყო, რომ მშობლებმა იგი ქორეოგრაფიულ სასწავლებელში შეიყვანეს. როცა წამოიზარდა ბალეტს მოულოდნელი „მეტოქე" გაუჩნდა — დიდი რუსი მწერალი დოსტოევსკი. მშობლებს ეგონათ, რომ მათი შვილი ხელოვნებით იყო გატაცებული, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად მარიამმა საბუთები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შეიტანა...

უნივერსიტეტში სწავლის პერიოდშივე საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობა დაიწყო კალინინის რაიონის პროკურატურაში, უკვე დიპლომიანი იურისტი კი რესპუბლიკის პროკურატურის სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განხილვისადმი ზედამხედველობის განყოფილებაში გადავიდა. ვინ იცის რამდენი სამოქალაქო საქმე განხილულა მარიამის მონაწილეობით. იგი ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით, საქმის ღრმა ცოდნით, ადამიანთა მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულებით. მაგრამ გული მაინც სხვაგან მიუწევდა — იზიდავდა გამომძიებლის რთული და საინტერესო ცხოვრება. მალე საგამოძიებო სამმართველოში გადაიყვანეს სამუშაოდ. დაიწყო სიძნელეებითა და მოუსვენარი დღეებით სავსე ცხოვრება. მრავალი სისხლის სამართლის საქმე გახსნა წარმატებით, ბევრი ნაძირალა დასვა ბალდებულის სკამზე, მის პროფესიულ ოსტატობაში, კეთილსინდისიერებაში და კრისტალურ სიწმინდეში კი ეჭვი არასოდეს შეპარვიათ.

ამის პასუხია ის სამადლობელი სიტყვები და ბარათები, რომლებიც მრავლად მოსდის მარიამ ქოსაშვილს. აი ერთი მათგანი:

„დიდი ხანია სასჯელი მოვიხადე, ცხოვრების სწორ გზას დავადექი, დავამთავრე ინსტიტუტი. მე და ჩემი ოჯახის წევრები მარად თქვენი მადლიერი ვიქნებით, რადგან გზასაცდენილი ბიჭი თქვენ მომაბრუნეთ ცხოვრებისაკენ. დიდი მადლობა ამისათვის, დიდი მადლობა იმ მრავალთა სახელითაც, ვინც ჩემსავით ჩაახედეთ საკუთარ სულში და ჩვენს საზოგადოებას ნამდვილ ადამიანებად დაუბრუნეთ".

გამომძიებლისათვის ამაზე დიდი ჯილდო, მართლაც, რომ არ არსებობს,

იუსტიციის უფროსი მრჩეველი მ. ქოსაშვილი ამჟამად რესპუბლიკის პროკურორის უფროსის თანაშემწეა საბჭოთა კანონმდებლობის სისტემატიზაციისა და პროპაგანდის დარგში.

ნაყოფიერი და დაუღალავი მუშაობა ღირსეულად დაუფასდა — მიღებული აქვს საპატიო სიგელები და მედლები, სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა და რესპუბლიკის პროკურორის მრავალი მადლობა.

ვულოცავთ მარიამ ქოსაშვილს გაზაფხულის დღესასწაულს და ვუსურვებთ კვლავაც ახე მხნედ ევლოს ცხოვრების გზაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე ჯავახიშვილი და იურიდიული ფაკულტეტის დაარსება თბილისის უნივერსიტეტში

სერგო ჯორბენაძე

იურიდიული ფაკულტეტი 1922 წლის ოქტომბერში დაარსდა, ე. ი. უნივერსიტეტის გახსნიდან ოთხნახევარი წლის შემდეგ. ამას თავისი ახსნა და გამართლება აქვს.

ივანე ჯავახიშვილს უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის დაარსება თავიდანვე ჰქონდა განზრახული. უფრო მეტიც, ივანე ჯავახიშვილის ხელით დაწერილ პირველსავე დებულებაში გათვალისწინებულია იურიდიული ფაკულტეტის შექმნა. სხვანაირად მას ვერ წარმოედგინა სრული უნივერსიტეტის არსებობა. მართლაც, სწორედ იურიდიულ სასწავლებელთა ბაზაზე შეიქმნა ევროპის მრავალი უნივერსიტეტი.

1924 წელს ახალფეხადგმულმა თბილისის უნივერსიტეტმა 700 წლის ნეაპოლის უნივერსიტეტის ზეიმზე გაგზავნა დიდად განათლებული გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელი. რექტორმა მას ქართული ხელნაწერების მიგნება და მოკვლევა დაავალა. ისიც სთხოვა, რომ დაედგინა როდისმე სწავლობდა თუ არა ქართველი კაცი ამ უნივერსიტეტში. აღმოჩნდა, რომ XVI საუკუნეში აქ ქართველი სტუდენტი გელოვანი ეუფლებოდა სამართლის მეცნიერებას.

ვერ ნახავთ რუსეთისა და ევროპის უნივერსიტეტებს, სადაც ქართველი სტუდენტობა არ დაუფლებულა იურიდიულ მეცნიერებას. მართალია, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა საგრძნობი ნაწილის მთელი შემოქმედებითი ენერგია და ხშირად სიცოცხლე ეწირებოდა სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლას, მაგრამ იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი ძველი სახელმწიფოს ჩინოვნიკური აპარატის იერარქიულ კიბეზე ამაღლების სწრაფვაში ხარჯავდა ნიჭსა და უნარს. ამ ვითარებაში მეტად მცირე იყო მეცნიერ-იურისტთა რიცხვი. ქართული უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ სწორედ იურისტ-პროფესორთა სიმცირე უშლიდა ხელს იურიდიული ფაკულტეტის დაუყოვნებლივ გახსნას, თუმცა მისი გადაუდებელი საჭიროება ივანე ჯავახიშვილს მტკიცედ სწამდა.

ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის გახსნის პირველი დღიდანვე კითხულობდა ქართული სამართლის ისტორიის კურსს. მისი ხელით დაწერილ სასწავლო ცხრილში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ეკონომიკის დარგის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუდენტებისათვის გათვალისწინებული იყო სამოქალაქო სამართლის, სავაჭრო სამართლის, სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის სწავლება, მაგრამ ეს თავიდანვე ვერ მოხერხდა.

1919 წლის ოქტომბერში ივანე ჯავახიშვილი წერდა, რომ „იურიდიული ფაკულტეტი მცოდნე იურისტ-პროფესორთა უქონლობის გამო არ არსებობს და ორ-სამ წელიწადზე ადრე მისი გახსნა ჩვენს უნივერსიტეტში შეუძლებელი იქნება“.

1919 წლის ივნისში მაშინდელმა იურიდიულმა საზოგადოებამ წამოაყენა პრაქტიკული იურიდიული კურსების შექმნის საკითხი, რადგან პრაქტიკულად მომზადებულ იურისტთა საჭიროება სულ უფრო იგრძნობოდა. საზოგადოების წარმომადგენლები წერდნენ: „არც გვაქვს იმის იმედი, რომ ამ მოკლე ხანში იურიდიული ფაკულტეტი გაიხსნება ჩვენს უნივერსიტეტში და ცხოვრება კი გვიკარნახებს, დღესვე პრაქტიკულად მომზადებული იურისტები გვყვავდნენ. ამიტომ ქართულ იურიდიულ საზოგადოებაში დაიბადა ის აზრი, რომ მოეწყოს პრაქტიკული ლექციები იურიდიული შინაარსის, მაგრამ ლექციების მოწყობა შეიძლება მხოლოდ უნივერსიტეტში, თუ ამას საბჭო კეთილინებებს და საჭირო დახმარებას გაგვიწევს“.

ივანე ჯავახიშვილი ამ საკითხის ნაჩქარევი და მოუმზადებელი გადაწყვეტის წინააღმდეგი იყო, რადგან მას მიაჩნდა, რომ მხოლოდ იურიდიულ ფაკულტეტზე შეიძლებოდა მაღალთეორიული დონის ლექციების წაკითხვა. ამას კი ნაწილობრივადაც ვერ აანაზღაურებდა რაიმე პრაქტიკული კურსები. ამასთან, ივანე ჯავახიშვილს შეუძლებლად მიაჩნდა პრაქტიკული კურსების იურიდიულ ფაკულტეტად გადაკეთება. იგი თვლიდა, რომ „ზემოხსენებული კურსები, ვითარცა პრაქტიკული... ვერასდროს უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტად ვერ იქცევა. იურიდიული ფაკულტეტი სულ სხვა საფუძველზე უნდა იყოს აგებული“.

ჩვეული შორსმჭვრეტელობით ივანე ჯავახიშვილი თავიდანვე იწყებს თადარიგს იურიდიული ფაკულტეტის შესაქმნელად. ამისათვის იგი ევროპაში აგზავნის ასპირანტებს: მთელს უნივერსიტეტში საპროფესოროდ მოსამზადებლად პირველად დატოვებულ გიორგი ნანეიშვილს (სამართლის ფილოსოფიაში), მოსე შანიძეს (სამოქალაქო სამართალში) და ვლადიმერ ემხვარს (საფინანსო სამართალში).

ივანე ჯავახიშვილი იოსებ ყიფშიძესთან ერთად აქტიურად მონაწილეობს რუსულ-ქართული იურიდიული ლექსიკონის შემუშავებაში. იგი ენერგიულ ღონისძიებებს იღებს, რათა ზურაბ ავალიშვილისა და ლუარსაბ ანდრონიკაშვილის მოწვევით დაეწყო იურიდიული ფაკულტეტის შექმნა.

1920 წლის 15 დეკემბერს სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭო იწვევს ლუარსაბ ანდრონიკაშვილს, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა რუსეთშია. მას განცხადება თვითონ არ დაუწერია, მის ნაცვლად თბილისში ყველაფერს ივანე ჯავახიშვილი აკეთებს. უნივერსიტეტის არქივში ინახება ლუარსაბ ანდრონიკაშვილის მოკლე ავტობიოგრაფია, რომელიც ივანე ჯავახიშვილის ხელითაა დაწერილი:

„ლუარსაბ ნიკოლოზის ძე ანდრონიკაშვილი კახელია, სოფელ ოჟიოელი, დაიბადა 1872 წელს. საშუალო განათლება თბილისის პირველ გიმნაზიაში მი-

იღო. უმაღლესი — პეტერბურგში და გერმანიაში, სადაც ორი წლის განმავლობაში სწავლობდა გამოჩენილ მეცნიერებთან — ვინდელბანდთან, კუნო ფიშერთან, ლაბანდთან და სხვებთან. საგანგებოდ მუშაობდა ფილოსოფიაში და იურისპრუდენციაში. შემდეგშიაც, თუმცა ვექილობას შეუდგა, მაგრამ არც ფილოსოფიისა და არც თეორიული იურისპრუდენციისთვის თავი არ დაუნებებია და რუსეთში გაითქვა სახელი, როგორც განათლებულმა თეორეტიკოსმა და კანონების ინტერპრეტატორმა. მისი განმარტებანი სენატის პრაქტიკაშიც იყო მიღებული, ამიტომ იგი სენატორად დაინიშნა, რადგან ჩვენ არც ერთი თეორეტიკოსი ცივილისტი არა გვყავს, ეს საგანი კი აუცილებლად საჭიროა ჩვენი საეკონომიო დარგისათვის, ამიტომ სასურველი იყო მისი ცოდნისა და ნიჭის გამოყენება ჩვენი უნივერსიტეტისათვის".

1921 წლის 5 სექტემბერს საბჭოთა რუსეთიდან ჩამოვიდა ლუარსაბ ანდრონიკაშვილი და უკვე 6 სექტემბერსვე შეუდგა მუშაობას: დაიწყო ლექციების კითხვა სამართლის სხვადასხვა დარგში. ახლა უკვე პრაქტიკულად დადგა იურიდიული ფაკულტეტის შექმნის საკითხი, მაგრამ საქმეს ართულებდა ის, რომ 1919 წლიდან საბჭოთა უნივერსიტეტებში იურიდიული ფაკულტეტები არ არსებობდნენ, მათ ნაცვლად საზოგადოებრივი მეცნიერების ფაკულტეტები მოქმედებდნენ, რომლებიც არსებითად ყველა ჰუმანიტარულ დარგებს აერთიანებდნენ. იმ დროს თბილისის უნივერსიტეტში საზოგადოებრივი ფაკულტეტის შექმნა უნივერსიტეტის ძირეულ რეორგანიზაციას გამოიწვევდა, ამიტომ საქართველოს სსრ სახალხო განათლების კომისარიატის წინადადებით გადაწყდა სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის შექმნა. 1922 წლის 26 ივნისს სიბრძნისმეტყველების (პედაგოგიური) ფაკულტეტის შუამდგომლობის საფუძველზე გადაწყდა „დაარსდეს უნივერსიტეტში სოციალურ-საეკონომიო ფაკულტეტი. სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა ცალკე განყოფილებებით". საბჭომ დაამტკიცა სასწავლო გეგმის პროექტი, მაგრამ იურიდიული და ეკონომიური ფაკულტეტის ერთობლივი შექმნის წინააღმდეგი იყო თვით უნივერსიტეტის რექტორი ივანე ჯავახიშვილი. მას თავისი აზრი საბჭოსათვის თავს არ მოუხვევია, მაგრამ საჭიროდ ჩათვალა თავისი განსაკუთრებული აზრი დაერთო ოქმისათვის. სწორედ ამ ოქმში ვკითხულობთ: „პროფ. ი. ჯავახიშვილი წინააღმდეგია ახალ ფაკულტეტში საეკონომიო მეცნიერებათა განყოფილება შედიოდეს. იგი ფიქრობს, რომ საეკონომიო მეცნიერებანი, ისევ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის წიაღში უნდა დარჩეს, როგორც მისი ერთ-ერთი დარგი, ვინაიდან, საეკონომიო მეცნიერებანი, როგორც წმინდა თეორიული შემეცნების დარგები, უფრო ბუნებრივად სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დარგებს ეგუებიან, ვიდრე ნორმატიულს (იურიდიულ მეცნიერებათა) დარგებს, ამიტომ არის რომ, რიგ სიბრძნისმეტყველების მეცნიერებასთან მეზობლობა საეკონომიო დარგებისათვის გაცილებით უფრო ხელსაყრელად უნდა ჩაითვალოს ვიდრე მეზობლობა იურიდიულ მეცნიერებათა დარგებთან". საკითხის ყველაზე საუკეთესო გადაწყვეტად ივანე ჯავახიშვილს მიაჩნდა ცალკე ეკონომიკური ფაკულტეტის შექმნა, მაგრამ იგი წუხილით ამბობდა: „ჩვენს უნივერსიტეტში არ მოიპოვება იმდენი ძალები, რომ მან შესძლოს ცალკე მთელი საეკონომიო განყოფილების სათანადოდ მოწყობა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფსორთა საბჭომ ხმების უმრავლესობით (17 მომხრე, 6 წინააღმდეგი) არ გაიზიარა უნივერსიტეტის რექტორის პროფ. ი. ჯავახიშვილის წინადადება. მიუხედავად ამისა, რექტორი შემდგომ ბევრს აკეთებს საბჭოს უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების რეალიზაციისათვის.

სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის დაარსების საქმეში განსაკუთრებით დიდია ლუარსაბ ანდრონიკაშვილისა და ფილიპე გოგიჩაიშვილის როლი. სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის პირველ დეკანად შალვა ნუცუბიძე აირჩიეს, ერთი წლის შემდეგ კი დიმიტრი უზნაძე, ფაკულტეტის სწავლული მდივანი ალექსანდრე ვაჩეიშვილი იყო.

ფაკულტეტის პირველ ლექტორთა შორის იყვნენ პროფესორები ივანე ჯავახიშვილი, დიმიტრი უზნაძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი, კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, მიხეილ პოლიექტოვი, გიორგი ჩუბინაშვილი, იური ღამბაროვი.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშივე თბილისის უნივერსიტეტი იქცა სრულ უნივერსიტეტად. ეს ივანე ჯავახიშვილის დიდი ოცნების განხორციელება იყო.

ამიერიდან თბილისის უნივერსიტეტი არა მარტო სიბრძნისმეტყველებს და ბუნებისმეტყველებს ზრდიდა, არამედ ამზადებდა ექიმებს, აგრონომებს, ინჟინრებს, ბოლოს კი ეკონომისტებისა და იურისტების ეროვნულ კადრებს, რაც ასე აუცილებელი იყო ეროვნული სახელმწიფოებრიობისათვის. ამ წარმატებაში, როგორც ვნახეთ, განუზომლად დიდია ივანე ჯავახიშვილის როლი, რომელიც ქართული უნივერსიტეტის არა მარტო დამაარსებელი, არამედ აღმშენებელიც არის. მაგრამ ამით როდი ამოიწურება მისი წარუშლელი ღვაწლი ეროვნული იურისპრუდენციის წინაშე. ივანე ჯავახიშვილი თვლიდა, რომ ქართველმა ხალხმა დიდი და ინტენსიური შემოქმედება შექმნა სამართლის სფეროში, რათა განუხრელად განევითარებინა სახელმწიფობრივი და სოციალური ცხოვრება. სწორედ ქართული სამართლის ისტორიის ამ დიდი მემკვიდრეობის შესწავლას მიუძღვნა მან თავისი უკვდავი შრომები.

აღსანიშნავია ისიც, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ივანე ჯავახიშვილი საპროფესორო ლექციებს მხოლოდ იურიდიულ ფაკულტეტზე კითხულობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სამართლის ისტორიის მკვლევარი

გიორგი ნადარეიშვილი



პროფ. ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ვაჩეიშვილი (1886—1964) ღრმად განათლებული, ვრცელი პროფილის, ენციკლოპედიური ცოდნით აღჭურვილი მკვლევარი იყო.

ჭაბუკი ალექსანდრე ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის კედლებშივე საფუძვლიანად დაეუფლა ძველ ბერძნულ და ლათინურ ენებს. ბავშვობის წლებში სწავლობდა ფრანგულ და სხვა ევროპულ ენებსაც, ხოლო სამოც წელს გადაცილებულმა პროფესორმა დამოუკიდებლად შეისწავლა სპარსული ენაც.

ევროპული ენების ცოდნა ალექსანდრე ვაჩეიშვილმა გააღრმავა ბრიუსელის, პარიზისა და ჟენევის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის პერიოდში.

1912 წელს ალ. ვაჩეიშვილმა დაამთავრა ოდესიის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, ხოლო ბრიუსელსა და პარიზში ეუფლებოდა სოციოლოგიას ცნობილი სოციოლოგის დეგრეფის ხელმძღვანელობით. ამ ხანებში მას სამართლის თეორია და სოციოლოგია მიაჩნდა თავის მოწოდებად და საქართველოში დაბრუნების შემდეგ პირველი ნაშრომებიც სამართლის ზოგად თეორიასა და სოციოლოგიას უძღვნა.

სამართლის ისტორიის, კერძოდ, ქართული სამართლის ისტორიის საკითხების შესწავლას მან ხელი მოჰკიდა უკვე თბილისის უნივერსიტეტში მოღვაწეობის წლებში. ფართო განათლებამ, მსოფლიო ისტორიის ღრმად ცოდნამ, ევროპული სამართლის ძეგლების საფუძვლიანმა ათვისებამ მას საშუალება მისცა სწრაფად გარკვეულიყო ქართული სამართლის ისტორიის საკმაოდ რთულ لابირინთებში. მისი სამაგიდო წიგნები იყო ივ. ჯავახიშვილის „ქართული სამართლის ისტორია“, მ. კოვალევსკის, შრედერის, ბრუნერის ნაშრომები, ქართული საისტორიო, ქართული სამართლის ძეგლები. მთელი ოცი-ოცდახუთი წლის განმავლობაში თავაუღებლად მუშაობდა, ვიდრე გამოაქვეყნებდა „ნარკვევებს ქართული სამართლის ისტორიიდან“. ეს იყო 1946 წელს. ესე იგი ალექსანდრე ვაჩეიშვილი უკვე სამოცი წლის იყო, როდესაც გამოქვეყნდა ქართული სამართლის ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილი მისი პირველი წიგნი.

მიუხედავად იმისა, რომ პროფ. ალექსანდრე ვაჩეიშვილი კარგად იცნობდა ქართული და სპარსული სამართლის ისტორიის წყაროებს, მის ზოგიერთ ნაშრომს წყაროთმცოდნეობითი მცირეოდენი ხარვეზები ახლავს. ხოლო სამართლის ზოგადი ისტორიის სფეროში იგი შეუდარებელი ოსტატია.

ალექსანდრე ვაჩეიშვილი თავის ნაშრომებს, ცხადია, ქართულ ენაზე წერდა, მაგრამ ახალგაზრდობაში სამართლის თეორიის საკითხებზე ნაშრომი ფრანგულ ენაზე დაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერია ხოლო რუსულად საკმაოდ სქელტანიანი შრომა აქვს შესრულებული.

ალ. ვაჩეიშვილს ძველი მეგობრობა აკავშირებდა სიმონ ყაუხჩიშვილთან და ამიტომ შემთხვევითი არ იყო ის გარემოებაც, რომ ბატონი სიმონი იყო მისი „ნარკვევების“ პირველი და მეორე წიგნის მეცნიერი რედაქტორი.

„ნარკვევების“ პირველი წიგნის „წინასიტყვაობაში“ ავტორი აღნიშნავდა: „სამართლის ისტორია საერთო ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაკვეთს წარმოადგენს და საქართველოს ეროვნული წარსულის იურიდიულ ურთიერთობათა დაკვირვებით შესწავლა ჩვენი მეცნიერების აუცილებელ ამოცანად უნდა ჩაითვალოს“.

მას მიზნად ჰქონდა დასახული ქართული სამართლის ისტორიის მხოლოდ ზოგიერთი პრობლემის გამოკვლევის ცდა, კერძოდ, იმ საკითხების დამუშავება და შესწავლა, რომლებიც სისხლის სამართლის სფეროს მოიცავენ, „უმთავრესად იმ მასალის საფუძველზე, რაც ვახტანგ მეექვსის საკანონმდებლო კრებულშია მოთავსებული“ [1].

ალ. ვაჩეიშვილი განათლებული სოციოლოგი იყო და მიაჩნდა, რომ ქართული სამართლის ინსტიტუტები უნდა შესწავლილიყო შედარებით-ისტორიული მეთოდით. ამასთან დაკავშირებით მკვლევარი აღნიშნავდა: „ქართული სამართლის ინსტიტუტების შესწავლისას გამოყენებულია შედარებითი მეთოდი, რადგან ამა თუ იმ იურიდიული ინსტიტუტის არსი და მისი განმასხვავებელი, დამახასიათებელი თვისების გაშუქება და შემეცნება ყველაზე უკეთ სწორედ ამ მეთოდის გამოყენების საფუძველზე შეიძლება“[2].

ალ. ვაჩეიშვილი თვლიდა, რომ ქართული და რუსული ფეოდალიზმი შეიძლებოდა განგვეხილა როგორც წარმოებით ურთიერთობათა ერთი ფეოდალური ტიპის შედარებით მსგავსი ვარიანტები და ამიტომაც ავტორმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ფეოდალური რუსეთისა და საქართველოს საკანონმდებლო ძეგლების შედარებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, როცა ალ. ვაჩეიშვილის „ნარკვევების“ პირველი ორი წიგნი იწერებოდა, არ გაგვაჩნდა ქართული სამართლის ძეგლების რამდენადმე სრულყოფილი მეცნიერული გამოცემა. ამასთან დაკავშირებით ავტორი აღნიშნავდა: „ზუსტად დადგენილი იურიდიული ტექსტების უქონლობა უსათუოდ კვლევა-ძიების შემაფერხებელ გარემოებად უნდა იქნას მიჩნეული“. მიუხედავად ასეთი ვითარებისა, მკვლევარმა იმდენი წინდახედულება და სიფრთხილე გამოიჩინა, რომ ამას მის მიერ გამოტანილ დასკვნებზე რაიმე სერიოზული უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია.

ალ. ვაჩეიშვილი ქართველ მეცნიერთა იმ მცირერიცხოვან პლეადას ეკუთვნოდა, რომლებმაც ღირსეულად გააგრძელეს ივ. ჯავახიშვილისა და ნიკო ურბნელის მიერ დაწყებული საქმე.

ალ. ვაჩეიშვილი სოციოლოგიის, იურიდიული მეცნიერების და ზოგადი ისტორიის დიდი ცოდნით შეიარაღებული მოვიდა ქართული სამართლის ისტორიის სფეროში. ქართული სამართლის ისტორიის მკვლევარისათვის კი აუცილებელი იყო ბროსესა და კარსტის ნაშრომების ცოდნა. ამ მხრივ ალ. ვაჩეიშვილი მართლაც რომ შეუდარებელი იყო. ჟოზეფ (იოსეფ) კარსტის ქართველოლოგიური ნაშრომების შესახებ ინფორმაცია 40—50-იანი წლების სტუდენტობამ ძირითადად მისი წიგნების მეოხებით მიიღო. უნდა ითქვას, რომ საქართველოში კარსტის ნაშრომები ბიბლიოგრაფიული იშვიათობა იყო. მიზეზი ენობრივი ბარიერიც გახლდათ. ვაჩეიშვილისათვის კი ფრანგული ენა მეორე მშობლიური ენა იყო და ამიტომაც მის წიგნებში უხვად არის ციტატები ბროსესა და კარსტის ნაშრომებიდან. ინგლისურ, გერმანულ და იტალიურ ენებზე დაწერილი საისტორიო შრომებიც ხშირად იმზირებიან მისი შრომების ფურცლებიდან, და საერთოდ, ალ. ვაჩეიშვილი რვა უცხო ენაზე დაწერილ სამეცნიერო ლიტერატურას თავისუფლად იყენებდა.

მკვლევარი თავდაპირველად დაინტერესდა ვახტანგ მეექვსის განკარგულებით შედგენილი სამართლის წიგნით. ცნობილია, რომ ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულში გარდა საკუთრივ ვახტანგ მეექვსის სჯულისა, მოთავსებული იყო გიორგი ბრწყინვალის სამართალი (ძგლის დადება), ბექასა და ალბუღას სამართლის წიგნი, სამართალი კათალიკოზისა, კრებულის სხვა ნაწილში მოთავსებულია აგრეთვე სამართალი მოსესი, სა-

---

[1] იხ. ალ. ვაჩეიშვილი „ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან“, I, თსუ გამ., 1946, გვ. 111.

[2] იქვე.

მართალი" ბერძნული, სამართალი სომხური (სირიულ-რომაული სამართლის წიგნი, მხითარ გოშის სამართალი). როცა ვახტანგ მეექვსის განკარგულებით შედგენილ სამართლის წიგნთა კრებულის სავალდებულო ძალის საკითხებს ეხებოდა, ალ. ვაჩეიშვილი წერდა: „თუ მივიღებთ იმ შეხედულებას, რომლის თანახმად კანონის ძალა მხოლოდ ვახტანგის საკუთარ დებულებას ჰქონდა მინიჭებული, მაშინ ბუნებრივად იბადება კითხვა, როგორი იყო სამართლის კრებულის სხვა ეროვნული ნაწილების იურიდიული მდგომარეობა? საკითხი ამით არ ამოიწურება, რადგან ეროვნული ელემენტების გარდა ვახტანგის კრებულში მოთავსებულია კიდევ უცხოური კანონები და მათ შესახებაც ისმება კითხვა: რა მნიშვნელობას მიაწერდა ამ უკანასკნელ კანონებს კრებულის შემდგენელი?"

შემდეგ ავტორი აღნიშნავდა, რომ ამ საკითხის გადაჭრა ერთგვარად რთულია განსაკუთრებით იმის გამო, რომ იგი ეხება ძველ სამართალს, რომლის გამოკვლევის დროს თანამედროვე ცნებები და მიღებული მეთოდები ყოველთვის არ გამოდგებაო.

ალ. ვაჩეიშვილმა სწორად განსჯვრიტა, რომ ხარეზების არსებობის შემთხვევაში თუ ვახტანგ VI დასაშვებად სცნობდა სამართლის ახალი ნორმების შექმნას, მით უფრო მისაღებია ის მოსაზრება, რომ ვახტანგის შეხედულებით, შესაძლო იყო კოდიკოს სხვა ნაწილებში (გარდა მისი საკუთარი სამართლის წიგნისა) მოთავსებული ნორმების გამოყენება და სასამართლო პრაქტიკასთან შეფარდება.[3] ამდენად, ალ. ვაჩეიშვილი პირდაპირ მიადგა საკითხის მართებულ გადაწყვეტას: როგორც ირკვევა, სამართლის წიგნთა კრებულში მოთავსებულ საკანონმდებლო ძეგლებს კანონმდებელი განიხილავდა როგორც სამართლებრივ სიძველეთა არსენალს, საიდანაც შეიძლებოდა საჭირო იარაღის აღება.

ალ. ვაჩეიშვილის „ნარკვევების" პირველ წიგნში განხილულია შემდეგი საკითხები: 1. ქართული სამართლის წყაროები; 2. ვახტანგ მეექვსის კანონმდებლობის სავალდებულო ძალის საკითხი; 3. სისხლის დაურვების სისტემა ვახტანგ მეექვსის კანონების მიხედვით; 4. სასჯელი, მისი მიზნები და სახეები; 5. ქართულ სამართალში დანაშაულის სუბიექტური მხარე; 6. დანაშაულის სუბიექტის ცნება; 7. გარემოებანი, რომლებიც პასუხისმგებლობას გამორიცხავენ.

ყველა საკითხი განხილულია კომპეტენტურად, საკითხის ცოდნით, მაგრამ ყველაზე მეტად საყურადღებოა „სუბიექტური მხარე დანაშაულისა ქართულ სამართალში". ალ. ვაჩეიშვილის აზრით, ქართულმა სამართალმა დანაშაულის სუბიექტური მხარის დამუშავების დარგში განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწია. აქვე სამართლიანად არის მითითებული, რომ დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობის საკითხი ძირითადი და ერთ-ერთი ურთულესი საკითხია როგორც კანონმდებლობის, ისე სისხლის სამართლის თეორიის თვალსაზრისით. დანაშაულებრივი ქმედობის სუბიექტური მხარე შეადგენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველს, მის აუცილებელ პირობას და ამიტომ გასაგებია ის დიდი მნიშვნელობა, რასაც ამ ცნებას მიაწერენ. ავტორი განაგრძობს, რომ „ბრალეულობის ცნების დამუშავების ხარისხი საზომია ამა თუ იმ საზოგადოების იდეური და ეთიკური განვითარებისა, იმის მაჩვენებელია, თუ რა საფეხურზე დგას მოცემული საზოგადოება, თავისი მსოფლმხედველობით, ზნე-ჩვეულებით და საერთოდ, თავისი კულტურით" [4].

ქართული სამართლის მეცნიერების ისტორიაში პირველად ალ. ვაჩეიშვილმა სათანადო საკანონმდებლო ძეგლების გაანალიზების საფუძველზე გამოთქვა მოსაზრება, რომ ქართულ სამართალს შეთვისებული და დამუშავებული ჰქონდა „ისეთი რთული და შინაარსით მდიდარი ცნებები, როგორიცაა განზრახვა და გაუფრთხილებლობა". კერძოდ, ავტორი მიუთითებს იმ გარემოებაზეც, რომ არა მხოლოდ XI—XII საუკუნეებში, არამედ გვიან, ქართული სახელმწიფოებრიობის კრიზისის ხანებშიც, ვახტანგ VI სამართლის წიგნი განზრახვასთან ერთად იცნობდა გაუფრთხილებლობის ცნებასაც.

მომავალში როგორც უნდა განვითარდეს ქართულ სამართალში დანაშაულის სუბიექტური მხარის შესწავლის საქმე, ალ. ვაჩეიშვილის ნაშრომი ამ საკითხზე მუდამ იქნება ეტაპური მნიშვნელობის.

„ნარკვევების" მეორე წიგნში, რომელიც 1948 წელს გამოიცა, უმთავრესად განხილულია ქართული სასამართლო პროცესის ისტორიის საკითხები. ნაშრომი შედგება ორი თავისაგან და მასში განხილულია ისეთი

---

3 იხ. ალ. ვაჩეიშვილი, ნარკვევები, ტ. 1, გვ. 13, 20.

4 ალ. ვაჩეიშვილი, დასახ. თხზ. გვ. 136—137.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკითხები, როგორიცაა: სისხლის სამართლის ისტორიული ფორმები, სასამართლოების წარმოშობა და მათი განვითარების პირველი საფეხურები, სასამართლოების პირველადელი ფორმები საქართველოში, სისხლის სამართლის პროცესი საქართველოში პოლიტიკური ძლიერების ხანაში, სასამართლო წყობილება ვახტანგ VI კანონების მიხედვით, საეკლესიო სასამართლოები და მათი კომპეტენცია, დამამტკიცებელ საბუთთა ისტორიული სისტემები, დამამტკიცებელ საბუთთა სისტემა ვახტანგ VI კანონმდებლობის მიხედვით, ადათობრივი სამართალი და კანონი, ქართული სამართლის წყაროები.

როგორც ვხედავთ, ცალკე თავად არის გამოყოფილი „ქართული სამართლის წყაროები", რადგან ეს საკითხი მას ესმოდა როგორც ქართველი ხალხის ცხოვრებაში მოქმედი სამართლის ფორმები. სამართლის წყაროებს შორის ავტორი მთავარ ყურადღებას აქცევს ჩვეულებით სამართალს და კანონს. პროფ. ალ. ვაჩეიშვილმა კარგად იცოდა, რომ წინაკლასობრივ და ადრეკლასობრივ საზოგადოებებში ადამიანთა ცხოვრება მოწესრიგებული იყო ნორმათა რთული კომპლექსით, რაც, ამავე დროს, საერთო ცხოვრების წესები, რელიგიური, ზრდილობისა და ზნე-ჩვეულებათა ნორმებიც იყო. მაგრამ თუ „წინაკლასობრივ საზოგადოებაში არსებული ყოფაქცევის წესები პირველყოფილი ადამიანის გონებისათვის არაა რაღაც გარედან თავს მოხვეული, რაღაც მისი საკუთარი ძალების გამოვლინების შემზღუდველი, მისი ინტერესების საწინააღმდეგო"[5], სულ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ადრე კლასობრივ, და განსაკუთრებით, წოდებრივ ფეოდალურ საზოგადოებაში. სწორედ ამ თვალსაზრისით ხელმძღვანელობდა იგი ქართული სამართლის ისტორიის ცალკეული ინსტიტუტების კვლევის დროს.

მრავალ საყურადღებო მოსაზრებათა შორის, რასაც ამ ნაშრომში ვხვდებით, შევჩერდებით მხოლოდ ერთზე: ალ. ვაჩეიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ქართლის სამეფოსათვის გათვალისწინებული ვახტანგ VI სამართლის წიგნი იმიტომ გავრცელდა დასავლეთ საქართველოშიც, რომ „ვახტანგის კანონები მიიღო და გამოიყენა სასამართლო პრაქტიკამ". სასამართლო პრაქტიკის გზით შევიდნენ ისინი ძალაში, სასამართლო საქმიანობის მეშვეობით ჰპოვეს მათ ავტორიტეტული აღიარება და ხანგრძლივი და მუდმივი გამოყენების საფუძველზე მოქმედ სამართლად იქნენ მიჩნეული"[6]. როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოში ვახტანგ მეექვსის სამართალმა ძალა მოიპოვა არა რომელიმე საკანონმდებლო აქტის საშუალებით, არამედ იმით, რომ ის მიიღო სასამართლო პრაქტიკამ. ეს მეცნიერული დაკვირვება სავსებით მისაღებია.

„ნარკვევების" ორივე ტომში, ალ. ვაჩეიშვილი ფართოდ იყენებს უცხო მკვლევარების ჟ. კარსტისა და კ. ჰოლდაკის ნაშრომებს და კრიტიკულად მიმოიხილავს მათს მოსაზრებებს. ავტორი მართებულ დასკვნებს აკეთებს ქართული დამამტკიცებელი საბუთების (მტკიცებულებების) წარმოშობის შესახებ. აკრიტიკებს იმ მკვლევარებს, რომელნიც ფიქრობდნენ, რომ ორდალები ქართული ხალხური ყოფისათვის კი არ იყო დამახასიათებელი, არამედ თითქოს უცხოეთიდან არის შემოტანილი.

ალ. ვაჩეიშვილი წერს, რომ ჩვეულებითი სამართალი და წერილობითი სამართლის ნორმები სამეფო კანონმდებლობის სახით დიდი ხნის განმავლობაში ებრძოდნენ ერთმანეთს ცხოვრებაში ფაქტობრივი პირველობისათვის. როდესაც ეცემოდა სახელმწიფოებრიობა, მოიშლებოდა ძლიერი სამეფო ხელისუფლების საყრდენები, შეიმჩნეოდა შედარებით პრიმიტიული ჩვეულებითი სამართლის ნორმების მოძალება. ასეთ დროს თავს იჩენდნენ ორდალები — სასამართლო ორთაბრძოლის, შანთის, მდუღარის და სხვათა სახით. ეს მოსაზრებაც ისტორიულ სინამდვილეს შეეფერება.

„ნარკვევებმა ქართული სამართლის ისტორიიდან" დიდი სამსახური გაუწიეს ქართულ მეცნიერებას. „ნარკვევების" უკანასკნელი, მესამე ტომი დაიბეჭდა 1963 წელს და იგი მიეძღვნა ქართული მიწათმფლობელობის ფორმების შესწავლას. წიგნი შედგება შესავალის, ოთხი თავისა და დანართისაგან. ნაშრომში განხილულია შემდეგი საკითხები, მონათმფლობელური და ფეოდალური პერიოდების საკუთრების ფორმები, ვახტანგ VI კანონთა კრებული და ფეოდალური მიწათმფლობელობის საკითხები, ისტორიული ლიტერატურა და ქართული ფეოდალური მიწათმფლობელობის საკითხები, ფეოდალური მიწათმფლობელობა საქართველოში „ქართულ-სპარსული" ისტორიული საბუთების მიხედ-

---

[5] ალ. ვაჩეიშვილი, „ნარკვევები", II, გვ. 137—138.
[6] იქვე, გვ. 156.

ვით. წიგნს ახლავს „დანართი“, სადაც განხილულია „სასამართლო შეუვალობისა და ქვემდებარეობის ზოგიერთი საკითხი ფეოდალურ საქართველოში ქართულ-სპარსული საბუთების მიხედვით“.

გამოკვლევაში „ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან“[7] ავტორს გამოყენებული აქვს დიდი ისტორიულ-შედარებითი მასალა და ისინი შეჯერებულია ქართულ შესაბამის წყაროებთან და ძეგლებთან, აქ მიწათმფლობელობისა და მიწის საკუთრების საკითხები განხილულია ვრცელი ასპექტით.

ალ. ვაჩეიშვილს სხვებთან ერთად მართებულად მიაჩნია მოსაზრება, რომ საკუთრება, როგორც საზოგადოებრივ-საწარმოო ურთიერთობა, არსებობს ყოველ საზოგადოებაში, მათ შორის წინაკლასობრივშიც, მაგრამ საკუთრების უფლება მხოლოდ კლასობრივ, ცივილიზებულ საზოგადოებაში შეიძლება არსებობდეს. საკუთრების უფლება, ისე როგორც საერთოდ ყოველი უფლება, სამართალს გულისხმობს, ვინაიდან უფლება, როგორც ნებადართული ქცევის წესი, ემყარება სამართლის ნორმას (გვ. 4-5). ქართული ენა ანსხვავებს სამართალსა და უფლებას, ამიტომ საშუალება გვაქვს სწორად წარმოვიდგინოთ სამართალსა და უფლებას შორის ურთიერთდამოკიდებულება.

ავტორს, როგორც სოციოლოგიისა და სამართლის ისტორიკოსს, კარგად ესმის, რომ მიწათმფლობელობის ფორმებსა და მიწაზე საკუთრებას, უდიდესი განმსაზღვრელი როლი ენიჭებათ მთელი ფეოდალური საზოგადოების სტრუქტურის ჩამოყალიბების საქმეში. საწარმოო ურთიერთობათა ფეოდალური ტიპის აღმოსავლური ვარიანტი ფეოდალს მეტწილად პირობითი მიწისმფლობელობის წესით გადაცემულ გლეხებით დასახელებული მიწებიდან გადასახადების აკრეფის უფლებას აძლევდა. ევროპული ფეოდალიზმის მიხედვით კი მემამულე-ფეოდალი წარმოების ორგანიზატორიცაა. ამიტომ სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის ტენდენციები უფრო დასავლური ფეოდალიზმის წიაღში იკვლევდნენ გზას. ი. პეტრუშევსკის, ვ. გაბაშვილს და ალ. ვაჩეიშვილს აღნიშნული აქვთ, რომ ქართული სამართალი მუსლიმანურთან შედარებით უფრო განვითარებული იყო.

„ნარკვევების“ მესამე წიგნის წერისას ალ. ვაჩეიშვილმა უკვე იცოდა სპარსული ენა და შესაძლებლობა ჰქონდა გასცნობოდა სპარსული მიწათმფლობელობის თაობაზე არსებულ დოკუმენტებს. გარდა ამისა, ავტორმა განიხილა ქართული მიწათმფლობელობის ის მეტად ძვირფასი სამართლებრივი მასალა, რომელსაც იძლევა ვლ. თოფურიძის მიერ შედგენილი სქელტანიანი წიგნი — „ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები“.

ალ. ვაჩეიშვილის დასკვნები ძირითადად ემთხვევა ი. პეტრუშევსკის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, ამასთან მათ ახალი ასპექტებით ამდიდრებენ. ი. პეტრუშევსკისა და ალ. ვაჩეიშვილის აზრით ფაქტობრივად არსებული ფეოდალური ურთიერთობები საკმაოდ ვერ აისახა მუსლიმანურ სამართალში. ი. პეტრუშევსკის აზრით ქართულ ფეოდალურ სამართალთან შედარებით, მუსლიმანური სამართალი აღმოჩნდა ბევრად უფრო კონსერვატიული, უძრავი, ნაკლებად მოქნილი და უუნარო, რათა სავსებით აესახა სინამდვილეში არსებული ურთიერთობანი.

ალ. ვაჩეიშვილმა მიუთითა, რომ გვიანი შუასაუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში ირანმა არამარტო ვერ შეძლო ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის გაუქმება, არამედ ვერც საუკუნეების განმავლობაში საქართველოში დამკვიდრებული მართლმსაჯულების რიგი მოშალა. სპარსული საბუთების თანახმად, სისხლის სამართლის საქმეები გამორიცხული იყო თიულდარების (მემამულეების) ქვემდებარეობიდან (გვ. 241).

ალ. ვაჩეიშვილის მართებული მოსაზრებით ქართველ ფეოდალს სასამართლო ხაზით გააჩნდა ერთგვარი შეუვალობა, მაგრამ ეს შეუვალობა, შეზღუდული იყო, რადგან მის შემადგენლობიდან ამოღებულია სისხლის სამართლის საქმეები (გვ. 246).

1962 წელს ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“ (№ 3) გამოქვეყნდა პროფ. ალ. ვაჩეიშვილის მნიშვნელოვანი სამეცნიერო წერილი „გამოჩენილი მეცნიერ-სოციოლოგი მ. კოვალევსკი.“ ალ. ვაჩეიშვილმა წინა პლანზე წამოსწია მ. კოვალევსკის შეხედულება სოციოლოგიისა და სამართლის ურთიერთობის თაობაზე. ალ. ვაჩეიშვილი ეთანხმება მ. კოვალევსკის შეხედულებას, რომ გერმანელ იურისტებს შეგნებული არ აქვთ ეს კავშირი. შინაგანი განვითარების და იმ მჭიდრო დამოკიდებულების იდეა, რომელიც ყოველ მოცემულ მომენტში არსებობს სამართალსა და ერის ეკონომიკურ,

[7] ალ. ვაჩეიშვილი, „ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან“, წიგნი III, თსუ, თბ., 1963, გვ. 247.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და რელიგიურ წყობას შორის, მ. კოვალევსკის სიტყვით, უცხო დარჩა გერმანული სამოქალაქო სამართლის კოდექსის პროექტის ავტორებისათვის, რომლებმაც კოდექსის უმთავრეს საფუძვლად აღიარეს იუსტინიანეს პანდექტები. მისი აზრით საკუთარი ხალხის ისტორიის უგულებელყოფამ კანონმდებელს ყურადღების გარეშე დაატოვებინა სოციალური ამოცანები.

ალ. ვაჩეიშვილი მართებულად თვლიდა მ. კოვალევსკის შეხედულებას იმის თაობაზე, რომ სამართლის დოგმა, როგორც მოქმედი სამართლის ლოგიკური გადმოცემა, არ იძლევა არც მისი ვარგისობის და არც მისი შემდგომი განვითარების არავითარ კრიტერიუმს, მხოლოდ ისტორიის დახმარებით შეიძლება პასუხის გაცემა კითხვაზე: მოცემული სამართალი რამდენად არის წინანდელი განვითარების ნაყოფი და რა არის მასში ისეთი, რაც ეწინააღმდეგება ცხოვრების მოთხოვნებს? ისტორიის გარეშე შეუძლებელია კანონმდებლობის ორგანული ხასიათის და მისი ნაკლოვანების აღმოჩენა, ნაკლოვანების წყაროა ის, რომ ცხოვრებამ გაუსწრო იურიდიულ შემოქმედებას, წერდა მ. კოვალევსკი.

მ. კოვალევსკის აზრით, სამართლის ისტორიამ უნდა იხელმძღვანელოს ისტორიულ-შედარებითი მეთოდით და ნათელი პასუხი გასცეს კითხვაზე, თუ რომელი სამართლებრივი წესები შეესაბამება საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა სტადიებს (საგვარეულო წყობას), ხოლო სოციოლოგია სამართლის ისტორიკოსს აძლევს ცოდნას საზოგადოებრივი ცხოვრების თანმიმდევრული სტადიების შესახებ.

ამასთან დაკავშირებით ალ. ვაჩეიშვილი შენიშნავს, რომ მ. კოვალევსკის წარმოდგენა სოციოლოგიისა და სამართლის ისტორიის ურთიერთობის თაობაზე მაინც გაურკვეველიაო: „გარდა ამისა, — წერდა იგი, — ბუნებრივად იბადება კითხვა-სამართლის ისტორია, კოვალევსკის გაგებით, ხომ არაა, ის მეცნიერული დარგი, რომელსაც სამართლის სოციოლოგიას უწოდებენ". აქვე უნდა ითქვას, რომ ალ. ვაჩეიშვილმა შეამჩნია მ. კოვალევსკის სხვა ნაშრომების სუსტი მხარეც; მისი ეკლექტიზმიც კი, მაგრამ მიუთითა იმის თაობაზეც, რომ მ. კოვალევსკიმ მნიშვნელოვანი თავისებური ელემენტი შეიტანა „სოციოლოგიური პრობლემების შესწავლისა და გადაწყვეტის საქმეში".

სამართლის ზოგადი ისტორიის საკითხების კარგი ცოდნა ჩანს ალ. ვაჩეიშვილის ნაშრომებში „სამართლის ზოგადი თეორია", „დანაშაულის სუბიექტური მხარე", „სისხლის სამართლის პროცესი" და სხვ.

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ლენინის ორდენის კავალერის, პროფესორ ალექსანდრე ვაჩეიშვილის შრომებმა ქართული სამართლის ისტორიის სფეროში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული იურიდიული მეცნიერების განვითარების საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ინწკირველი 60 წლისაა

იუბილარს მიესალმებიან მეგობრები და კოლეგები



მიმდინარე წლის 15 მარტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართა იურიდიული ფაკულტეტის საბჭოსა და პარტიული ორგანიზაციის ბიუროს გაერთიანებული ღია სხდომა, რომელიც მიეძღვნა ამავე ფაკულტეტის სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრის გამგის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი (გივი) ზაქარიას ძე ინწკირველის დაბადების 60 და შრომითი, სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლისთავს.

სხდომა, რომელმაც მოისმინა პროფ. გ. ინწკირველის ანგარიში 40 წლის მანძილზე გაწეული მუშაობის შესახებ, გახსნა იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა **ვ. მეტრეველმა.**

იურიდიული ფაკულტეტის თანამშრომლებისა და სტუდენტების გარდა, სააქტო დარბაზში იყვნენ რესპუბლიკის სამეცნიერო-პედაგოგიური და იურიდიული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, სტუმრები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებიდან, პრაქტიკული მუშაკები და სხვები. ამ თავისებურ, სრულიად ახალ ღონისძიებას დაესწრნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი **პროფ. ნ. ამაღლობელი,** პარტიული კომიტეტის **მდივანი დოც. ო. ხუროძე,** პროორექტორები: **პროფ. ლ. ალექსიძე,** **პროფ. ლ. გოგოლაძე,** **პროფ. ე. ხინთიბიძე,** **პროფ. ნ. კეკელიძე,** საქართველოს სსრ პროკურორი **ვ. რაზმაძე,** რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე **ა. კარანაძე,** იუსტიციის მინისტრი **ა. შუშანაშვილი,** საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილე **კ. ჭელიძე,** მოსკოველი სტუმრები: საბჭოთა კანონმდებლობის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, **პროფ. ა. პეტრიცკი** და რსფსრ დამსახურებული იურისტი **პროფ. ვ. კალინინი,** ჟურნალ „პრავოვედენიეს" მთავარი რედაქტორი, ლენინგრადელი **პროფესორი ნ. ალექსეევი,** ხარკოვის იურიდიული ინსტიტუტის **პრორექტორი,** **პროფ. ვ. ტაცი,** ამავე ინსტიტუტის კათედრის გამგე, **პროფ. ა. როგოჟინი,** აზერბაიჯანის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კათედრის გამგე, **პროფ. ჯ. მოვსუმოვი** და სხვები.

პროფესორმა გ. ინწკირველმა ვრცლად ილაპარაკა 40 წლის მანძილზე გაწეული მუშაობის შესახებ, რაც თითქმის მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთანაა დაკავშირებული, რადგან სწორედ აქედან იწყება მისი შრომითი და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწობა ჯერ როგორც სტუდენტის, შემდეგ კი ასპირანტის, მასწავლებლის, დოცენტის, უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივნის, იურიდიული ფაკულტეტის დეკანის, პროფესორის და ბოლოს სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრის გამგისა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით იგი არაერთხელ წარმომადგენლობდა საკავშირო თუ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე — სამეცნიერო სესიებზე, კონფერენციებზე, სიმპოზიუმებზე, კონგრესებზე, ხშირად არის ხოლმე მიწვეული, აგრეთვე, სახელმწიფო გამოცდების თავმჯდომარედ ჩვენი ქვეყნის წამყვან იურიდიულ სასწავლებლებში.

წლებმა ვერაფერი დაამჩნიეს გ. ინწკირველს. იგი დღესაც ჩვეული ენთუზიაზმით ერთგულებით იღწვის სხვადასხვა უბანზე და არის იურიდიული ფაკულტეტის პარტბიუროს წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს სახელმწიფოსა და სამართლის სექციის თავმჯდომარე, **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეზიდიუმის შტატგარეშე კონსულტანტი, საზოგადოება „ცოდნის“ რესპუბლიკური გამგეობის წევრი, პოლიტიკურ მეცნიერებათა საბჭოთა ასოციაციის აღმასკომის წევრი, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის საბჭოს წევრი.

სიტყვებში გამოსულმა სახელოვანმა ადამიანებმა, რესპუბლიკის მთელი რიგი ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელებმა, სხვადასხვა პასუხისმგებელმა პირებმა, თანამოკალმეებმა და სტუდენტებმა მაღალი შეფასება მისცეს პროფ. გ. ინწკირველის ორმოცწლიან პედაგოგიურ, სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას და ერთხმად აღნიშნეს ის დიდი დამსახურება, რაც მას მიუძღვის ქართული საბჭოთა იურისპრუდენციის წინაშე. იუბილარის სახელზე მოვიდა მრავალი მოსალოცი დეპეშა, წერილი და ადრესატი საბჭოთა კავშირის სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებიდან, რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან და ქალაქიდან. მათში გამოთქმულია ღრმა პატივისცემა ქართველი იურისტების ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენლისადმი.

კეთილი სურვილებით აღსავსე დეპეშები და წერილები გამოგზავნეს აკადემიკოსებმა **ე. პრიმაკოვმა** და **ვ. კუდრიავცევმა**, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებმა **ვ. ჩხიკვაძემ** და **ვ. მშვენიერაძემ**, პოლიტიკურ მეცნიერებათა საბჭოთა ასოციაციის პრეზიდენტმა პროფ. **გ. შახნაზაროვმა**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების კონსულტანტმა **ლ. ონიკოვმა**, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **ბ. ბაბიმ**, ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **გ. ბაიმახანოვმა**, ტაჯიკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **ს. რაჯაბოვმა**, მოსკოვის დაუსწრებელი იურიდიული ინსტიტუტის რექტორმა პროფ. **ბ. ზდრავომისლოვმა**, რიგის უნივერსიტეტის რექტორმა, პროფ. **ვ. მილერმა**, ტარტუს უნივერსიტეტის რექტორმა, პროფ. **ა. კოოპმა**, სომხეთის სსრ პროკურორმა **ს. ოსიპიანმა** და სხვებმა.

ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ სარედაქციო კოლეგია თავისი მკითხველების სახელით გულწრფელად ულოცავს პროფესორ გ. ინწკირველს დაბადების 60, შრომითი, სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლისთავს და უსურვებს ახალ-ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

პატივცემულო, გივი!

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო გულითადად მოგესალმებათ გამოჩენილ მეცნიერს, პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს და მოგილოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების სამოცი და შრომითი მოღვაწეობის ორმოცი წლისთავს.

ფართოა თქვენი მეცნიერული თვალსაწიერი, შემოქმედებითი ინტერესების სფერო. სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია, საბჭოთა სახელმწიფო სამართალი — აი, ის დარგები, სადაც საბჭოთა იურიდიული მეცნიერება მაღალი თეორიული დონის გამოკვლევებით გაამდიდრეთ.

მადლიერების გრძნობით გვინდა აღვნიშნოთ თქვენი დიდი წვლილი ახალგაზრდა იურისტთა კადრების აღზრდაში, მრავალი მათგანი სასამართლოსა და იუსტიციის ორგანოების მუშაკია და მართლმსაჯულების განხორციელების რთულ და საპასუხისმგებლო უბანზე იღვწის.

შესანიშნავმა პიროვნულმა თვისებებმა, კაცთმოყვარეობამ და სამართლიანობამ, შინაგანმა სიწმინდემ და წესიერებამ, შეურიგებლობამ უნიჭობასა და უზნეობასთან დამსახურებულად მოგიპოვათ საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა.

გისურვებთ ჯანმრთელობას, ვაჟკაცურ შემართებას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს ქართული იურიდიული საზოგადოებრიობის საამაყოდ და სასახელოდ.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ქმნა მართლისა სამართლისა...“

ედუარდ ყიფიანი, თამაზ შავგულიძე

ძალლის სისხლი

ბიძინა თავის საქალალდეებს, კონვერტებსა და კართოტეკას ახარისხებდა, როცა მამიას ხმა შემოესმა, სადილად ეპატიჟებოდა.

ტაბლას შემწვარი გოჭი, კეცებში გამომცხვარი ჭადი, ნიგვზიანი და ამოლესილი ლობიო, ფხალი, ყველი, ბადრიჯანი, მწვანილი და მრავალნაირი მწნილი ამშვენებდა.

ბიძინამ ყველაფერს გაუსინჯა გემო.

მამიამ წელგამოყვანილ ჭიქებში ცოლიკაური ჩამოასხა, სახეზე ღიმილი დასთამაშებდა.

დიასახლისი მალე წამოდგა, საქმე მოიმიზეზა. ტაბლას სამნი შერჩნენ.

— ყველაფერი შესანიშნავად არის მომზადებული, — აღმოხდა ბიძინას.

— იცის ბიჭმა! — ჩაიცინა მამიამ, შვილიშვილს ჩაუკრა თვალი და დასძინა: — თბილისში ასეთს ვერაფერს იგემებ.

— ვერა! — კვერი დაუკრა ბიძინამ, — არა, ნამდვილად კარგია სოფელში ცხოვრება!

— მოდი, ეს ჩვენს მიწას გაუმარჯოს! — ასწია ჭიქა მამიამ, — ოღონდ, მიწა უშრომლად არაფერს მოგვცემს, გამრჯე მარჯვენა და სიყვარული უნდა.

გვიან წამოიშალნენ და ეზოში გავიდნენ.

— ისე გემრიელად ვისადილეთ, თუ კარგად არ შევირგეთ, სუფრის უპატივცემლობა იქნება!

— სწორია, — გაიცინა მამიამ.

— წამოდით ჩემთან, მე ვიცი მაგის წამალი, — თქვა ბიძინამ და ჭიშკრისაკენ გაემართა.

— ბიჭოს, რა წამალია ასეთი!? — უკან მიჰყვა მამიაც და გოჩას ანიშნა, წავყვეთ, ვნახოთ, რას გვპირდება ეს კაცი.

ბიძინას სახლის აივანზე ავიდნენ. მასპინძელმა საქალალდე გამოიტანა და სტუმრებს მიმართა: — აბა, დავსხდეთ და წავიკითხოთ.

— რა წავიკითხოთ? — იკითხა მამიამ.

— ეს ამბავი ნამდვილად მოხდა, მაგრამ ცოტა გავაფორმე, — გაეღიმა ბიძინას, — უფრო სწორად, მხოლოდ სახელები და გვარებია შეცვლილი. მოთხრობა მინდოდა დამეწერა, მაგრამ არ გამოვიდა კარგი. პატარა შესავალს გავაკეთებ, მერე კი წავიკითხოთ. ეს ამბავი კოკი სვანაძეს ეხება. კარგი არქიტექტორი იყო, მაგრამ გადაჭარბებული ქეიფი და დროსტარება უყვარდა. ამით ძალიან იყო შეწუხებული მისი მეუღლე ნენე, განსაკუთრებით კი სიდედრი, ქალბატონი ფაცია. კოკი ხშირად მთვრალი უჯდებოდა ავტომანქანის საჭეს. ერთ დღეს მან თავისი მანქანაც დალეწა და თვითონაც მძიმედ დაშავდა.

ბიძინამ საქალალდე გადაშალა, ათიოდე გვერდი გადაფურცლა და ჩაილაპარაკა:

— აი, აქედან უკვე შეიძლება ჩანაწერს მივყვეთ:

„სვანაძეების ოჯახში მაგიდას უსხდნენ ქალბატონი ფაცია, ნენე, კოკის უფროსი ქალიშვილი თინა და მისი ქმარი დავითი. კოკის უმცროს ვაჟს გოგიტას უკვე ეძინა.

— რაო ექიმმა, — თვალი ჭოჭუტა სიძემ, — როდის გამოეწერება საავადმყოფოდან.

— ორი თვის შემდეგო — ჩაილაპარაკა ნენემ.

— საჭეს როდის მიუჯდებაო?

— ორ წელიწადს მანქანას არ გააკარებენ! — გადაჭრით განაცხადა ფაციამ.

— კი, მაგრამ... მანქანა სად უნდა დააყენონ ამდენ ხანს? — იკითხა სიძემ.

თინამ სახელოზე ჩამოქაჩა ქმარს.

—ღვინის დალევაც აუკრძალეს? — მიაფუჩეჩა ნათქვამი სიძემ.

ნენემ და ფაციამ ერთმანეთს გადახედეს. ახლა კი დროაო, გადაწყვიტა ფაციამ და დავითს მიმართა:

— დათო, გინდა, რომ შენი სიმამრი სადმე გადაიჩეხოს?

— ღმერთმა დაიფაროს! — წამოიძახა დავითმა.

— ჰოდა, უნდა გვიშველო! — მოსჭრა სა-

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, № 1, 1986 წ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქმელი ქალბატონმა ფაციამ.

სიძემ თავი დახარა, ცოლისკენ გაექცა მზერა:

— თუკი რამე შემეძლება, ჩემი თავი ენაცვალოს კოკი სვანაძეს, მაგრამ მისი მანქანის გამოყენება ამჟამად შეუძლებელია.

ამ სიტყვებს ყურადღება არავინ მიაქცია.

— თქვენმა ოჯახმა სისხლი უნდა გაიღოს! — თვალებში ჩააცქერდა მას ფაცია.

— სისხლი?! — გაოცდა სიძე, — სისხლის გადასხმა ჭირდება?

— სულ ერთი კოვზი გვინდა.

— კი, ბატონო! კოკისთვის ერთი კოვზი სისხლი კი არა, ერთი კოკა არ დამენანება!

— შენი სისხლი კი არ გვინდა! — გაუბედაობა შეეპარა ხმაში ფაციას.

— აბა, ვისი? — გაოცდა დავითი.

— ბათურასი!

— რაა?! — წარბები შეჰყარა სიძემ, — ძაღლის სისხლი უნდა გადაუსხან ჩემს სიმამრს?!

ქალბატონი ფაცია წამოდგა, მეორე ოთახიდან პაწაწინა ბოთლი გამოიტანა და მაგიდაზე დადგა. ყველა იმ ბოთლს მიაჩერდა.

— ეს წამალი ერთ კოვზ ძაღლის სისხლში უნდა გაერიოს, — განმარტა ფაციამ, — ექიმბაშმა გვირჩია, უებარი წამალია, ღვინოში უნდა ავურიოთ და დავალევინოთ. საკმარისია ერთი ჭიქა დალიოს, და ღვინოს აღარასოდეს გაეკარება.

— ჩემი ბათურას სისხლი უნდა გაერიოს? — ძლივს წარმოთქვა დავითმა.

— ჰო!

— სხვა ძაღლის არ შეიძლება?

— ოღონდ ძაღლის იყოს!

სიძემ ფეხი ფეხზე შემოიდო, თვალმოჭუტული გახედა სიდედრს და ფაციას.

— მერე, ბათურას მეტი ძაღლი ვერ ნახეთ!? მაინცდამაინც წმინდა სისხლის სეტერის სისხლი თუ არ დალია კოკი სვანაძემ, ისე არ დაანებებს ღვინის სმას თავს!

— ხომ ხედავ, ვერ ანებებს! — შეუტია ცოლმა.

— რა მოხდა, კაცი კვირაში ერთხელ თუ დალევს, ლოთი ხომ არ არის?! ბოლოსდაბოლოს, ქართველია!

— მანქანის პატრონისათვის ერთხელ დალევაც საკმარისია, — არ დასთმო თინამ.

— მე ხომ არ ვსვამ ასე ხშირად?!

— ეგლა მაკლია! — მქირდავად ჩაიცინა თინამ.

— ჰოდა, დაუთმეთ კოკი სვანაძის მანქანა მის სიძეს და ყველა გადავრჩებით ამ დავიდარაბას.

ქალებმა ამოიხვნეშეს.

— ამ ბოლო დროს ისედაც ცუდად არის ბათურა, — ხმადაბლა ჩაილაპარაკა თინამ.

დავითმა ცოლს შეხედა.

— ჰიპერტონია აქვს ალბათ, — განაგრძო თინამ, — ასე იცის გაზაფხულზე და შემოდგომაზე.

— კი, ვერ არის საწყალი კარგად — დაუმოწმა დავითმაც.

— ჰოდა, სისხლის გაღება მოუხდება კიდეც! — დაასკვნა თინამ, — ბებიასაც აქვს წნევა — ყოველ გაზაფხულზე წურბლებს ისვამს კისერზე...

დავითი ფეხზე წამოიჭრა:

— თუ ასე საჭიროა ძაღლის სისხლი, შენი მიეცი, შენზე უარესი კბენა ვის ეცოდინება — იყვირა სიძემ და კარი გაიჯახუნა.

ოცდაოდ დღის შემდეგ დილით ვიღაცის ძახილმა დაარღვია სვანაძეების ოჯახის მყუდროება. ნენე სარკმელს მიადგა. ძირს კოკი იდგა, ცალი ხელით ახლადშეკეთებულ საკუთარ „ჟიგულს“ დაყრდნობოდა და ზევით იცქირებოდა.

— ნენე! — მთელი შენობის გასაგონად იყვირა მან, — სამსახურში მეჩქარება, საღამომდე ვერ მოვალ, ალბათ. აბა, თქვენ იცით, ჩემი გადარჩენის აღსანიშნავად როგორ მოემზადებით!

ქალები საცოდავად მიაჩერდნენ ერთმანეთს. პირველად ისევ ქალბატონი ფაცია გამოერკვა, კარადიდან პატარა ბოთლი გამოიღო და მაგიდაზე დადო.

— თუ იმ კაცის სიცოცხლე გვინდა, ამ საქმეს უნდა მივხედოთ! — თქვა მან.

ორიოდე წუთის შემდეგ დედა-შვილი ეზოში ჩავიდა. ფაციას პარკში ხორცის ნაჭრები ელაგა. იქაურობა დაზვერეს და ერთი უჯიშო და უკუდო ძაღლი დალანდეს. ფაციამ ხორცის ნაჭერი ამოიღო პარკიდან და გაუწოდა. ძაღლმა ფეხი არ მოიცვალა ადგილიდან. ბევრი უტრიალეს, მაგრამ ძაღლი ვერ მოიხელთეს.

ქალები უიმედოდ მიაჩერდნენ ერთმანეთს.

ამ დროს სადარბაზოში ერთი ციცქნა ძაღლი შემოცუნცულდა და ცივი ხმით შეჰყეფა.

ნენე ჩაცუცქდა, ძაღლს უხმო და ხელის გული გაუშვირა. ფინიამ თვინიერად წაუცაცუნა სველი პაწია ცხვირი ნებზე, გალოკა, კისერი წაიგრძელა და სახეზეც მისწვდა.

ფაციაც ჩაცუცქდა. ძაღლს მოეფერა. ამ დროს ძაღლის პატრონი წამოადგათ თავს.

— ცუგა! — მკაცრად შესძახა მან.

ძაღლი ხელიდან გაუსხლტა ქალებს, პატრონთან მიცუნცულდა და მის ფეხთან გაიტრუნა.

— ბატონო ვანო, თქვენია ეს მშვენიერი ძაღლი?! — წამოიძახა ფაციამ.

— ეჰ! — ამოიხვნეშა ვანომ, — ეგ კი არ არის ჩემი, მე ვარ მაგისი, შემიკლა კაცი ხელში!

— ხომ არ მოგვყიდით, ბატონო ვანო?

— როგორ გეკადრებათ! — აღშფოთდა ვანო.

— არა, ბატონო, ისე გითხარით..., — გადააკეთა სათქმელი ფაციამ, — ძუ არის?

— მამალია! — ამაყად წარმოთქვა ვანომ.

— სწორედ ასეთი ძაღლი ჰყავს ჩვენს სიძეს, თინას ქმარს! ოღონდ ის ძუა. იქნება, როგორმე..., — დაიმორცხვა ქალმა, — შეგვეხვედრებინა ერთმანეთს.

— ეგ სულ სხვაა! კი, ბატონო, დიდი სიამოვნებით, ოღონდ... სისხლის აღრევა არ მოხდეს!

— ბატონო ვანო, თუ დრო გაქვთ, ამობრძანდით ჩვენთან, იქ ვისაუბროთ! — დასძრა სიტყვა ნენემაც.

— კი, ბატონო!

სასტუმრო ოთახში სუფრას ვანო უჯდა. ნენე და ფაცია თავს დასტრიალებდნენ. იქვე, მეორე სკამზე ცუგა დასკუპებულიყო.

გოგიტამ ხელი წაუცაცუნა ძაღლს.

— ა, ასე იჯდება მთელი საათი, თუ ჩემი ხელით არ ვაჭამე, — ძაღლს გადახედა პატრონმა, — არ ვიცი, რა დაემართა ამ ბოლო დროს, სულ დაეკარგა მადა.

— გაზაფხულია, თუ თავისიანი არ ამოვუყენეთ გვერდში, რა გადააყლაპებს ლუკმას!

ფაციამ ნენეს ანიშნა, ერთი წუთით შეიქციე სტუმარიო. ოთახიდან გავიდა. გოგიტამ ბებია დალანდა თუ არა, ჩანთა დახურა და საწოლქვეშ მიმალა.

ფაცია აღელვებული იყო. ძას გაწყობილი შპრიცი ეჭირა ხელში.

— გოგიტა, ბებია გენაცვალოს! ის პატარა ცუგა ერთი წუთით გამოიტყუე როგორმე! ორი წვეთი სისხლი უნდა ავუღო.

— რად გინდა, ბებია, ძაღლის სისხლი? — ცნობის წადილმა წასძლია ბავშვს.

— გამოიყვანე ერთი წამით!

— არა, ჯერ მითხარი!

— მამაშენს უნდა გავურიოთ ღვინოში — ჩაუჩურჩულა ფაციამ, — სასმელს აღარ გაეკარება.

— რომ მიხვდეს? — გამხიარულდა ბიჭი.

— ქალბატონო ფაცია! — მოისმა სტუმრის ხმა.

— მოვდივარ, ვანო ბატონო!

ფაციამ შპრიცი იქვე დადო და სტუმართან გავიდა. ვანო სადღეგრძელოს ამბობდა, იგი უკვე გვარიანად იყო შეჭიკჭიკებული. ქალები ღელავდნენ. ფაცია მოუსვენრად ცქმუტავდა, გოგიტას ხმამ შეაკრთო.

— ცუგა! ცუგა! — ბიჭს კარი ოდნავ შემოეღო, ჩაცუცქულიყო და ძაღლს უძახდა.

ცუგა ცქვიტად შებრუნდა, გაკვირვებული მიაჩერდა გოგიტას, კუდი გააქიცინა, სკამიდან გადახტა და იმ წამშივე კარის ღრიჭოში გაუჩინარდა.

ფაციამ გაყოლა მოიწადინა, მაგრამ სტუმარმა შეაჩერა:

— ქალბატონო ფაცია! რა არის ეს ცხოვრება, მე თქვენ პატარა გოგონა მახსოვხართ, სულო ცოდვილო და კიდევაც მომწონდით...

შემდეგ ვანომ გრძელი სადღეგრძელო წამოიწყო, როგორც იყო დაასრულა, ყოვლად წმინდა ახსენა, წამოდგა და ძაღლს დაუძახა.

— როგორც კი მოიყვანთ, გვაცნობეთ და აქ გავჩნდებით, მზად ვართ, გემსახუროთ! — მიუბრუნდა ქალებს და კარებში გავიდა, ძაღლიც თან გაჰყვა.

ფაცია წელმოწყვეტილი დაეშვა სკამზე.

— ბებია! — მოისმა ბიჭის ხმა, — მოდი!

გოგიტას წითელი სითხით სავსე შპრიცი ეჭირა ხელში.

— რა არის ეს?

— სისხლი არ გინდოდა?! — გოგიტა ჩაცუცქდა. ლოგინის ქვეშ შეცურებულ ჩანთას მისწვდა და სწრაფად დამალა წითელმელნიანი ბოთლი.

— რამდენი სისხლი ჰქონია იმ ერთი ციდა ძაღლს?! — გაიხარა ფაციამ.

ზარის ხმა გაისმა.

— კოკი მოვიდა! წამოიძახა ფაციამ და შპრიცი ზურგს უკან დამალა.

დედა-შვილი სამზარეულოში დატრიალდნენ. ფაციამ ღვინის ბოთლში სისხლგარეული წამალი ჩაცალა. ნენე ხელებში მიაჩერდა დედას.

— დედა! რომ მოწამლოს...

— სუ, ქალო! დატუქსა დედამ, — მოწამლოს რა, ის კი არ არის!

თავადაც ისე იყო აღელვებული, ხელები უცახცახებდა.

კოკი მაგიდას მიუჯდა. მთვრალი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნენე! — სამზარეულოში გასძახა ცოლს.

ნენემ ტაფით შემწვარი ხორცი და პური მოიტანა. მაგიდაზე დაალაგა.

— ღვინო მომიტანე! — თქვა კოკიმ.

— ახლავე! — ძლივს ამოიკვნესა ქალმა.

სამზარეულოდან ქალბატონი ფაცია შემოვიდა ნენეც შემოჰყვა.

ფაციამ ღვინის ბოთლი ცხვირწინ დაუდგა სიძეს. შვილს ანიშნა, სამზარეულოში შემომყევიო.

ნენემ ფეხი აითრია. შეყოყმანდა. ფეხმაღალ ჭიქებს წამოავლო ხელი, მაგიდაზე დაალაგა და სხაპასხუპით მიაყარა:

— ამ ბოთლში ძაღლის სისხლია გარეული, ექიმბაშმა გვირჩია, ღვინოს აღარ გაეკარება, სამუდამოდ შეძულდებაო.

ფაციამ ეჭვიანად გამოიხედა სამზარეულოდან.

— ქალბატონო ფაცია! — რიხიანად შეეგება კოკი, — დღეს, რაღაც ისეთ ხასიათზე ვარ, თქვენი ხელით დასხმული ღვინო განსაკუთრებით შემერგება.

— კი, შვილო! — თქვა ფაციამ და ჭიქა შეუვსო.

— თქვენ არ ინებებთ? — ქალებს მიმართა კოკიმ.

სიდედრმა უხმოდ დაისხა თავისთვისაც.

— მოდით, ამ ჭიქით თქვენს სადღეგრძელოს დავლევ! — სიდედრს მიაჩერდა კოკი, — ყოველთვის მშვიდად იმიტომ ვარ, რომ აქ თქვენ მეგულებით; ვიცი, არაფერს მოაკლებთ და არავის დააჩაგვრინებთ ჩემს ცოლ-შვილს. თქვენ გაგიმარჯოთ! — სიდედრს ჭიქა მიუჭახუნა და დალია. მეორედ აივსო სასმისი და კიდევ დალია.

აუტანელი დუმილი ჩამოწვა. კოკი უცებ დაიგრიხა, თვალები დაქაჩა და დაიღრინა. ნელა წამოდგა ფეხზე, ხელმეორედ დაიღრინა. დამფრთხალი ფაციაც წამოდგა, უნებურად დაიხია უკან. მოულოდნელად კოკი ოთხზე დადგა და ყეფით გაქანდა სიდედრისკენ. ქალბატონ ფაციას სიტყვა არ დაუძრავს, სადაც იდგა, იქვე უხმოდ ჩაიკეცა...

სასწრაფო დახმარებამ ვეღარ მოუსწრო, კოკი სვანაძეს სიდედრი გარდაეცვალა".

ბიძინამ კითხვა დაამთავრა და საქაღალდე დახურა.

— ამ კაცს სასამართლოში ჰქონდა საქმე?! — წამოიძახა მამიამ.

— სიდედრი კი მოუკლავს და!.. — ჩაილაპარაკა გოჩამ.

— მაშინ პროკურატურაში ვმუშაობდი, როცა მასალას გავეცანი, — თქვა ბიძინამ, — სიცილი წამსკდა... სასაცილო რა იყო, ქალი გარდაიცვალა, მაგრამ ხანდახან სიკვდილშიც არის იუმორი. კოკი სვანაძე დაეკავებინათ. შემეკითხნენ, რა ვქნათ, რომელი მუხლით აღვძრათ საქმეო?

— რა უქენით, მერე, იმ კაცს? — მოუთმენლად იკითხა მამიამ.

— არაფერი, გავათავისუფლეთ...

— კი, მაგრამ... — არ დააკმაყოფილა პასუხმა გოჩა, — ყეფა რომ არ აეტეხა, ხომ არ მოკვდებოდა ის ქალი?!

— კი, მართალია, კოკი სვანაძეს სიდედრისთვის მხოლოდ საყვედური რომ ეთქვა, ის მელანგარეული ღვინო არ დაელია და არც დაეყეფა, არაფერი მოხდებოდა. მაგრამ კოკი მაინც გათავისუფლდა, რადგან მის მოქმედებაში ბრალი არ იყო!

— მოიცა, ბიძინა, — გააწყვეტინა მამიამ, — ის ქალი ხომ კოკის ყეფამ მოკლა? ესე იგი, მას შემოაკვდა!

ბიძინამ კოდექსი გადაფურცლა.

— მესამე მუხლი ასეა დასათაურებული: „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლები". ვნახოთ, რა წერია! „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში, ესე იგი, ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა". გასაგებია?

— არაფერიც არ არის გასაგები! — შეეპასუხა მამია, — რა არის, ბოლოსდაბოლოს, ეს ბრალი?!

ბიძინა ფეხზე წამოდგა:

— ძალიან კარგი! ერთ რამეში შევთანხმდეთ: ადამიანი შეგნებული არსებაა. მას გარკვეული ფსიქოლოგიური დამოკიდებულება აქვს საკუთარი მოქმედების და მისი დანაშაულებრივი შედეგისადმი. თუ ეს დამოკიდებულება არა აქვს, ან არ შეიძლება ჰქონდეს, არც ბრალი ექნება. კოკი სვანაძე არ ითვალისწინებდა და არც შეეძლო გაეთვალისწინებინა, რომ მის ხუმრობას სიდედრის სიკვდილი მოჰყვებოდა. ესე იგი, მას ბრალი არ ჰქონდა. სწორედ ამიტომ არ აგებინეს პასუხი მკვლელობისთვის. ახლა გასაგებია?

— მეზობელ სოფელში ერთი გიჟია, — წამოიწია გოჩა, — მან რომ კაცი მოკლას, არ დაიჭერენ, რადგან თავის ნამოქმედარს ანგარიშს ვერ უწევს, არა?

— ეს სხვა საკითხია!, — თქვა ბიძინამ, — გიჟი თავისი მოქმედებისთვის პასუხს არ აგებს, იმიტომ, რომ შეურაცხადია... ამაზე შემდეგ

ვილაპარაკოთ. ჯერ შერაცხადებს მივხედოთ... კოკი სვანაძის სიდედრს იმ ხანებში, ვთქვათ, ტვინში სისხლის ჩაქცევა რომ ჰქონდა გადატანილი და ლოგინიდან ახლადწამომდგარი ყოფილიყო, კოკის უნდა გაეთვალისწინებინა, რომ მისი ასე შეშინება აღარ შეიძლებოდა. აი, მაშინ კი გაუფრთხილებელი მკვლელობისთვის მისცემდნენ პასუხისგებაში.

— რას მიუსჯიდნენ? — დაინტერესდა მამია.

— გაუფრთხილებელი მკვლელობისთვის? — ჩაფიქრდა ბიძინა, — ეს მერვე მუხლი გაუფრთხილებელი მკვლელობისთვის ითვალისწინებს „თავისუფლების აღკვეთას ვადით სამ წლამდე, ან გამასწორებელ სამუშაოებს ვადით ორ წლამდე“.

— ესე იგი, გაუფრთხილებელ და განზრახ მკვლელობას შორის დიდი განსხვავებაა?

— აბა, რა! დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახი მკვლელობა თხუთმეტ წლამდე პატიმრობით ისჯება. შეიძლება, სასჯელის უმაღლესი ზომა სიკვდილიც შეუფარდონ. თუ დამამძიმებელი გარემოება არ იქნა, ხუთიდან თორმეტ წლამდე პატიმრობაა.

— ეს გაუფრთხილებელი მოქმედება...

— მოიცა! — შეაჩერა მამია ბიძინამ, — ასე შეკითხვები არ დაგელევათ და არც პასუხი იქნება ამომწურავი. ჯობია, ყველაფერი დალაგებულად აგიხსნათ: ბრალი რა არის, უკვე გითხარით! მას ორი სახე აქვს: განზრახვა და გაუფრთხილებლობა. განზრახვა, თავისთავად, ორგვარია: პირდაპირი და არაპირდაპირი. გაუფრთხილებლობაც ორად იყოფა: თვითიმედოვნება და დაუდევრობა.

ბიძინა დარბაზში შევიდა, ცარცი გამოიტანა, აივანზე დაბრუნდა და იატაკზე ნახაზი ააგო.

— ასე! რა არის არაპირდაპირი განზრახვა? ჩვენი მაღაზია რომ გაძარცვეს, გახსოვს, მამია?

— რავა არ მახსოვს, შუაღამით ორი პირახვეული კაცი დაეცა მაღაზიას. დარაჯი, საწყალი ბიკენტი გოქაძე გაკოჭეს და პირში ჩვარი ჩათხარეს. ერთს უთქვამს, ხროტინებს, არ დაიხრჩოს ეს უბედურიო. ლოსაბერიძე იყო, ნაძველი. მეორეს უთქვამს, რას ამბობ, ყვირილს ატეხავს, ხალხს დაგვახვევსო, და დატოვეს პირამოვსებული. დაიღრჩო ის საცოდავი. ლოსაბერიძეს ცამეტი წელი მისცეს, მეორეს... მისი გვარი არ მახსოვს, ჩვენებური არ იყო — თხუთმეტი წელი.

— სწორედ ეს იყო არაპირდაპირი განზრახვით მკვლელობა! მძარცველებს დარაჯის მოკვლა არ სურდათ, მაგრამ ასეთ შედეგსაც ითვალისწინებდნენ, თანაც შეგნებულად დაუშვეს კაცის სიკვდილი. გასაგებია?

— კი.

— უშანგის რომ ბავშვი კინაღამ შემოაკვდა, ისიც გემახსოვრება.

— ბეჩა, როგორ არ მახსოვს! — შეიცხადა მამიამ, — მე კი მახსოვს, მაგრამ შენ რა იცი, ამდენი ხანია აქეთ აღარ გიქნია პირი!

— ეს საქმეები ყველა იქ მოდიოდა.

— ა! იმის შემდეგ თოფი აღარ აუღია ხელში, თავგადაკლული მონადირე კი იყო.

— კაცმა მთელი დღე ისე იარა, კურდღელი ვერსად დალანდა. უკან რომ ბრუნდებოდა, კურდღელი გამოუხტა გზაზე. იმ ბოთემაც ბევრი არ იფიქრა, შემართა თოფი და კურდღლის მაგივრად ბავშვი დაჭრა. ასე იყო?

— ზუსტად! — დაემოწმა მამია.

— ეს არის დაუდევრობით გამოწვეული დანაშაული. უშანგის, მართალია, არც კი უაზრია, რომ ბავშვს დაჭრიდა, მაგრამ სოფელში რომ თოფის სროლა არ შეიძლება, ეს უნდა გაეთვალისწინებინა. ორღობეში კი არა, ტყეშიც ფრთხილად უნდა იყო, რომ სხვა მონადირე, სოკოზე წამოსული ან სხვა ვინმე არ დააშაო.

— ეს რაღაა? — ფეხსაცმლის ჭვინტით ანიშნა მამიამ ნახაზისაკენ.

— თვითიმედოვნება? ახლავე! ვთქვათ, ტყეში იყო რამდენიმე კაცი. დაჭირდათ და ცეცხლი დაანთეს. წამოსვლისას წვიმამ დასცხო. ერთმა უთხრა მეორეს, ჩადი ღელეში, წყალი ამოიტანე, ცეცხლი გააქრეო. მეორეს წასვლა დაეზარა, წვიმა მოდის, ისედაც ჩაქრებაო, და წამოვიდნენ. წვიმამ მალე გადაიღო, ამოვარდა ქარი და ცეცხლი გავრცელდა. დაიწვა ტყე. ხომ არის ეს დანაშაული? არის! კაცი კი ითვალისწინებდა თავის ნამოქმედარს, რომ ხანძარი შეიძლება გაჩენილიყო, მაგრამ წვიმის იმედით იყო. ეს იმედი კი არ გაუმართლდა — სწორედ ეს არის თვითიმედოვნება.

— პირდაპირი განზრახვა რაღას ჰქვია?

— კაცი რომ ვინმეს ჩაუსაფრდეს და ტყვია ჰკრას. ასეთ დროს კაცი ითვალისწინებს, სურს სხვისი სიკვდილი და კლავს კიდეც. ეს არის პირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაული.

— არ ყოფილა ძნელი იურისტობა! — ცალყბად ჩაიცინა მამიამ, — ტყეში მეც კი დამინთია ცეცხლი. ხანძარი რომ გაჩენილიყო, რა მელოდა, ნეტა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბიძინამ კოდექსი გადაფურცლა:

„სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განადგურება ან დაზიანება, თუ იგი ჩადენილია ცეცხლთან გაუფრთხილებელი მოპყრობით და სხვა საყოველთაო საშიში საშუალებით, ან თუ მას მოჰყვა ადამიანთა უბედური შემთხვევები ,ან სხვა მძიმე შედეგები, აგრეთვე, ტყის მასივის განადგურება, ან საგრძნობი დაზიანება ან მომეტებული საფრთხის წყაროსთან დაუდევარი მოპყრობის შედეგად, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ორ წლამდე“.

მამიამ შვილიშვილს გადახედა:

— ხედავ, რა ყოფილა?! ცეცხლი არ დაანთო, ბიჭო, ტყეში, თვარა, დაგახვევ მაგ ყურებს! ღრმადაც ნუ ისუნთქავ მაინდამაინც, შარიანი ხალხია იურისტები, რამე უკანონობა არ დაგწამონ... ხუმრობა იქით იყოს, ჩემო ბიძინა, და ის კოკი სვანაძე მთლად მართალ კაცად რომ გამოიყვანე, მთვრალი უჯდა საჭეს, თავადაც დაიმტვრა, მანქანაც დაამტვრია, ეს არაფერი!

— ამაზე კერძო განჩინება უნდა გამოეტანა სასამართლოს. ავტოავარიის შემთხვევისას პასუხისმგებლობის საკითხს 241-ე მუხლი აწესრიგებს. ეს კანონის სულ ახალი რედაქციაა და მნიშვნელოვნად გამკაცრებულია სასჯელი.

— შაჰ-აბაზს არ უქნია ამდენი უბედურება საქართველოსთვის, რაც ავტოავარიებმა...

— ჰო, მართალი ხარ, ამიტომაც გაამკაცრეს. ავტოავარია „გაუფრთხილებელი“ დანაშაულია ხშირად. კაცი მოძრაობის წესებს არღვევს და არ ითვალისწინებს მოსალოდნელ მძიმე შედეგს, თუმცა, შეეძლო და მოვალეც იყო, გაეთვალისწინებინა.

— ყველა დამრღვევზე სასამართლო და პასუხისმგებლობაც არ ივარგებს...

— არც არის. პასუხისმგებლობის საკითხი მაშინ დგება, თუ წესების დარღვევას ავტორავარია მოჰყვა, ავარიას კი — მძიმე შედეგი. თუ მხოლოდ მძღოლი დაშავდა, იგი სისხლის სამართლით პასუხს არ აგებს. ამაზე სხვა სასჯელია.

მამიამ ისევ შეავლო მზერა შვილიშვილს, თვალები აუციმციმდა:

— აგერ, გოჩას ვარ შეპირებული, ვეტინსტიტუტში თუ მოხვდება, „ნივას“ ვუყიდი. ხომ უნდა იცოდეს, რამე თუ მოუხდა, რა მოელის!?

— ყველამ უნდა იცოდეს! თუ ავტოავარიის შედეგად დაზარალებული „მსუბუქად“ ან „ნაკლებ მძიმედ“ დაშავდა, ანდა ავარიას „მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი“ მოჰყვა, დამნაშავე, ესე იგი, მძღოლი, შეიძლება, სამი წლითაც კი დააპატიმრონ. ეს სულ დიდი! მსუბუქი სასჯელიც არის: ჯარიმა, გამასწორებელი სამუშაო... შემთხვევას გააჩნია. იგივე დანაშაული რომ მთვრალმა ჩაიდინოს, ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთაა. ვთქვათ, ავარიამ მძიმედ დაშავა კაცი, ფხიზელ მძღოლს ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას მიუსჯიან, მთვრალს კი — რვა წლამდე.

— მტერს და ავს, რომ მოკვდეს კაცი?

— ო, მაშინ, სამიდან რვამდეა. სიმთვრალეში ჩადენილი იგივე დანაშაული — ხუთიდან ათამდე. თუ ორი ან რამდენიმე კაცი იმსხვერპლა, თხუთმეტ წლამდე პატიმრობით იზრდება სასჯელი. სიმთვრალეში ჩადენილი სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ავარიის დროს მძღოლს მანქანას ჩამოართმევენ და გაუყიდიან, ფულს კი დაუბრუნებენ.

— იმე!

— კაცი პატივისცემას თუ ვერ შეიშნობს, ჩაიდოს ფული ჯიბეში და ქვეითად იაროს. არც თვითონ მოიტეხს კისერს და არც სხვას დაუშავებს.

— სხვის მანქანაში ჩაჯდომა ხომ შეიძლება?

— შე კაცო!

— კოკი სვანაძე რატომ გადაურჩა მაგ სასჯელს!?

— რას ჩააცივდი იმ კაცს, მაინდამაინც უნდა ჩასვა?! ვთქვათ, მძღოლი ნასვამი იყო, მაგრამ წესი არ დაურღვევია. მაშინ, გააფრთხილებენ. იმ გაფრთხილებიდან ერთი წლის განმავლობაში თუ ისევ გაიმეორა, მანქანას გაუყიდიან და, შეიძლება ერთი წელიც ჩასვან. იგივე ელის, თუ კაცმა მთვრალს მისცა სამართავად თავისი მანქანა. ასე რომ კოკი ვერ ასცდებოდა სასჯელს. ასეა ეს!

აივანზე სიჩუმე ჩამოწვა, მხოლოდ ბაყაყის ყიყინი ისმოდა შორიდან.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაცია

საკოორდინაციო საბჭოს მორიგ სხდომაზე

გაიმართა საქართველოს სსრ სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობის საკოორდინაციო საბჭოს მორიგი სხდომა, რომელსაც მისი ხელმძღვანელი, რესპუბლიკის პროკურორი **ვ. რაზმაძე** თავმჯდომარეობდა. მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ **ა. კარანაძემ**, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა **შ. გორგოძემ**, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა **ა. შუშანაშვილმა**, რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **გ. როინიშვილმა** და მთელ რიგ შესაბამის უწყებათა ხელმძღვანელმა მუშაკებმა.

სასჯელის დანიშვნის სასამართლო პრაქტიკასა და მისი სრულყოფის ღონისძიებებზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი **ო. ბებია**. რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს უფროსი **ზ. კვირკველია** კი მსმენელთა წინაშე წარსდგა ინფორმაციით იმის შესახებ, თუ როგორ ანაზღაურდება მოქალაქეებისათვის სამართალდაცვითი ორგანოების მუშაკთა უკანონო მოქმედებით მიყენებული ზარალი.

სხდომაზე ღრმად და კრიტიკულად გაანალიზდა შექმნილი მდგომარეობა და დაისახა მისი გადაწყვეტის რეალური გზები.

საბჭომ შეიმუშავა აგრეთვე შესაბამისი რეკომენდაციები ადგილობრივი სამართალდაცვითი ორგანოებისათვის.

კოკი ნარმანია,
საქართველოს სსრ სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობის საკოორდინაციო საბჭოს მდივანი.

—•—

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედ რესპუბლიკურ კურსებზე 1986 წლის 25 მარტს სახალხო სასამართლოების კანცელარიების გამგეების და საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრების ჯგუფების მსმენელთა მონაწილეობით გაიმართა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „სკკპ XXVII ყრილობა საბჭოთა საზოგადოების განვითარების ახალი ეტაპის დასაწყისია“.

კონფერენცია გახსნა რესპუბლიკური კურსების დირექტორმა, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა **მ. კომახიძემ**.

მოხსენებით — „სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის პოლიტიკური მოხსენება და სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი სრულყოფა“ — გამოვიდა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრების ჯგუფის მსმენელი **გ. კოხრეიძე**. პარტიამ დაგვისახა, — თქვა მან, — სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლების განმტკიცება, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განუხრელი დაცვა, მართლმსაჯულების, საპროკურორო ზედამხედველობის, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება, სოციალისტური დემოკრატიის განმტკიცება, საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურის განვითარება და სრულყოფა, კომუნისტური საზოგადოების თვითმართველობაზე გადასვლა.

სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად პარტიის სოციალური პოლიტიკის ძირითად მიმართულებებზე ილაპარაკა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრების ჯგუფის მსმენელმა **რ. ჭიპაშვილმა**. ყრილობამ, თქვა მან, განიხილა და დაამტკიცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქცია, ცვლილებები შეიტანა წესდებაში, დაამტკიცა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთორმეტე ხუთწლედისა და 2000

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი, რომელშიც დასახულია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მთავარი მიჯნები.

სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და მიზნებზე ისაუბრა სახალხო სასამართლოების კანცელარიების გამგეების ჯგუფის მსმენელმა მ. შუშაშვილმა. ჩვენი პარტიის საერთაშორისო პოლიტიკა, თქვა მან, გამომდინარეობს სოციალისტური საზოგადოების ჰუმანური ბუნებიდან, რომელიც თავისუფალია ექსპლუატაციისა და ჩაგვრისაგან. იგი განუხრელად არის დაკავშირებული პარტიის ძირეულ, სტრატეგიულ ამოცანებთან ქვეყნის შიგნით და გამოხატავს საბჭოთა ხალხის ერთიან მისწრაფებას — განაგრძოს აღმშენებლობითი შრომა და ყველა ხალხთან მშვიდობიანი თანაარსებობა.

კონფერენციაზე სიტყვები წარმოთქვეს ცცქვიტიშვილმა, ლ. ადეიშვილმა, ზ. ფიფიამ, თ. დვალიშვილმა, ლ. არქანიამ, ა. ნაბახტეველმა.

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მუშაობა შეაჯამა რესპუბლიკური კურსების მეთოდიკური საბჭოს წევრმა პროფესორმა ა. ბენდიანიშვილმა.

კონფერენციამ მიიღო შესაბამისი რეკომენდაციები.

ნონა გოგიჩაიშვილი,
რესპუბლიკური კურსების მეთოდიკური კაბინეტის გამგე.

ადვოკატურის მუშაობის სრულყოფისათვის

გაიმართა აჭარის ასსრ ადვოკატთა კოლეგიის საანგარიშო-საარჩევნო კრება. 1983-1985 წლებში ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში კრებას გააცნო პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ბ. ჩავლეშვილმა. სარევიზიო კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ილაპარაკა ადვოკატმა მ. ფესვიანიძემ.

გამოსვლებში ძირითადად ლაპარაკი იყო სკკპ XXVII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის პოლიტიკური მოხსენების ირგვლივ, რომელშიც გაანალიზებულია სამართალდაცვითი ორგანოების, აგრეთვე ადვოკატურის მუშაობის სრულყოფის საკითხები.

ბ. ჩავლეშვილმა საანგარიშო მოხსენებაში ცალკეული რაიონების იურიდიული კონსულტაციების საქმიანობის მიხედვით გააანალიზა ადვოკატურის მუშაობის სტატისტიკური მონაცემები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ადვოკატთა საქმიანობის ხარისხობრივ მაჩვენებლებს, მოსახლეობაში სამართლებრივ პროპაგანდას, საზოგადოებრივ საწყისებზე იურიდიული პუნქტების მუშაობის გაძლიერებას. ნიშანდობლივია, რომ თუ 8 წლის წინათ სახალხო მეურნეობის საწარმოებსა და ორგანიზაციებში დასაქმებული იყო მხოლოდ 7 ადვოკატი, ამჟამად სათანადოდ გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე 31 წარმოებაორგანიზაციას 20 ადვოკატი ემსახურება. ადვოკატები აქტიურად მონაწილეობენ აგრეთვე საზოგადოება „ცოდნის“ მიერ ორგანიზებულ ლექცია-საუბრების ჩატარებაში.

საანგარიშო მოხსენებაში აღინიშნა წინასწარ გამოძიებაში და სასამართლო ორგანოებში დაყენებული შუამდგომლობების დაკმაყოფილების სფეროში არსებული ნაკლოვანებები. ყურადღება მიექცა იმ გარემოებას, რომ მიუხედავად კომპეტენტური ორგანოების მითითებისა, დღემდე არ არის გადაწყვეტილი აჭარის ასსრ აგროსამრეწველო გაერთიანებაში შემავალ ცალკეულ სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან იურიდიულ მომსახურებაზე ხელშეკრულებების გაფორმების საკითხი.

სარევიზიო კომისიის ანგარიშში აისახა კოლეგიის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგები. აღინიშნა, რომ ფინანსური გეგმა გადაჭარბებით შესრულდა, გაუმჯობესდა ადვოკატთა შრომის პირობები, კეთილმოეწყო ქ. ბათუმის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატთა სამუშაო ოთახი, მაგრამ ისიც ითქვა, რომ აუცილებელია დამატებითი ოთახის გამოყოფა.

იურიდიული კონსულტაციის გამგეებმა თ. ხვედელიძემ, გ. გაბეჩავამ, ვ. დოლიძემ, თ. დუმბაძემ და ო. აბესლამიძემ ილაპარაკეს მუშაობის ფორმების შემდგომ დახვეწაზე. ადვოკატები ს. მანუკიანი, თ. გოგუაძე, ვ. გორგოშაძე, ი. არშბა, ვ. მამონოვი შეეხნენ იურიდიული ლიტერატურით ად-

ვოკატთა უზრუნველყოფის, მატერიალური და მორალური წახალისების ფორმების სწორად გამოყენების საკითხებს და სხვ.

საანგარიშო კრების მუშაობა შეაჯამა აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრმა ჯ. ბაჯელიძემ. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო ადვოკატთა მუშაობის ხარისხის ამაღლებას, ხალხთა მეურნეობის წარმოება-დაწესებულებებში იურიდიული საქმიანობის გააქტიურებას, შრომის დისციპლინის დაცვას, სემინარული მუშაობის გაუმჯობესებას და სხვ.

გაიმართა აჭარის ასსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის და სარევიზიო კომისიის არჩევნები. პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩიეს ბ. ჩავლეშვილი, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ — ადვოკატი მ. ფესვიანიძე.

მარლენ დოლიძე,
ადვოკატი.

სამართლებრივი მუშაობის გაუმჯობესებისათვის

ამას წინათ საქართველოს საშენი მასალების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს სისტემის იურიდიული სამსახურებისა და ამავე სამინისტროს აპარატის ხელმძღვანელ მუშაკთა თათბირ-სემინარი სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ.

თათბირ-სემინარი გახსნა საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის მოადგილემ **ი. ხელაშვილმა.**

ცხოველი სჯა-ბაასი გაიმართა სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის ისეთ საკვანძო საკითხებზე, როგორიცაა „იურიდიული სამსახურის მუშაობის დაგეგმვის თავისებურებანი“, „პასუხისმგებლობა საგეგმო და სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევისათვის,“ „საწარმოებისა და დაწესებულებების ორგანიზაციული მმართველობის სრულყოფის სამართლებრივი რეგულირება“, „საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდა და მშრომელთა სამართლებრივი აღზრდა“, „იურიდიული სამსახურის როლი სოციალისტური კანონიერებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცებაში“, „რკინიგზისა და ტვირთის მიმწოდებელთა მატერიალური პასუხისმგებლობა“, „იურიდიული სამსახურისა და საკონტროლო-სარევიზიო აპარატის როლი სოციალისტური საკუთრების დაცვის უზრუნველყოფაში“.

თათბირ-სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ სახმომარაგების სახელშეკრულებო დისციპლინაზე კონტროლის სამმართველოს უფროსი **მ. ცხადაია,** საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი პროკურორი **გ. კვაშალი,** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი **ვ. ლორია,** საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე **შ. კონსტანტინოვსკი,** საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მთავარი კონსულტანტი **ი. ჯამბაზიშვილი,** ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს განყოფილებათა უფროსები **რ. სარქისოვი** და **ი. ნოდია,** საწარმოო გაერთიანება „საქარამადნეულის“ იურიდიული განყოფილების უფროსი **ვ. გრიგორიანი.**

თათბირ-სემინარის მუშაობის შედეგები შეაჯამა საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის მოადგილემ **ი. ხელაშვილმა.**

მიიღეს შესაბამისი რეკომენდაციები.

ლუიზა ქამუშაძე,
საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კონსულტანტი .

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის ერთთვიური

საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის ბიუროს დადგენილებით შიმდინარე წლის დამდეგს რაიონის ყველა სასოფლო საბჭოს მშრომელთათვის ჩატარდა სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის ერთთვიური წინასწარ დამტკიცებული გეგმა-გრაფიკისა და თემატიკის მიხედვით.

„შრომის დისციპლინა და მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური პასუხისმგებლობა", „შრომითი დავები და მათი გადაწყვეტის წესი", „ქორწინება, ოჯახი და სახელმწიფო", „ბრძოლა ავტოავარიებისა და ლოთობის წინააღმდეგ", „სიახლენი საპენსიო კანონმდებლობაში", „საზოგადოების როლი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში", „სამემკვიდრეო კანონმდებლობა" — ასეთი შინაარსის ლექციებით მშრომელთა წინაშე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის მდივანი თ. ბაბნიძე, რაიონის საბალხო სასამართლოს თავმჯდომარე ი. მოდებაძე, რაიონის პროკურორის თანაშემწე ნ. ზამბახიძე, შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი შ. გოგსაძე, სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგე მ. აბრამიშვილი, შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსის მოადგილე ჯ. შუბითიძე და საჩხერის სანოტარო კანტორის სახელმწიფო ნოტარიუსი ვ. კაპანაძე.

ლექციებს ორი ათასამდე კაცი დაესწრო, პასუხი გაეცა 150-მდე შეკითხვას.

მშრომელები განსაკუთრებით დაინტერესდნენ იმ სიახლეებით, რაც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ უკანასკნელ წლებში განხორციელდა საბჭოთა ხალხის საპენსიო უზრუნველყოფის გაუმჯობესების საქმეში.

სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის ერთთვიურის ჩატარებამ დიდად შეუწყო ხელი მოსახლეობაში სამართლებრივი ცოდნის შემდგომ გაღრმავებას.

მ. აბრამიშვილი,
საჩხერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ი. მაისურაძე

ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრი, რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი, 1946 წლიდან სკკპ წევრი ვლადიმერ ივანეს ძე მაისურაძე.

ვ. ი. მაისურაძე დაიბადა 1928 წელს საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმში, მოსამსახურის ოჯახში. 1941 წელს საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში, მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში, სადაც მძიმედ დაიჭრა, რის გამოც არმიიდან დემობილიზებული იყო.

1945 წელს ვ. ი. მაისურაძემ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, იქვე ჩაირიცხა ასპირანტურაში და მიავლინეს მოსკოვში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტში, სადაც 1951 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

1951-1954 წლებში ვ. ი. მაისურაძე მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სისხლის სამართლის კათედრის ასისტენტად, უფროს მასწავლებლად, დოცენტად.

1954 წელს ვ. ი. მაისურაძე დაინიშნა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს უფროს კონსულტანტად, ხოლო 1958-1962 წლებში იგი მუშაობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების გამგედ.

1962 წელს ვ. ი. მაისურაძე აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ, ხოლო 1970 წელს დაინიშნა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრად.

1976 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე ვ. ი. მაისურაძე ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟს.

ვ. ი. მაისურაძე ეწეოდა ფართო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას, სხვადასხვა დროს არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის XXII-XXVII ყრილობების დელეგატად, საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის წევრად, საქართველოს სსრ რამდენიმე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

საქმიანობის ყველა უბანზე ვ. ი. მაისურაძე დიდი პასუხისმგებლობით, საქმის ცოდნითა და ენერგიით ეკიდებოდა დაკისრებულ მოვალეობებს. რესპუბლიკის სამართალდაცვითს ორგანოებში ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე იგი აქტიურად და ნაყოფიერად ემსახურა სოციალისტური კანონიერების, მართლწესრიგის, სამეურნეო დისციპლინის განმტკიცების საქმეს, ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას. მის კალამს ეკუთვნის მრავალი ნაშრომი — მონოგრაფიები და წერილები საბჭოთა სამართლის აქტუალურ საკითხებზე.

ვ. ი. მაისურაძე თავის პროფესიულ და ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ფართო ერუდიციას დღენიადაგ ახმარდა ახალგაზრდა სპეციალისტების სათანადო მომზადებას, მოსახლეობის სამართლებრივი კულტურის ამაღლებას, კომუნისტური მორალის პრინციპების დამკვიდრების საქმეს. გულისხმიერებით და თავმდაბლობით ვ. ი. მაისურაძემ დამსახურებულად მოიპოვა რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა აქტივის პატივისცემა და ავტორიტეტი.

პარტიამ და სახელმწიფომ ღირსეულად დააფასეს ვ. ი. მაისურაძის მოღვაწეობა. იგი დაჯილდოებული იყო ორი ორი შრომის წითელი დროშის ორდენით, პირველი ხარისხის დიდი სამამულო ომის ორდენით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელებით.

ვ. ი. მაისურაძის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

ჯ. ი. პატიაშვილი, პ. გ. გილაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ვ. ი. ტერებილოვი, ე. ვ. ანისიმოვი, გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. ა. ანჩაბაძე, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, ბ. ვ. ნიკოლსკი, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ფიროსმანაშვა, ვ. ი. ალავიძე, ნ. რ. საჯაია, ო. ვ. მელქაძე, გ. გ. გუმბარიძე, ი. მ. ოსტანი, ზ. ვ. გორგოძე, ა. გ. კარანაძე, ვ. ა. რაზმაძე, ა. ა. ზუშანაშვილი, ჯ. ტ. ჯალაღანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. ბ. ხარაზიშვილი



საბჭოთა იურიდიულმა მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა სკკპ წევრი 1944 წლიდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ბეჟან ბესარიონის ძე ხარაზიშვილი.

იგი დაიბადა 1918 წელს სიღნაღის რაიონში, სოფ. საქობოში, გლეხის ოჯახში. 1943 წელს წარმატებით დაამთავრა მოსკოვის იურიდიული ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო საგარეჯოს სახალხო გამომძიებლად. შემდგომ წლებში იგი იყო სიღნაღის რაიონის პროკურორის თანაშემწე, წითელწყაროს რაიონის პროკურორი და რუსთავის პროკურორის თანაშემწე.

1949-1952 წლებში ბ. ხარაზიშვილი სწავლობდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც ვადაზე ადრე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია კრიმინალისტიკაში და მუშაობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯერ უფროს მასწავლებლად, ხოლო შემდეგ სისხლის სამართლის კათედრის დოცენტის თანამდებობაზე.

1964 წელს ბ. ხარაზიშვილმა წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, 1967 წელს მიიღო პროფესორის სამეცნიერო წოდება და მას შემდეგ სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას.

დიდია ბ. ხარაზიშვილის დამსახურება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდისა და იურიდიულ მეცნიერებათა განვითარების საქმეში. მისი ორიგინალური გამოკვლევები კრიმინალისტიკაში დიდი ხანია სამაგიდო წიგნებად იქცა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და პრაქტიკული მუშაკებისათვის, ხოლო ორნაკვეთიანმა დამხმარე სახელმძღვანელომ უნივერსიტეტის პრემიაც დაიმსახურა. დიდი მოწონება ხვდა აგრეთვე მის სქელტანიან ნაშრომს „იუსტიციის ორგანიზაცია სსრ კავშირში" და „მტკიცებითი სამართალი".

ბ. ხარაზიშვილი ღრმად და საფუძვლიანად იცნობდა იურიდიული მეცნიერების მომიჯნავე დარგებს და შემოქმედებითად იყენებდა მათ თავის სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობაში. შემთხვევითი არ იყო, რომ მან სსრ კავშირში პირველმა მონოგრაფიული წესით დაამუშავა მოტივის ფსიქოლოგიური პრობლემა სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის ამოცანებთან კავშირში. ეს გამოკვლევა იმ დროს შესრულდა, როდესაც მოტივისა და საერთოდ, ნებისმიერი ქცევის პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავით იდგა არა მარტო იურიდიულ მეცნიერებაში, არამედ ფსიქოლოგიაშიც.

ორიგინალობით იკვლევდა იგი აგრეთვე სიცრუის ფსიქოლოგიის სამართლებრივ ასპექტებს, დანაშაულებრივი ქმედობისა და ბრალის ფსიქოლოგიურ პრობლემებს, ავითარებდა მოსაზრებებს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ იურიდიული მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატების საქმეში.

პროფ. ბ. ხარაზიშვილი იყო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი, ჟურნალისტთა კავშირის წევრი, „ხორნაბუჯელის" ფსევდონიმით აქვეყნებდა საინტერესო მხატვრულ ნაწარმოებებს და აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში.

განსვენებულს არაერთი შემოქმედებითი გეგმა და ჩანაფიქრი დარჩა განუხორციელებელი. იგი ჩვენგან წავიდა იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეეძლო, მაგრამ რაც მოასწრო, ისიც დიდად სამაგალითო და მისაბაძია სტუდენტი ახალგაზრდობისათვის, ვისაც უძღვნა მან მთელი თავისი ცხოვრება. ვალმოსდებილი კაცის სახელი სამუდამოდ დარჩება მისი ახლობლების, მეგობრებისა და კოლეგების ხსოვნაში.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო
საქართველოს სსრ პროკურატურა
საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

«САБЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 2, 1986 (на грузинском языке). Двухмесячный, научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 103, тел.: 95-58-87: 95-88-49.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии Тбилиси, ул. Ленина, 14.

6204/19
ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

ინდექსი 76185